Down, Dun, Don - these prefixes all evolved from the Gaelic word 'Dun', meaning a fortified place. As Ireland has always had wars, there are many examples of fortified places. The first element of **Dunwich** (a small town and civil parish in the English county of Suffolk) is possibly linked to the Celtic word for 'deep', meaning something like 'port with deep water'. **Dungarvan** (Irish: Dún Garbháin) is a Seaside resort town and harbour on the south coast of Ireland in the province of Munster (county Waterford) and etc.

Kil, Kill is a Gaelic word meaning a church. Famous examples include **Kildare (Cill Dara)** meaning 'the second church', **Kilkenny**. The Shankill area of Belfast is Gaelic for 'old church'.

Celtic elements include: **coombe** - a deep valley. **Woolacombe** is a seaside resort on the coast of North Devon, England, which lies at the mouth of a valley (or 'combe') in the parish of Morteheo.

The etymology of the name of the city of **London** has been the subject of controversies for centuries using different linguistic or historical grounds. The etymology of London is uncertain. London, the capital of the United Kingdom (England, Wales, Scotland, and Northern Ireland), has a recorded history that goes back over 2,000 years. We will present different viewpoints connected with the origins of the London we know today: Hundreds of years BC on the banks of the Thames, there was a small settlement named **Llyn-din** (which means a lonely port). There are various opinions and comments related to the origin of London and its definition.

Some place-names are hybrids of Celtic and Anglo-Saxon elements. **Edinburgh** is the capital city of Scotland, the second largest city in Scotland. The name comes from Edwin of Deira, the first Christian King of Northumberland, who after his victory over Aethelfrith of Bernicia, A. D. 626, fortified the Castle Rock as his northern outpost, calling it Edwin's Burgh; The word *burgh* is derived from the Old English *Burh* - "burgh" being synonymous with castle or town. The Old English word was originally used for a fortified town or proto-castle (e.g. at Dover Castle or Burgh Castle) and was related to the verb *beorgan* (cf. Dutch and German *bergen*), meaning "to keep, save, make secure". In the German language, *Burg* means castle or fortress, though so many towns grew up around castles that it almost came to mean city, and is incorporated into many placenames, such as Hamburg, Flensburg and Strasbourg.

Glasgow (glaz-goh; Scots: Glesga Scottish Gaelic is the largest city in Scotland and third most populous in the United Kingdom. It is common to derive the name Glasgow from the older Cumbric *glas cau* or a Middle Gaelic cognate, which would have meant "green hollow".

Cardiff (Welsh: Caerdydd) is the capital and largest city in Wales and the 10th largest city in the United Kingdom. Caerdydd (the Welsh name of the city) derives from the earlier Welsh form Caerdyf.

Swansea (Welsh: "mouth of the Tawe") is a coastal city and county in Wales. **Belfast** (from Irish: Béal Feirste, meaning "mouth of the Shoal") is the capital of and largest city in Northern Ireland.

Dublin, the capital of Ireland comes from the name of the Goddess Dubh, Welsh God Lllud, lit. "black pool," from Ir. dubh "black" + linn "pool." signifying 'Black-water,' by which designation the ford upon the Liffey at this place was known to the inhabitants.

The name "**Avon**" is a cognate of the Welsh word *afon* "river", both being derived from the British language *abona*, "river". "River **Avon**", therefore, literally means "River"; (Avon (river).

Several other English and Scottish rivers share the name, for example: Stratford-upon-Avon, Swan Avon River and etc.

The oldest place names in England appear to be the names of rivers, many of which can easily be interpreted as Brythonic in origin. **The Thames**, from Middle English Temese, is derived from the Celtic name for the river, Tamesas (from *tamēssa), recorded in Latin as Tamesis and underlying modern Welsh Tafwys "Thames", the meaning probably was "dark".

The River **Severn** is the longest river in Great Britain, at about 354 kilometres. The name Severn is thought to derive from a Celtic original name *sabrinn-â, of uncertain meaning. A folk etymology later developed, deriving the name from a mythical story of a nymph, Sabrina, who drowned in the river. Sabrina is also the goddess of the River Severn in Brythonic mythology. (2.12).

The name "**Trent**" comes from a Celtic word possibly meaning "strongly flooding". More specifically, the name may be a contraction of two Celtic words, tros ("over") and hynt ("way"). The River **Ouse** gets its name from the Celtic word for water and Lynn from the Celtic word for lake. **Loch** is the Irish and Scottish Gaelic word for a lake or a sea inlet. Perhaps the most famous Scottish loch is **Loch Ness**, although there are other large examples such as **Loch Awe**, **Loch Lomond** and **Loch Tay**. Examples of sea lochs in Scotland include **Loch Long**, **Loch Fyne**, **Loch Linnhe**, **Loch Eriboll**, **Loch Tristan**, **Trisloch**. As "**loch**" is a common Gaelic word, it is also found as the root of several Manx place-names.

Thus, the place names of Britain are unusually rich and diverse, primarily as a result of historical changes in language and culture. These affected different parts of the British Islands to different extents, resulting in a mosaic effect in the names of places. The exact nature of these linguistic/cultural changes is often controversial. The Celtic toponymic names in Britain and beyond it contain three broad elements: personal names, natural features, and settlement functions. However, these elements derive from ancient languages spoken in the British Isles. As we have mentioned above some place-names are hybrid words of Celtic and Anglo-Saxon origin.

REFERENCES:

1. Cunliffe B. In Search of the Celts. In: Chadwick N. The Celts. New Edition. London: Penguin History, 1997, 17-45.
2. Ожегов С. И. «Толковый словарь русского языка», под. Ред. Н. Ю. Шведовой. 20-е издание. Москва, 1989.
3. Oxford English Dictionary, Concise Oxford Companion to the English Language Ed. Tom McArthur. Oxford University Press, 1998.
4. Суперанская А. В. Общая теория имени собственного. Москва, 1973.
5. Andy Morrall. "The Legend of Sabrina". Archived from the original on. 2007.
6. Ethel Wood AP* Human Geography: a Study Guide 3rd edition, Woodyard Publications, 285 Main Street, Germantown, ny, u.s.a. 2012, p.18.
<https://en.wikipedia.org/wiki/Burgh>
<https://www.behindthename.com/name/london/comments>
https://en.wikipedia.org/wiki/Category:Celtic_toponyms
<https://www.britannica.com/topic/Celt-people>

მანანა შელია

კულტური ტოპონიმების ეტიმოლოგიური ასპექტი

რეზიუმე

ბრიტანეთის გეოგრაფიული სახელები მდიდარი და მრავალფეროვანია, რომლებიც წარმოადგენს ისტორიული ცვლილებების შედეგს ენასა და კულტურაში. ტოპონიმიკური ტერმინოლოგია ენის ლექსიკური სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია კულტური წარმოშობის ტოპონიმების მხოლოდ გარკვეული ნაწილი, კერძოდ კი, ეტიმოლოგიურ ძრილში განხილულია ოიკონიმები და ჰიდრონიმები.



რუსულან გომონია

ინგლისური ენის მნიშვნელობა და როლი ბიზნესის განვითარების პერსპექტივაში

წარმატება ბიზნესში ხშირად ერთ მნიშვნელოვან სიტყვაზე მიაწინებს და ეს არის კომუნიკაცია. ყველაზე მეტად კომუნიკაცია ინგლისური ენით მყარდება. ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გლობალიზაცია ერთი საერთაშორისო ენის ცოდნას მოითხოვს, რათა ადამიანებმა საკუთარი ქვეყნის საზღვრებს მიღმა მდებარე სამყაროსთან კომუნიკაცია შეძლონ. ასეთი ენა მთელ მსოფლიოში ინგლისურია.

კვლევების თანახმად, ქვეყნები, რომლებიც ინგლისური ენის კარგი ცოდნით გამოირჩევიან, ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დანინაურებულები არიან. ინგლისური წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რამდენადაც ის ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას და დანარჩენ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას უწყობს ხელს.

ინგლისური ენის ცოდნის დონის გაზრდა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაზე. ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვა საგრძნობლად გაადვილდება, თუკი ქვეყანაში იარსებებს ინგლისურად მოლაპარაკე სერვისსექტორი; შეიძლება იოლად დამყარდეს კონტაქტი უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან, რომლებსაც ბიზნესის წამოწყება სურთ.

იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, სრულად უნდა გეზულობდეთ იმ ხალხის საუბარს, რომელთანაც თქვენ მუშაობთ. ინგლისურის კარგად ფლობა დაგეხმარებათ უფრო სწრაფად მიაღწიოთ მიზანს.

ინგლისური მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ბიზნესენაა. რაც უფრო მეტი ბიზნესმენი იყენებს ამ ენას, მით უფრო მნიშვნელოვანია იგი. ინგლისურის გარეშე სრულყოფილი ბიზნესი ვერ შედგება მრავალი მიზეზის გამო. არის ბევრი მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ უნდა ილაპარაკოთ და წეროთ ინგლისურ ენაზე, თუ ბიზნესში ხართ ჩართული.

ურთიერთობის ადვილად დამყარება. ბიზნესი დამოკიდებულია ურთიერთობებზე. თუ საუბრობთ იმავე ენაზე, რაზეც საუბრობენ ის ადამიანები, რომელთანაც თანამშრომლობთ ბიზნესში, ადვილად გადაილახება სხვადასხვა ბარიერი. უკეთესად შეიძლება საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

მეტი დამოუკიდებლობა. თავად შეგიძლიათ ინგლისურ ენაზე ურთიერთობა, და არ ხართ დამოკიდებული თარჯიმანზე, რომელმაც უნდა განახორციელოს სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობა თქვენთვის. თქვენ შეგიძლიათ თვითონ მოამზადოთ და წარმოადგინოთ საკუთარი პრეზენტაციები, მოლაპარაკებებში სრულად იყოთ ჩართული, დეტალურად დაწეროთ მოხსენებები და არ დაგჭირდეთ ასისტენტის ან თარჯიმნის დახმარება. ასე ხდებით უფრო გამბედავები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რეგულარულად სტუმრობთ კლიენტებს და სხვადასხვა ბიზნესასოციაციებს.

გაუგებრობის თავიდან აცილება. ბიზნესსაქმიანობაში მნიშვნელოვანია გქონდეთ კომუნიკაციის მკაფიო კავშირები. ერთსა და იმავე ენაზე საუბრისას გაუგებრობა თითქმის არ არსებობს. თუ შეცდომას დაუშვებთ, მათ ადვილად გამოასწორობთ. გაუგებრობებმა და არასწორმა ინტერპრეტაციებმა შეიძლება გამოიწვიოს ბევრი გაურკვეველობა და დროის ფლანგვა.

კულტურის ცოდნა. ყველა კულტურა განსხვავებულია და მას დრო სჭირდება ადაპტირებისა და ურთიერთობისთვის. ინგლისური ენის ცოდნა უფრო ადვილად ადაპტირების საშუალებას იძლევა, როდესაც საქმიანობთ ინგლისურენოვან ადამიანებთან.

მეტი ურთიერთობა. ინგლისური ენის ცოდნა საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ მრავალფეროვან შესაძლებლობას მთელ მსოფლიოში. ინგლისური ენის ცოდნით გაცილებით მეტს აღწევთ. დიდი ქვეყნების უმრავლესობა იყენებს მას, როგორც ძირითად ბიზნესენას. ინგლისურის გარეშე თქვენი საქმიანობის განვითარება იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისური არის ძირითადი ბიზნესენა, თითქმის შეუძლებელია.

თავდაჯერებულობა. როდესაც ლაპარაკობთ იმავე ენაზე, რაზეც თქვენი ბიზნესპარტნიორები, ბიზნესკომუნიკაცია ბევრად უფრო ეფექტური გახდება. არ არის საჭირო თარჯიმანი და თავად შეძლებთ უფრო სწრაფად რეაგირებას გარკვეულ სიტუაციებში. ეს მნიშვნელოვანია ბევრ სფეროში, სადაც გადამწყვეტი ქმედებებია საჭირო.

ფულის დაზოგვა და შემოსავლის ზრდა. ინგლისური ენის შესწავლა ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს შეიძლება ჩაითვალოს თქვენს სამომავლო ინვესტიციად.

დიდი ბრიტანეთისა და შემდგომ ამერიკის წარმატებამ ბევრ სფეროში განაპირობა ის, რომ ინგლისურზე მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი მოთხოვნაა. შეუძლებელია ინგლისურის, როგორც გლობალური ბიზნესსაქმიანობის წამყვანი ენის მნიშვნელობის დაკნინება.

ინგლისური სწრაფად გახდა ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ენა ვაჭრობაში და მრეწველობაში გასული ორი ათწლეულის განმავლობაში. ამის შედეგად, ინგლისური ენის ცოდნა გახდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნებისმიერი დასაქმებულის კარიერაში. უფრო მეტიც, უცხოელი სტუდენტები ინგლისურენოვან ქვეყანაში წარმატებას აღწევენ სწორედ ინგლისური ენის კარგად ფლობის გამო.

ინგლისურის ცოდნა უმაღლესი განათლების მიღებისა და კვალიფიციური სამუშაოს პოვნის აუცილებელი წინაპირობაა. დღევანდელ ბიზნესზე ორიენტირებულ სამყაროში, ინგლისური ენა ფართოდ გამოიყენება როგორც მცირე, ასევე მსხვილ ბიზნესში.

ინგლისური ენა გახდა წარმატების საწინდარი მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს მასშტაბით მრავალი საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაცია იყენებს ინგლისურ ენას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, შეიღების დასაწერი საშუალებიდან დაწყებული, კორპორაციული დოკუმენტაციით დამთავრებული, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში. ინგლისური 70-ზე მეტ ქვეყანაშია გამოყენებული, როგორც ოფიციალური ენა. როგორც წერილობითი, ასევე სალაპარაკო ინგლისური ენის ცოდნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი ცხოვრების ბევრ ასპექტში დასაქმების მსურველებში, კლიენტებთან კომუნიკაციაში და საერთო ბიზნესპარტნიორობის მიღწევისთვის მთელ მსოფლიოში.

იმან,რომ ინგლისური ენა სტანდარტული ოფიციალური ენაა ზოგიერთ საქმიანობაში, როგორიცაა გადაზიდვა და საჰაერო ინდუსტრია, სავალდებულო გახდა ინგლისური ენის ცოდნა, თუნდაც კრიტიკული სამუშაოებისთვის, როგორიცაა ავიაკომპანიის პილოტობა ან საზღვაო ოფიცრობა და ა.შ.

მნიშვნელოვანია წერიტი ცოდნა, რადგან თითქმის ყველა ფორმის ბიზნესკომუნიკაცია, როგორიცაა შეიღები, პრეზენტაციები, გაყიდვების, მარკეტინგის და სამართლებრივი დოკუმენტაცია, ხორციელდება წერით.

რაც შეეხება პრეზენტაციას! თქვენ შეიძლება გქონდეთ უბრწყინვალესი იდეა მსოფლიოში, მაგრამ თუ არ შეგიძლიათ მისი სწორად მიწოდება, თქვენი იდეა ვერ განვითარდება. აქ ცოტა მეტი ცოდნის მიღებამ (ტრენინგი კომპანიის მეშვეობით, ონლაინკურსი, ან მოტივირებული თვითგანათლება) შეიძლება შორს წაგიყვანოთ. დასაქმებული არა მარტო უკეთეს გრამატიკასა

და ლექსიკას გამოიყენებს, არამედ შინაარსის ლოგიკას აქცევს ყურადღებას. ის მხოლოდ იმდენს ათავსებს სლაიდზე, რამდენიც ადვილად წასაკითხი და გასაგები იქნება.

ამჟამად ინგლისური ენა კომერციული ენის პოზიციას იკავებს, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთს დასავლეთთან და ჩრდილოეთს სამხრეთთან. ორ მილიარდზე მეტი ადამიანი მთელ მსოფლიოში ლაპარაკობს ინგლისურად და ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ინგლისური ენა მსოფლიოს სხვა უამრავ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ენაა. ინგლისურის ცოდნა აუცილებელია როგორც ბიზნესის წარმოებისათვის, ასევე სამსახურის დასაწყებადაც. ინგლისურ ენას აქვს სპეციალური თუ ოფიციალური სტატუსი 75-ზე მეტ ქვეყანაში. მას ასევე ფართოდ გამოიყენებენ უცხო ენაზე მოსაუბრეები. ის დიპლომატიის, ბიზნესის, მეცნიერების, ეკონომიკის, კომპიუტერისა და ინტერნეტის ყველაზე დომინანტური ენაა.

ბევრი კომპანიისთვის საკომუნიკაციო ენა არის ინგლისური. ინგლისურის ცოდნას თითქმის ყველა კომპანია ითხოვს. ინგლისური არის პოლიტიკური მოლაპარაკებების, მეცნიერების, ვაჭრობის, მრეწველობის, ხელოვნების, კინოინდუსტრიის, მუსიკის და წიგნების ენა. ინგლისური ენა ზრდის ადამიანში თვითშეფასების უნარს. დღეს თითქმის ყველა სფეროში ითხოვენ ინგლისური ენის ცოდნას.

ინდოეთის კომპანიებში, განსაკუთრებით მსხვილ კორპორაციებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან დიდია, ერთ-ერთ ენაზე ხდება კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე, ყველა კომუნიკაცია ხორციელდება შიდაკორპორაციულ ქსელში. წარმოიდგინეთ მდივანი, რომელიც ვერ ერკვევა გრამატიკულ კატეგორიებში, აგზავნის კომპანიის სახელით წერილს - „შეხვედრა გაუქმდა შეუძლოდ ყოფნის გამო“ (**“meeting cancelled because of indisposed”**). „ვის გამო?“ (**“Because of whom?”**); „შეუძლოდ ყოფნის გამო?“ (**“Because of indisposed?”**); „შეუძლოდ ადამიანის სახელია?“ (**“Is indisposed the name of a person?”**). შეიძლება მეორე ინდოელმა ცუდად გაიგოს ეს ფრაზა, მაგრამ რა შთაბეჭდილებას მოახდენს უცხოელ თანამაშრომელზე, რომელიც იღებს იგივე ელ-ფოსტას? რა შეიძლება მოჰყვეს დოკუმენტის არასწორ გაგებას? წერილობითი კომუნიკაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზეპირი. ინტერვიუებში, ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია ენის ცოდნის გარეშე.

ეფექტური კომუნიკაცია წარმატების გასაღებია. რაც არ უნდა კარგად ფლობდეთ გაყიდვის ტექნიკას, ან რამდენად კარგიც არ უნდა იყოს მარკეტინგული გათვლა, ენის ცუდად ფლობა გააფუჭებს ყველა ძალისხმევას. ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესში ეფექტური კომუნიკაცია საზღვარგარეთ მყოფ ბიზნესპარტნიორებთან. ინგლისური ენის მნიშვნელოვანი და სათანადო გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ორგანიზაციის შესაძლებლობები შეუზღუდავი გახდება, თუ თანამშრომლების ცოდნის დონე ინგლისურ ენაში გაიზრდება. ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ამერიკული საფონდო ბირჟა, ლონდონის საფონდო ბირჟა, ურთიერთობა ხდება ინგლისურად.

მსოფლიოს უმსხვილესი საფონდო ბირჟები დამოკიდებულნი არიან ინგლისურენოვან ქვეყნებზე. ინგლისური ენა გახდა მნიშვნელოვანი ინვესტიციაში, სავალუტო და საბანკო საქმეში. ბევრი მსხვილი კორპორაცია საკუთარი პერსონალისთვის ორგანიზებას უწევს და იხდის თანხას ბიზნეს-ინგლისურის შესასწავლად. ამბიციურ სტუდენტებს ხშირად სურთ ინგლისურენოვან ქვეყანაში სწავლა, რათა გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა და შესაბამისად, მომავალში შესაფერისი სამუშაო იშოვნონ.

ინგლისური ენის ცოდნა საჭიროა არა მარტო კომერციისა და ვაჭრობაში, არამედ ბიზნესის სწორად წარმართვისთვისაც. ინგლისური ენის გამოყენება მნიშვნელოვანია საზღვრებს გარეთ კომუნიკაციისათვის ტურიზმის სფეროში, ვაჭრობასა და ფინანსურ საკითხებში.

მომსახურების სერვისი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციისა და მომსახურების მარკეტინგში. მაღალი ხარისხის მომსახურებით იზრდება კლიენტის ნდობა. დღესდღეობით მომხმარებელს არა მხოლოდ პროდუქტი აინტერესებს, რომელსაც სთავაზობენ, არამედ ყველა ის დამატებითი მომსახურება, რომლებსაც იღებს. მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ინგლისურს და აინტერესებთ თუ რამდენად მოდერნიზებულია კომპანია. ინგლისური ენის ცოდნა საჭიროა ყველა ავიაკომპანიის ეკიპაჟისთვის და საჰაერო მოძრაობის კონტროლისთვის. გარდა ამისა, ინგლისური ენა არის სტანდარტული ენა გადაზიდვაში და საზღვაო მრეწველობაში. დღესდღეობით, მოგზაურობის სახელმძღვანელო წიგნები ინგლისურ ენაზეა.

ინგლისური გახდა ინტერნეტის ერთ-ერთი ძირითადი ენა. კვლევის მიხედვით, 90% -ზე მეტი ვებგვერდი ინგლისურ ენაზეა დანერგილი და შექმნილი. 80% ინფორმაციისა ინგლისურ ენაზეა შენახული კომპიუტერში. ნებისმიერ მსურველს, ვისაც კომპიუტერთან მუშაობა უნდა ან სურს ბიზნესის კეთება ონლაინ, მათ სჭირდებათ ბიზნესინგლისურის ცოდნა. ინტერნეტის მომხმარებელთა 36% კომუნიკაციისთვის იყენებს ინგლისურ ენას. დღეს ინგლისური ენის კარგი ცოდნა ბევრ პროფესიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

ასევე მონაცემების უმრავლესობა ინგლისურ ენაზეა. იმისათვის, რომ გავიგოთ ეს მონაცემები, საჭიროა ინგლისური ენის ცოდნა. ტექნიკის უმრავლესობა ინგლისურ ენაზეა, ამიტომ მათი სწორად გამოყენებისთვის საჭიროა ინგლისური ენის გაგება.

თქვენი ბიზნესის წარმატებას განსაზღვრავს მისი მარკეტინგი. მარკეტინგში შედის რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, აქციები და გაყიდვები. მარკეტინგი არის პროცესი, რომლის საშუალებითაც პროდუქტი ან მომსახურება წარმოდგენილია მომხმარებლისთვის. თუ გინევთ რეკლამა გაუკეთოთ პროდუქტს საზღვარგარეთ, რეკლამას უნდა გაეცნოთ ინგლისურ ენაზე.

თანამედროვე მსოფლიოში, ინგლისური ენა არის გასაღები გლობალურ ინდუსტრიაში. თუ თქვენ და თქვენი ბიზნესპარტნიორი საუბრობთ ერთ ენაზე, კომუნიკაცია ბევრად უფრო მარტივია და ბევრი პრობლემა თავიდან იქნება აცილებული.

ლიტერატურა:

1. Crystal David. English as a Global Language (2nd ed.). New York, NY: Cambridge University Press, 1997.
2. Domke-Damonte, D. Language learning and international business. SAM Advanced Management Journal, 2001, . 66, 1, 35-41.
3. Jenkins J. English as a lingua franca: interpretations and attitudes. World Englishes. 2009, 28, 2, 200-207.
4. Marschan R., Welch, D., Welch, L. Language: the forgotten factor in multinational management. European Management Journal, 1997, 15, 5, 591-598.
5. McCrum Robert. Globish: How the English Language Became the World's Language. New York, NY: W.W. Norton & Company, 2010.
6. Michaud Chris. English the preferred language for world business: poll. Reuters. Retrieved from http://www.reuters.com/article/2012/05/16/us_languaged_Neeley, T.D. "Global Business Speaks English: Why You Need a Language Strategy Now." Harvard Business Review 90, . 2012, 116-124.
7. Neeley, T.B., Hinds, P.J., Cramton, C.D. The (un)hidden turmoil of language in global collaboration. Organizational Dynamics, 2012, 41, 236-244.

8. Revell-Rogerson, P.). Using English for international business: a European case study. *English for Specific Purposes*, 2007, 26, 103-120.
9. Welch, D., Welch, L. & Piekkari, R. Speaking in tongues: the importance of language in international management processes. *International Studies of Management and Organization*, 2005, 35 (1), 10-27.

RUSUDAN GOGOKHIA

**THE IMPORTANCE AND ROLE OF THE ENGLISH LANGUAGE
IN BUSINESS DEVELOPMENT PERSPECTIVE**

SUMMARY

The paper deals with the importance and role of the English language in business development outlook. In order to succeed in the field you have chosen, you should fully understand the people's talk you work with. Good knowledge of English will help you to achieve your goal quickly. English is one of the most widely spread business language in the world. As more businessmen use this language, it becomes even more important. A complete business cannot be made without English. There are a lot of considerable reasons why you should talk and write in English when you are involved in business.



დინა მიქელაძე

/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ედგარ ალან პო – ამერიკული ლიტერატურის ნოვატორი მწერალი
EDGAR ALLAN POE (1809-1849)

XIX საუკუნის საკვირველი შემოქმედი, არაორდინალური, მეტისმეტად ექსცენტრულიც კი, გამოუცნობი და მიმზიდველი, იდუმალ ცხოვრებაშიც და სიკვდილშიც, მძაფრი ფანტაზიით და, შეიძლება ითქვას, ნათელხილვის ნიჭით მოსილი, ერთნაირად მრწმენი მითის და რეალობის, ზღაპარისა და სიზმარეული ჩვენების, „ჟრუანტელის მომგვრელი სურათების“ მხატვარი – ასე გამოიყურება, თვალის ერთი შევლებით, ედგარ ალან პო, ამერიკული რომანტიზმის კაშკაშა ვარსკვლავი.

ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში პომ ნოვატორი მწერლის სახელი დაიმკვიდრა, მოკლე ფორმის მოთხრობებით, ფანტასტიკური ხასიათის დეტექტივებით თუ მეცნიერული ფანტასტიკის ჟანრით. პოს გავლენა სწვდება ოსკარ უაილდს და ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტს, „კოსმიციზმის ფუძემდებელს“, როგორც დღეს უწოდებენ პოსავით უცნაური, მძლავრი წარმოსახვის მწერალს. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ იაპონური დეტექტივის ჟანრის დამაარსებლის ფსევდონიმი – ედიგავა რამპო (ნამდვილი სახელი ტარო ხირაი) – უმალ ედგარ პოზე მიგვანიშნებს. თვითონ პოზე, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, დიდი გავლენა მოუხდენია გერმანელ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანს, გერმანული რომანტიზმის ცნობილ წარმომადგენელს, კომპოზიტორს, „პატარა ცახესი ცინობერად წოდებული“ -ს ავტორს.

მოხეტიალე მსახიობების ოჯახში დაბადებული ედგარი, ბალტიმორელმა კომერსანტმა რიჩმონდ ჯონი ალანმა იშვილა და აღზარდა. ალანების ოჯახში ჰპოვა მან სიმყუდროვე და სულიერი სიმშვიდე, მაგრამ დროის დინებასთან ერთად მასსა და მამობილს შორის ვითარება ნელ-ნელა დაიძაბა, რაც ერთგვარად ედგარის ხასიათითაც იყო გამოწვეული. თავისუფალი და შემოქმედი სულის, უცნაური წარმოსახვის ახალგაზრდა ვერ ჰგუობდა კომერსანტის პრაგმატიზმს, მის მეტისმეტად ფრთხილ ხასიათს. ურთიერთობა განსაკუთრებით ედგარის პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით გამწვავდა; დაძაბული საუბრისას მამობილმა პირდაპირ მოსთხოვა პოს უსიტყვო მორჩილება, რაც „პატარა, კადნიერმა მეტიჩარამ“ უკომპრომისოდ უარყო. როგორც პოეტის ერთი ბიოგრაფი და კრიტიკოსი წერს, „სასწორის ერთ პინაზე კეთილდღეობა და უზრუნველი მომავალი იდო, მეორეზე სიამაყე და ტალანტი თავის ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდისა, რომელმაც ამ უკანასკნელს მიანიჭა უპირატესობა, სახელი და ღირსება ამჯობინა სიმდიდრეს. უფრო მეტიც, მან, თითქოს წინასწარ, აირჩია შიმშილი და სიდუხჭირე“ (7,44). აქ, ნათლად, მთელი სიმძაფრით ვგრძნობთ ედგარ ალან პოს პიროვნულ ტრაგიკულობას, გამოწვეულს მისი ცხოვრების მთავარი კონფლიქტით – თავისი ტალანტის განმცდელი, ამაყი და ღირსებით სავსე შემოქმედის დაპირისპირება უტილიტარიზმის და პრაგმატიზმის უფერულ და უსახო რეალობასთან. ის, რაც მამობილის სიტყვებში უკეთ, ბუნება-ნატურაში იყო კონცენტრირებული და დაგროვებული ედგარის წინ აღიმართება როგორც მაშინდელი ამერიკის საზოგადოების გამჭოლი ტენდენცია და ინტერესი (ქალბატონი ლანი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ედგარი იმ ხანებში გარდაიცვალა და მომავალი პოეტი სულ უსახსროდ აღმოჩნდა).

უიმედო სილატაკე, რომელშიც ხშირად აღმოჩენილა პოეტი, მისგან შინაგანი, ნერვული ენერჯის სრულ მობილიზებას ითხოვდა; ცხოვრების ბოლო წლებში პოეტი ალკოჰოლს და ნარკოტიკსაც კი ეტანებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მტკიცე და შეუპოვარი აღმოჩნდა, რასაც მისი შემოქმედება ადასტურებს. მთავარი მიზეზი მისი სიღარიბისა ანაზღაურების სიმწირე იყო.

ედგარ ალან პო პირველი პროფესიონალი მწერალია ამერიკის ისტორიაში, რომელსაც საკუთარი მწერლური და რედაქტორული გასამრჯელოთი ანუ ჰონორარით უნდა ერჩინა თავი. ჟურნალისტიკა, რომელიც მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო იყო, არაფერს იძლეოდა. მის ნაწარმოებებსაც არ მოჰქონდა შემოსავალი; პოეტი ერთგან აცხადებს: „პოეზია ჩემთვის, პროფესია კი არა საშინელი ვნებაა, ჟინი, ვნებებს კი პატივით უნდა მოეპყრა, ის შეუძლებელია, გააღვიძო შენში სურვილით, საცოდავ ანაზღაურებაზე ან, უფრო უარესი ბრბოს აღფრთოვანებაზე მოფიქრალმა“. ამერიკის საზოგადოებისათვის მაშინ, მისი მერკანტილური სულისკვეთების გამო, ედგარ ალან პო როგორც მხატვარ-შემოქმედი და მოაზროვნე შეუმჩნეველი და მიუღებელი რჩებოდა; ემერსონის მიერ 30-იანი წლების ბოლოს გამართული საჯარო ლექციისას თქმული „საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების შეუთავსებლობა ქმნის იმგვარ ატმოსფეროს, რომელშიც სუნთქვაც კი შეუძლებელია“ – ზუსტად ესადაგება და საუცხოოდ განმარტავს ედგარ ალან პოს ბუნებას, კაპიტალისტური აღორძინების და პროგრესის ეპოქის ამერიკის ყველაზე დიდი მამხილებლის ტრაგედიას. „შეერთებული შტატები – წერდა პოს სიკვდილის შემდეგ შარლ ბოდლერი – პოსთვის იყო უზარმაზარი ციხე, უსაზღვრო, ბარბაროსული, ათასგვარი სისაძაგლით გამოტენილი სადგომი, რომელშიც წმინდა ჰაერისათვის დაბადებული არსება, ციებზიანით ბორგავდა, – პოს შინაგანი, სულიერი ცხოვრება იყო მუდმივი ძალისხმევა ამ აუტანელი ატმოსფეროსაგან გასათავისუფლებლად“ (6,37).

ბალტიმორის შტატში არჩევნების აღწერის დროს, ჰერვი ალენი იძლევა მაშინდელი ამერიკული საზოგადოების მოკლე, მაგრამ გამომსახველობით დახასიათებას: „ქალაქი, პოლიტიკურ კორუფციის განმადიდებელი, ტერორიზებული იყო „ხმებზე მონადირე“ ჯგუფების მიერ, რომლებიც პარტიული სალაროებიდან ფინანსდებოდნენ. ღარიბები პოლიტიკური ყაჩაღების ხელში ცვიოდნენ, არჩევნებამდე 2-3 დღით ადრე ერეკებოდნენ სპეციალურ ადგილებში – სადაც ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ქვეშ ჰყავდათ, შემდეგ რამდენიმეჯერ მიაცემინებდნენ ხმას“; იგი დაბეჯითებით უჭერს მხარს იმ აზრს, რომ ედგარ ალან პო ამ „პოლიტიკური ყაჩაღების“ მსხვერპლი გახდა, რამაც დააჩქარა მისი სიკვდილი (4,26). შვიდი წლის ბიძაშვილ ვირჯინიასთან შეხვედრა, ხოლო შემდეგ მასზე დაქორენინება ედგარისათვის ერთგვარი ბედისწერა აღმოჩნდა. ვირჯინია არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ედგარზე კეთისმყოფელი ზეგავლენის მქონე, საერთოდ, ქალებთან ედგარის რეალური ურთიერთობა მხოლოდ ვირჯინიათი შემოიფარგლებოდა და იგი იმდენად რთული, თანაც დახვეწილი ყოფილა, რომ „მის ფარულ ლაბირინთებში გარკვევა, საეჭვოა, ვინმემ შეძლოს“-ო (8,98). ვირჯინიასა და პოს ცხოვრება მწვავე განხილვის საგნად აქცია ლიტერატურულმა კრიტიკამ, ზოგი მასში უცნაურობასა და გაუგებრობას ხედავდა, ზოგი კიდევ ნორმალურ ამბად თვლიდა: გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებაც, რომ წყვილის ურთიერთობა უფრო და-ძმურ ხასიათს ატარებდა, და ვირჯინია ქალწული გარდაიცვალა, ვინაიდან როგორც კრატჩი ამბობს „პოს სულაც არ აინტერესებდა ქალები“, ისინი „მხოლოდ შთაგონების წყაროდ აინტერესებდაო (9,54). ასეა თუ ისე, ყველა ერთხმად აღიარებს იმას, რომ ვირჯინია იყო ერთადერთი ქალი, რომელიც პოს უყვარდა.

უმძიმესი მემკვიდრეობა, ობლობა, „ბედის საზღვართან“ უძნელესი ბრძოლა თავისუფლებისმოყვარე და ამაღლებული სულის, ყოფით წვრილმანებთან შეჯახება, ავადმყოფობა, სულიერი ქრილობები, ტრამვირებული და გაუნონასწორებელი ფსიქიკა, რაც მთავარია, ცხოვრების უმთავრესი კონფლიქტისადმი შეურიგებლობა ნამლავდა და ანადგურებდა ედგარ ალან პოს. ვირჯინიას ავადმყოფობამ და ნაადრევმა გარდაცვალებამ გამანადგურებლად იმოქმედა მწერალზე და დააჩქარა მისი აღსასრული.

ედგარ ალან პო აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ურთულესი მწერალი, რაც მისი შემოქმედების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაშიც აისახა. დღესარავის უკვირს ის ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებანი, რომლითაც, როგორც ტენსიონი ამბობს, „ყველაზე თავისებურ ამერიკულ ტალანტს“ ამკობენ ხოლმე ლიტერატურათმცოდნენი – თუ რაღაც უაღდო ემერსონისათვის პო „ცუდად მეტყველი“ ხელოვანია, ფრანგი კლასიკოსებისათვის, მაგალითად ბოდლერისა და მალარმესათვის უკვდავი გენიაა; ამერიკელი მწერალისა და ლიტერატურული

კრიტიკოსის ჰენრი ჯეიმზის თქმით, პო „აზრის პრიმიტიულ დონეს მოწმობს“, ხოლო ირლანდიელი პოეტისა და დრამატურგის უილიამ ბატლერ იეიტსისთვის პო „უდიდესი ლირიკოსია, ყოველი დროის და ყოველი ხალხის კუთვნილი“.

პო, ჭეშმარიტი, ბრწყინვალე ტალანტია, რომელმაც ტრაგიკული კოლორიტით გაამდიდრა არა მხოლოდ ამერიკული, არამედ მსოფლიო ლიტერატურა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, მისი თანამედროვეობის ღრმა წინააღმდეგობებმა და მათი გადალხვის შესაძლებლობისადმი სკეპტიციზმმა განაპირობა. ამით გამოწვეული სიბნელე, ცხოვრების ტრაგიკულობის გამძაფრებული აღქმა პოეტში აპათიას იწვევს, იგი, მარტოსულია და პასიური, შეგუებული წუთისოფლის გარდუვალობას. თავისებურია ედგარ პოს მხატვრული პრინციპებიც. მან ბუნებრივ-ორიგინალურად შეაზავა ფანტასტიკა და რაციონალიზმი, რეალობა და მოგონილი. მისთვის მხატვრული ფორმა წმინდა რამ იყო, ემოციური და ამაღლებული, მართალი, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობით აღსავსე. პოს ნაწარმოებები გვიმხელს მწერლის მხატვრულ-შემოქმედებით თეორიებს, რასაც ცალკე კრიტიკული წერილები და ესეი „პოეტური თეორიები“ („The Poetic Principle“) ეთმობა. მას გათვლილი აქვს თავის თხზულებათა ყოველი სენტიმენტი და აზრი, ემოცია და ეფექტი და ამასვე სთავაზობს სხვებს თავის „კომპოზიციის ფილოსოფიაში“ („The Philosophy of Composition“). ჯოზეფ კრატი ამ ნაწარმოებს „ხელოვნების რაციონალიზმის მეტად მახვილგონივრულ გამჟღავნებას“ უწოდებს (9,67).

ედგარ ალან პო თავის თავს უპირველესად პოეზიაში ხედავდა, ის მიაჩნდა საკუთარ მონოდებად. შემოქმედებითი ცხოვრებაც პოეზიით დაიწყო: 1827 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული, 1829 წელს მეორე, 1831 წელს კი მესამე; მაგრამ პოეტი მაინც შეუმჩნეველი რჩებოდა თითქოს. 1845 წელს დაიბეჭდა მისი „ყორანი“ (The Raven), და პოპულარობაც მაშინვე მოვიდა; ლექსი მსოფლიოს თითქმის ყველა ლიტერატურულ ენაზეა თარგმნილი, თანაც რამდეჯერმე აღმოჩნდა, რომ ქართულად ამ ლექსის 21 თარგმანი არსებობს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებული, მათ შორისაა 1906 წელს ვაჟა-ფშაველას მიერ გადმოქართულებული; აღსანიშნავია, რომ „ყორანის“ ერთ-ერთი საუკეთესო ქართული თარგმანი ეკუთვნის ფილიპე ბერიძეს.

„ყორანი“ პოეტის ტრაგიკული მსოფლხედვის გამომხატველია, მძიმე ბედისწერის, რომელიც ბოჭავდა ანადგურებდა მის ცხოვრებას, იგი ბნელეთის სახეა, ადამიანის სულიერი სიკვდილის, რომლის პირქუში, სიკვდილის სიცივით აღბეჭდილი ჩრდილი მუდმივად დაჰყვება პოეტს, ნამლავს მის განცდას, აცლის ენერგიას. ის ოთახში მოკალათებული შავი ფრინველი უილაჯობის, ავი ბედის, კვდომის სახეა, შთაბეჭდავი, ემოციური. ლექსის შავბნელ კოლორიტს განსაკუთრებით აძლიერებს ტრაგიკული რეფრენი- „არასოდეს“ (Nevermore).

01

ერთხელ ღამით ფიქრთა შუა დაღლილობამ შემიტყუა
და ვთქვი – ალბათ, სევდა თუა, ამ ძველ წიგნებს ვფურცლავ ოდეს...
ძილს ვებრძოდი მთელი ღამე, კაკუნი რომ მომესმა მე,
თითქოს ვილაც ანდა რამე კართან შინ მე მომდგომოდეს,
"სტუმარია?! – ვეჭვობ, რომ სხვა კართან ვინმე მომდგომოდეს
და სათქმელი რამე ჰქონდეს".

17

“მაშ, ამ სიტყვით გამეცალე, გადი გარეთ ქარში მალე,
ფრინველი ხარ თუ ეშმაკი?! – სჯობს, გზა ჯოჯოხეთში გქონდეს!...
სჯობს, კარისკენ გაემართო, სულს ცრუ გზნება არ დამართო,
მე დამტოვე ისევ მარტო... მოშორდები ბიუსტს ოდეს,
სჯობს ჩემს გულსაც შენი კლანჭი აღარასდროს დასტყობოდეს!...“
და მომესმა – "არასოდეს!"

მივაშტერდი ყორანს მყის და – ის უძრავად ზის და ზის და -
თითქოს ბიუსტს პალადისას საუკუნოდ დასჯდომოდეს,
მზერაც თითქოს გაუქვავდა, მეოცნებე დემონს ჰგავდა,
და მის ჩრდილქვეშ ვიგრძენ კვლავ და მივხვდი, სული უნდა ძრწოდეს,
ყორნის ჩრდილში ჩაფერფლილ სული, მარად უნდა ძრწოდეს,
და არ აღდგეს არასოდეს“

პოეზია ედგარ პოსათვის თავისუფლებაა, რომელიც ახალ ზომებს, ახალ ინტონაციებს და ემოციას საჭიროებს; პოეტმა შეძლო მიეღწია განსაკუთრებული მუსიკალობისა და ჟღერადობისათვის, შემოიტანა ცინცხალი განწყობა და შთაბეჭდილება, მისი ლექსიკა „ახალი“ და ემოციურად დამუხტულია. იგი ხშირად მიმართავდა რეფრენს, ძირითადი იდეის სიტყვიერ განმეორებას, განწყობისა და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა ლექსი „ზარები“ (ელლს, 1849), რომელშიც ავტორი ზარის ხმოვანების სხვადასხვა ტონალობას მხიარულიდან და ბედნიერებიდან ავბედითამდე, ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს უკავშირებს, მისსივე ტრაგიკული დასასრულით, რასაც აძლიერებს რეფრენი „ზარები“ (5,16).

პომ როგორც პროზაიკოსმა აღიარება ადრიდანვე მოიპოვა – 1833 წელს მან ბალტიმორის ჟურნალისაგან მიიღო პრემია მოთხრობისათვის „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ (**Manuscript Found in a Bottle**).

ცხადია, აქაც, პროზაში ჭარბადაა ტრაგიზმი, გამონვეული მშვენიერი ასულის დაღუპვით („მორელა“ ორელლა, 1835; „ლიგია“ იგეია, 1838; „ოვალური პორტრეტი“ ვალ ორტრაიტ , 1842); მისი მოთხრობები ძირითადად სულით ობლობის, მარტოობის, წუთისოფლის ბოროტი ვნებების, წყევლისა და ჭირის ასახვაა, როგორც თავად მიიჩნევდა „საინტერესო თემები, ხშირად საშინელნი არიან, თითქოს გამოუსადეგარნი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, მაგრამ მათ დამუშავებას მაშინ აქვს აზრი თუ ისინი გაშუქებულია ქეშმარიტების მკაცრი სიდიადით. („ნაადრევი დასაფლავება“, **Premature Burial**, 1844) (5,25).

პო მკითხველის ინტერესს პირველივე ფრაზიდან ეუფლება, დინამიკური თხრობა, სურათების სწრაფი ცვლა, ემოციური ფონი შთაბეჭდილებათა ერთიანობით და განწყობათა სიმკვეთრით გამოირჩევა. მისი მწერლური პრინციპი ნათლად სჭვივის პრინციპში – „ზედმეტია ყველა სიტყვა, რომელიც ხელს არ უწყობს შინაარსის გახსნას“, ამიტომაცაა მისი თხრობა, ლაკონიური, პოეტური და მუსიკალურობით სავსე. მოთხრობელი, უმთავრეს შემთხვევაში, პირველი პირია, რომელიც საკუთარ თავგადასავალს გვიყვება: მაგალითად, „ერთი კასრი ამონტილიადო“-ს (**The Cask of Amontillado**) გმირი ასე იწყებს თავის თხრობას: „ათასგზის მანყენინა ფორტუნატომ და სულ მოვუთმინე, მაგრამ შეურაცყოფა რომ გამიბედა, დავიფიცე აღარ შევარჩენ-მეთქი. თქვენ კარგად მიცნობთ და, თქმა არ უნდა, არც კი იფიქრებთ ამას წამოროშავდამო. დაბოლოს, შური უნდა მეძია, ცხადი იყო ეს ჩემთვის, მაგრამ სწორედ ამ გადაწყვეტილების სიმტკიცემ მაფიქრებინა, სიფრთხილე მმართველს-მეთქი. ანდა დამესაჯა ის კაცი, მაგრამ მე თავად უნდა გადავრჩენილიყავი სასჯელს. რაღაა ის შურისძიება, თუ შურისმაძიებელს აზღვევინებენ. ის შურისძიებაც რაღაა, თუ შურისმაძიებლის ხელი თავად არ მოიხვეჭს საზღაურს“ (1,159). ვხედავთ, რომ ნაწარმოების თემა განსაზღვრულია პირველსავე სიტყვებში, მკითხველის თვალწინ მაღალმხატვრული ოსტატობით იხატება შურისმაძიებლის მომავადობელი ფსიქოლოგიური პორტრეტი.

1841 წელს შეიქმნა „მალშტრემში დანთქმა“ (**escent into the Maelström**), ადამიანის გონების ძალის გამაღიებელი თხზულება; განწირული გმირი თითქოს, უიმედო მდგომარეობაში მყოფი, საშინელ მორევში მოხვედრილი, მოიკრებს ძალას, დააკვირდება მორევის დინების მიმართულებას და ამით იხნის თავს საშინელი სიკვდილისაგან: „უკვე ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა და აღარ ვმერყეობდი... იმედი არ გამცრუებია. როგორც მოველოდი სწორედ ისე მოხდა, რაკილა ამ ამბის მოთხრობელი ცოცხალი ვარ, ცხადია თავი დამიღწევია განსაცდელისათვის“ – ამბობს

მოთხრობის გმირი, გამომხატველი ადამიანური შესაძლებლობებთან უსაზღვრობისა (1,36) ასეთივე რწმენითაა გამსჭვალული პოს დეტექტიური ჟანრის მოთხრობები, რომლებიც ავტორის უსაზღვრო ანალიტიკურ ნიჭზე და რწმენის უძლეველ ძალაზე მიუთითებს; ასეთია მაგალითად „ნაპარავი წერილი“ (The Purloined Letter).

ედგარ პოს, მის ცხოვრებას და შემოქმედებას ყველაზე მეტად მისივე სიტყვებს მივუსადაგებდი „ამბობენ, რომ ნათლად ვლაპარაკობდი, თუმცა კი ხაზს ვუსვამდი ყოველ სიტყვას და გააფთრებით ვჩქარობდი, თითქოსდა მეშინოდა, ვაითუ შემანყვეტინონ და აღარ დამასრულებინონ-მეთქი სათქმელი, რომელმაც მიმცა ჯალათსა და ჯოჯოხეთს“ (1,158). უნდა ვიფიქროთ, რომ ყოფიერების ჯოჯოხეთში მოქცეულს საბოლოოდ არ წარუკვეთავს სასო, ნუთისოფლიდან იმედიანი და რწმენით სავსე გასულა: „ღმერთო იხსენი ჩემი საბრალო სული“ – მისი საბოლოო, სუნთქვას ამოყოლილი სიტყვები ყოფილა.

ლიტერატურა:

1. ედგარ ალან პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, თბ. 2011.
2. По Эдгар. Избранные произведения. В 2-х т. М., 1972.
3. По Эдгар. Полное собрание рассказов. М., 1970.
4. По Эдгар. Лирика. Л., 1976.
5. По Эдгар. Стихотворения. Проза. М., 1976.
6. Николукин А. Жизнь и творчество Эдгара Аллана По. — В кн.: Эдгар По. Полное собрание рассказов. М., 1970.
7. Quinn A. H. Edgar Allan Poe. A critical biography. New York, 1941.
8. Haincs Ch. Edgar Allan Poe. His writings and influence. New York, 1974.
9. Krutch, Joseph Wood. Edgar Allan Poe: A Study in Genius. New York: Alfred A. Knopf, 1926.

DIANA MIKELADZE

EDGAR ALLAN POE INNOVATE WRITER OF THE AMERICAN LITERATURE

SUMMARY

The article deals with the work of the most important and influenced American writers of the 19th century-Edgar Allan Poe. Poe's work as an editor, a poet and a critic had a profound impact on American and international literature. His stories mark him as the "architect" of the modern short story. He was also one of the first critics to focus primarily on the first critics of style and structure in a literary work. He both amazed and antagonized his contemporaries, who could not dismiss him from the first rank of writers. Poe's works have always been morally questionable.

Today Poe is remembered as one of the first American writers who became a major figure in the world literature.



ლიანა მიქელაძე

/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ჯონ მილტონი – თავისუფლების მომღერალი

„მიდიან დღენი, ზამთარს მოსდევს კვლავ გაზაფხული,
ჩემთვის კი არა, დღე არასოდეს გამითენდება!
ველარ ვიხილო ტკბილი დილის მოახლოება,
ველარც სალამო სანუკვარი, ნახირი, მწყემსი,
ვერც გაზაფხულის ყვავილები, ზაფხულის ვარდი....
ვერ განვიცადო ღვთაებრივი მშვენიერება.
შემომხვევია გარს ღრუბელი. მარადი ბნელი
მისპობს ყოველგვარ ნეტარებას, ადამიანურს.
და ცოდნის წიგნი, ეს ბუნების შეცნობის წყარო.
ჩემთვის ჩაშავდა, დაიხურა და წაიშალა,
გზა სიბრძნისაკენ – დასაწყისში გადამეღობა.
მით უფრო ძლიერ, ღვთაებრივი სინათლის წყაროვ,
მე შინაგანად განმანათლე, სულიერ ძალებს
შუქი მოჰფინე, ჩამისახე თვალები სულში,
გაჰფანტე სულმთლად, გადასწმინდე მისგან ბურუსი,
რომ ყველაფერი დავინახო, ვიუბნო ყველა,
რასაც ვერა სჭვრეტს ვერასოდეს მოკვდავის თვალი...“

(თარგმნა ვ. ჭელიძემ)

ეს ჯონ მილტონია, უფრო ზუსტად, პოეტის სულიერი ავტობიოგრაფია; გარეგნულად კი საშუალოზე ოდნავ დაბალი ყოფილა, ლამაზი, ცისფერთვალა, მაგრამ ვაჟკაცური იერიისა, შუბლზე გაყოფილი ქერა თმით. სრული სიბრძნის დროსაც კი, სხივმოსილი მზერა ჰქონდაო, გადმოგვცემენ ბიოგრაფები. ერთი მისი თანამედროვე პოეტის ხასიათს ასე აღწერს: „მილტონის ხასიათში მკაცრი სერიოზულობა იგრძნობოდა, მაგრამ ვერ იტყოდი, ქუში და დაბლვერილიაო. მისი ამაღლებული გონება წვრილმანი საქმეებისათვის ვერ იცლიდა, საუბრის დროს ხშირად სატირული ტონი ჰქონდა. სასიამოვნო თანამოსაუბრე იყო და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა“ (2, 9).

ინგლისელი ლიტერატურათმცოდნეები ჯონ მილტონს თითქმის ერთსულოვნად მოიხსენიებენ შექსპირის გვერდით. იგი დღესაც ძალიან პოპულარული ავტორია თავის სამშობლოში, რომელსაც შესწირა პირადი ცხოვრება, მწერლის ბიოგრაფების მიერ „სამაქტიან დრამად“ ნოდებული (3, 5). ამის თაობაზე შესანიშნავად ამბობს ვ. ჭელიძე: „ეს მართლაც მოხდენილი გამოთქმაა და კარგად გამოხატავს მწერლის ცხოვრების მთელ გზას. მოხდენილი და შესაფერისია არა მარტო იმიტომ, რომ პოეტის ცხოვრება თავისუფლად შეიძლება გაიყოს სამ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ პერიოდად, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მისი ცხოვრება მართლაც მღელვარე დრამას წარმოადგენს, თავისი დიდი ვნებათ-ღელვანით, დიდი ძვრებითა და სევდიანი დასასრულით“ (2, 5).

მილტონის ცხოვრების პირველი აქტი. მილტონის წინაპარი ოქსფორდის მახლობლად შოტოვერის მეტყვევე ყოფილა, თავგამოდებული კათოლიკე, რომელსაც პოეტის მამისათვის მემკვიდრეობა პროტესტანტული მიდრეკილებების გამო ჩამოუერთმევია. მწერლობისა და მუსიკის მოყვარული ხელმოცარული ახალგაზრდა კაცი ლონდონში საკუთარი შრომისა და უნარის ხარჯზე იწყებს საქმიანობას, მალე დაოსტატებულია სავაჭრო საქმიანობაში და ამით საკმაო ქონებაც დაუგროვივებია (3, 13).

ჯონ მილტონი 1608 წელს მოეწვინა ინგლისს; ბავშვს მამისაგან მწერლობისა და მუსიკის ნიჭი დაჰყოლია, დედისა კი — სათნოებით სავსე გული და თვალების სისუსტე. მთელი ცხოვრება დიდი პოეტისა, მისი წარმატებაც და წარუმატებლობაც, ბედნიერება თუ პირადი ტრაგიზმი ამ შთამომავლობითი თვისებებითა თუ მიდრეკილებებითაა გაპირობებული. მომავალი პოეტი მეტად შრომისმოყვარე ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს: „რაც თორმეტი წლის გავხდი, მე არ მახსოვს შუაღამემდე დავწოლილიყავი ლოგინში, ერთთავად ვმეცადინებოდი“-ო. მიზანმიმართული და ბეჯითი მილტონი პატარაობიდანვე საფუძვლიანად გაინათა ლათინურსა და ბერძნულში, ახლგაზრდობის წლებში კი ფრანგულს, იტალიურს, ებრაულსა და, როგორც ამბობენ, ქალდეურსა და სირიულსაც დაეუფლა (3, 26).

კემბრიჯში სტუდენტობისას, სადაც სიბეჯითითა და პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა, დაიწყო ლექსების წერა, თავდაპირველად, ლათინურ ენაზე, მალევე მშობლიურ ინგლისურზე გადავიდა. სხვათა შორის, ამავე პერიოდში დაუწერია სონეტები იტალიურ ენაზეც. კემბრიჯში შვიდწლიანი განსწავლის შემდეგ იგი ბუნების სიმყუდროვეში განმარტოვდა სწავლისა და ფიქრისათვის.

როგორც ჩანს, მამასთან სულიერმა ერთობა-ნათესაობამ შეაძლებინა მილტონს სოფელში მთელი დრო სრულ „მოცალეობაში“ გაეტარებინა. მეტი წაეკითხა, შეესწავლა და საკუთარი შემოქმედებისთვისაც მიეხედა. სოფელში შექმნა მან „კომუსი“, პიესები — „L'Allegro“ („მხიარული“, იტალიურად), „Il Penseroso“ („დაღვრემილი“) და რამდენიმე ლექსი. ამ პოემებზე დაყრდნობით აცხადებენ ბიოგრაფებიცა და ლიტერატურათმცოდნეებიც, რომ ეს პერიოდი მილტონის მსოფლმხედველობრივი გაორების პერიოდია — ერთი მხრივ, ჰუმანიზმისა და რენესანსული სულისკვეთების მილტონში მძლავრი პურიტანული შეგნება და ესთეტიკა სუფევს (4, 32).

„ტყუპ პოემებად“ წოდებული ეს ნაწარმოებები ერთდროულადაა დაწერილი და რადიკალურად განსხვავებულ განწყობასა და ემოციას გამოხატავს. „L'Allegro“ მხიარულისა და უნაღვლო ახალგაზრდის სახეს ხატავს, იდეალურ, ასე ვთქვათ, რენესანსულ გარემოსა და ემოციას გადმოსცემს მაშინ, როცა „Il Penseroso“-ში ყმანვილი მჭვუნვარეა, კაეშანსა და მელანქოლიას მოუცავს, მისი გასართობი სამეცნიერო წიგნებში კირკიტია. პოემის განწყობა ზუსტად ასახავს პურიტანულ სულიკვეთებას. ასეა თუ ისე, მილტონი ფიქრის და განსჯის პროცესში იმყოფება, ცდილობს გაერკვეს ადამიანის საამსოფლო დანიშნულებაში, მის მონოდებასა და მოვალეობებში. სხვათა შორის, შემოქმედების ადრეული პერიოდის ჰუმანურ-რენესანსული განწყობის დასახასიათებლად ხშირად ასახელებენ 1630 წელს დაწერილ „შექსპირს“ (On Shakespeare), სადაც გარდა დიდი წინაპრით აღფრთოვანებისა, მინიშნებულია ის სულიერი მემკვიდრეობა, რასაც მილტონი გრძნობს და განიცდის (3, 63).

ცხოვრების გეზისა და შემოქმედების თემატიკის თვალსაზრისით კონტინენტზე მილტონის მოგზაურობა მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ამბობენ იმასაც, რომ მილტონის ანტიპაპისტური და ანტიკათოლიკური პოზიციისა და პურიტანული მსოფლმხედვის საბოლოო გამოკვეთაში განსაკუთრებული როლი გალილეო გალილეისთან შეხვედრას უთამაშია. გვიან, ერთ-ერთ ტრაქტატში, რომელიც სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას ეხებოდა, მილტონმა საგანგებოდ გაიხსენა ეს შეხვედრა და სიტყვის თავისუფლების დათრგუნვა ინკვიზიციის მიერ გალილეოს მიმართ ჩადენილ საქციელს შეადარა.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ იწყება პოეტის ცხოვრების დრამის მეორე აქტი, რომლის მთავარი პერსონაჟი პოლიტიკური მოღვაწე და რევოლუციის ტრიბუნი მილტონი გახლავთ. იგი მთელი შთაგონებით ჩაერთო რესპუბლიკისათვის ბრძოლაში და, შესაბამისად, ლირიკულ-პასტორალური ჟანრი მის შემოქმედებაში ჩაანაცვლა მწვავე და მგზნებარე პუბლიცისტიკამ, რომელშიც გამოჩნდა რევოლუციონერი პურიტანი-პოლემისტის ტალანტი.

ერთმანეთის მიყოლებით იქმნება მისი პამფლეტები: „არეოპაგიტიკა“ (Areopagitica, 1644), „აღზრდის შესახებ“ (On Education, 1644), „ხატმებრძოლი“ (Eikonoklastes, 1649), „ინგლისელი

ხალხის დაცვა“ (Pro Populo Anglicano Defensio, 1650), „მეორე დაცვა“ (Defensio Secunda, 1654).

„არეოპაგიტიკა“ დღესაც კი ორატორული ნიჭისა და მგზნებარების ბრწყინვალე მარგალიტადაა მიჩნეული ინგლისურ ლიტერატურაში. პარლამენტისადმი მოწოდების ამ შესანიშნავ ტექსტში „ნიგნის მოკვლა“ კაცის კვლასთანაა შედარებული. სწორედ აქ ჩნდება გალილეის წამებული სახე, როგორც აღმართოვანებელი თავისუფლებისადმი თავისი ნებითა და გაუტეხლობით. ტრაქტატის გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაც მთავარია, სათანადო შედეგიც. ცენზურის გავლენა საგრძნობლად შემცირდა — როგორც მოგვითხრობენ, ერთი ცენზორი იმდენად შეუწუხებია სინდისს, რომ სამსახური დაუტოვებია კიდეც (3, 237).

„არეოპაგიტიკა“ ახლაც იპყრობს ყურადღებას, დღესაც განსაკუთრებული აქტუალობით იკითხება მისი სტრიქონები: „... სულ ტყუილა ვცდილობთ აკრძალვებისა და ლიცენზირებების მეშვეობით მის (თავისუფალი და მართალი სიტყვის — დ.მ.) ადგილზე დაბმას: ოდეს ყოფილა ჭეშმარიტებას საკუთარ სამყოფელამდე გზა ვერ გაეკვლიოს? ტყუილ-მართალის შეხლისას სიმართლეს ღია და პატიოსანი კონკურენციის პირობები სჭირდება მხოლოდ“ (3, 159). ეს სიტყვები მეჩვიდმეტე საუკუნეში დაინერა, მაგრამ ვერავინ შეძლებს უარყოს მისი უაღრესი თანადროულობა. მილტონის იდეით, ამ წუთისოფლადაც კი „ჭეშმარიტება ძლიერია ყოვლისშემძლის შემდეგ“, იგი ღვთაების, აბსოლუტური სიკეთის, აბსოლუტური ჭეშმარიტების ანარეკლია, „ღმერთი იახლოებს მათ, ვინც გამორჩეული ნიჭითა და ძალისხმევით უნართაა დაჯილდოებული, რათა კიდეც ერთი ნაბიჯი გადაიდგას ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე“ (3, 163). ჭეშმარიტება შეიძლება მიიჩქმალოს, დაიჩაგროს, თვალს მიეფაროს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით; მისთვის თავდაჯერებულ მებრძოლ ადამიანთა ხვედრი ჭეშმარიტების გამომზევება არის, „რათა მოკვდავთა თვალებმა სრულად შეითვისონ მისი ბრწყინვალეობა“ (3, 165). ჭეშმარიტების შემეცნებისა და შეთვისების ქმედითი ინსტრუმენტი კი ნიგნია, რომელსაც ძალუძს ადამიანს დაანახოს ავიცა და კარგიც, შთააგონოს კეთილი და წააქეზოს უმთავრესი ღირსებისაკენ, რაც თავისუფლების დღენიადაგ დამკვიდრებაში მდგომარეობს. ამით არის ნიგნი „კეთილი სულის საზრდო, ცხოვრების შემდგომი ცხოვრებისათვის განმამზადებელი“. ნიგნის, ესე იგი, ცოდნის ძალას შეუძლია ადამიანი გაათავისუფლოს (გავიხსენოთ ბეკონი — ცოდნა ძალაა), რაც იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარ ცხოვრებაში დაამკვიდროს ჭეშმარიტება, მოიპოვოს ბედნიერება. ამიტომაც მოუნოდებდა მილტონი საკუთარ ერს ჭეშმარიტების მაძიებლობისაკენ — „ინგლისი არის ერი, რომელიც მოწოდებულია ეძიოს ცოდნა... მუდმივად ახლის ძიებაში მიიღრიკოს განსჯისაკენ“ (5, 127). ამ სტრიქონების ავტორმა კარგად უნყოდა, რომ „თავისუფლებისათვის უდიდეს საფრთხეს ინერტული ადამიანები“ წარმოადგენენ, კონფორმისტი, ამბიციითა და ამპარტავნებით ავსებული ქონდრისკაცები, საკუთარ სტომაქს ჩაჩერებულნი, თანამდებობით მოქადაულნი.

1644 წელს არის შექმნილი ტრაქტატი აღზრდის საკითხებზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამ სფეროში მილტონის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებითაცაა გამდიდრებული. ევროპიდან ახალდაბრუნებულმა ჯერ საკუთარი დისწულების აღზრდა-განათლების საქმეს მიჰყო ხელი, შემდეგ უცხონიც შემოიმატა და ასე შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. ტრაქტატში იგი ახალგაზრდის თავისუფალი აღზრდისა და განსწავლის საკითხებზე პროგრესულ, იმ დროისათვის თამამ შეხედულებებს აყალიბებს. აღზრდის საქმეს სახელმწიფომ უნდა მიხედოს, სახელმწიფომ ამ სფეროში უნდა ჩადოს კაპიტალი, რათა სწორად აღზრდის გზით ჩამოაყალიბოს ხასიათით მტკიცე, ზნეობრივი, სამშობლოს წინაშე პასუხიმგებლობითა და მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული პიროვნება, რომელსაც შეეძლება საკუთარ ვნებათა მართვა; „მე მოვითხოვ თავისუფალსა და ყოველმხრივ აღზრდას, ამგვარად აღზრდილი ადამიანი ცხოვრებაში სამართლიანი იქნება, პირადას თუ საზოგადოებრივ მოვალეობებს ბრძნულად და ვაჟკაცურად შეასრულებს ომისა თუ მშვიდობის დროს“, — ნერდა მილტონი თავის ტრაქტატში. საერთოდ პიროვნების თავისუფლების საკითხს მილტონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და საზოგადოებრივი ბედნიერების საფუძვლად რელიგიის თავისუფლებას, პირად და მოქალაქეობრივ თავისუფლებას აცხადებდა. რელიგიის თავისუფლების სფეროში იგი რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყო-

ფას მოითხოვდა იმგვარად, რომ რელიგიის საქმეებში გარეგანი (სახელმწიფოებრივი) ჩარევა არ უნდა მომხდარიყო. რელიგია სრულ თავისუფლებას საჭიროებს, რადგან ადამიანის რწმენის საკითხი — დაასკვნინდა პოეტი სინდისის თავისუფლების იდეით გაჟღერებულ 1641 წელს დაწერილ ტრაქტატში „რეფორმაციისა და იმ მიზეზების შესახებ, რამაც აქამდე დააყოვნა ინგლისში მისი გატარება“ (5, 145).

ჯონ მილტონისა და ოლივერ კრომველის ურთიერთობის თემა ცალკე გამოკვლევას იმსახურებს. **The man of thought** – მოაზროვნე (აზრის, აზროვნების) კაცი — ასე მოიხსენიებდნენ ჯონ მილტონს თანამემამულენი; **The man of action** – საქმის (მოქმედების) კაცი — ასე კი, ოლივერ კრომველს. აზრი და საქმე — ერთმანეთისაგან განუყოფელი, ტყუპი, უერთმანეთოდ წარმოუდგენელი მახასიათებლები ადამიანის, ადამიანურის. მილტონისა და კრომველის ასეთი შეუღლება, სულხან-საბას პერიფრაზირებით რომ ვთქვათ, პროგრესისა და თავისუფლების სიტყვას საქმიანს ხდიდა და რევოლუციის საქმეს — სიტყვიანს. მოკლედ რომ ვთქვათ, თავისუფლებისათვის მებრძოლი ინგლისი მილტონს რევოლუციის ტვინად მიიჩნევდა, კრომველს კი — რევოლუციის ნებად.

ჯონ მილტონი კრომველთან სახელმწიფო მდივნად მუშაობდა, იგი იყო მოაზროვნე ცენტრი სახელმწიფოსი, ადგენდა დიპლომატიურ მიმონერას, ოქმებს, რაც მაშინ ლათინურ ენაზე წარმოებდა. სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან ერთად პასუხობდა ყველაფერს, რაც ინგლისში თუ მის გარეთ რევოლუციის სანინაღმდეგოდ იწერებოდა. ერთი ასეთი, ფრიად საყურადღებო წერილი გახლავთ მისი „ხატმებრძოლი“, რომელიც მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ როიალისტი ეპისკოპოსის ჯონ გოდენის საპასუხოდ დაიწერა. გოდენმა მეფე ჩარლზ I-ის იდეალური, კეთილშობილი სახე შექმნა და წამებულის მანტია მოასხა მას, რამაც ხალხის მონარქისტულ განწყობებზე ძალიან იმოქმედა. მილტონის შესანიშნავი ორატორული ხელოვნებით დაწერილმა საპასუხო პამფლეტმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, რესპუბლიკის საქმის სამართლიანობაში დაჯერებული ხალხი ისევ რევოლუციისაკენ შემობრუნდა. ასეთივე მნიშვნელობისა იყო მისი ადრინდელი წერილები „ინგლისელი ხალხის დაცვა“ (**Pro Populo Anglicano Defensio, 1650**) და „მეორე დაცვა“ (**Defensio Secunda, 1654**). თავის ნაწერებში მილტონი იმ აზრს ატარებდა, რომ ნებისმიერ ხალხს აქვს სრული უფლება მმართველობის ის ფორმა აირჩიოს, რომელიც მის ინტერესებს შეეფერება. ხალხს აქვს უფლება ხელისუფლება ჩააბაროს ცალკეულ პირებს, რომლებმაც ამ უფლების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ ხალხის ინტერესებით და მის წინაშე საკუთარი ვალდებულების ზნეობრივი პრინციპით. უფლებათა ბოროტად გამოყენება კი სასჯელს იმსახურებს, ხალხს აქვს უფლება დასაჯოს ამგვარი ხელისუფალი, მისი წარმოშობისა და რანგის მიუხედავად. მილტონი ბოლომდე ერთგულებდა რესპუბლიკის იდეას და რესპუბლიკის ერთადერთ ქმედით დამცველს — ოლივერ კრომველს. 1652 წელს იგი წერს სონეტს „ლორდ-გენერალ კრომველს“, სადაც ნაცად მებრძოლსა და უაღრესად კეთილშობილ პურიტანს, მისი უდრეკი ნებისა და ხასიათის თვისებების გამო ამკობს და იქვე ერთპიროვნულ მმართველობაში ჩასაფრებული საფრთხეების შესახებაც აფრთხილებს. მას გარდაუვალ, არასასურველ აუცილებლობად მიაჩნდა „ლორდ-პროტექტორის“ ერთპიროვნული მმართველობა, რესპუბლიკური იდეის მტრებზე საბოლოო გამარჯვებისათვის. იგი სახელმწიფოს პოლიტიკური მდივნის ფუნქციას ასრულებდა ბოლომდე, კრომველის სიკვდილამდე და მისი მემკვიდრის, ახალი „ლორდ-პროტექტორის“, კრომველის ვაჟის დროსაც. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ეს მილტონის მხრიდან ზნეობრივი კომპრომისია, ან მივიჩნიოთ, რომ „კრომველის მიერ ირლანდიაში გატარებული სისხლიანი დამპყრობლური პოლიტიკის რეაქციულ-იმპერიალისტიურ ხასიათს ვერ ხედავს“ და სხვ. საქმე პირიქითაა. ყველაზე და ყველაფერზე მაღლა მისთვის ინგლისის ინტერესები დგას, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ უმნიშვნელოდ და ერთგულებით ემსახურებოდა თვითონაც და ლორდი-პროტექტორი ოლივერ კრომველიც. ასეთი იყო მილტონის შინაგანი რწმენა (5, 188).

1660 წელს, როგორც ცნობილია, როიალისტებმა მოახერხეს მონარქიის რესტავრაცია. ტახტზე ავიდა ჩარლზ II სტიუარტი, რომელმაც დაივიწყა ჰოლანდიის ქალაქ ბრედაში მიღებუ-

ლი ე.წ. ბრედას დეკლარაცია ამნისტიის, აღმსარებლობის თავისუფლებისა და ქონების ხელშეუხებლობის შესახებ და დაიწყო რეპრესიები რესპუბლიკის მოღვაწეთა მიმართ (6, 72-76).

ამით იწყება მესამე აქტი მილტონის ცხოვრების დრამისა. იდეურ ტრაგედია განცდილი, როიალისტთა რეპრესიას გადარჩენილი, ორივე თვალდაშრეტილი პოეტი სრულიად უსახსროდ დარჩა, ჯანგატეხილი და მზრუნველობას მოკლებული. მილტონმა სულიერ ძალთა სრული მობილიზაციით გააგრძელა ცხოვრება და მუშაობა. აქ სასურველად მივიჩნევთ ვრცელი ამონარიდი მოვიყვანოთ ვ. ჭელიძის წერილიდან, სადაც ხატოვნადაა აღწერილი ბოლო წლებში მილტონის ცხოვრების წესი: „ზაფხულობით დილის ოთხ საათზე იღვიძებდა, ზამთრობით — ხუთზე; ადგებოდა თუ არა, ვინმეს ებრაული ბიბლია უნდა წაეკითხა მისთვის, თითო თავი. ამას მოჰყვებოდა საუზმე და შემდეგ მუშაობა თორმეტ საათამდე, მერე სადილი. მსუბუქი ვარჯიში ერთი საათი. მერე ორღანს მიუჯდებოდა (გამწარებულ სიბერეში გამოადგა მამის მუსიკალური გაკვეთილები). ზოგჯერ მღეროდა, ან მუსიკის აკომპანიმენტით ცოლს ამღერებდა ხოლმე, რომელსაც, მისივე სიტყვებით, ხმა კი კარგი ჰქონდა, მაგრამ სმენა — არა. შემდეგ ისევ მუშაობა ექვს საათამდე. ექვსიდან რვამდე სტუმრებს ესაუბრებოდა, თუკი ეწვეოდა ვინმე. ამას მოჰყვებოდა მსუბუქი ვახშამი. ძილის წინ ჩიბუხს გააწყობდა და მოსწევდა, ერთ ჭიქა წყალს დალევდა და ცხრა საათზე იძინებდა. ეკლესიაში არ დადიოდა, თავისთვის ლოცულობდა“. ასეთ ყოველდღიურობაში აზროვნების ტიტანმა შექმნა თავისი შედეგები „დაკარგული სამოთხე“ (დაასრულა 1665 წელს, ჩალფონტში) და „სამსონი“ (1671 წ.), იმავე წელსვე დაიწერა „დაბრუნებული სამოთხე“ (2, 16-17).

პოემის სიუჟეტი ბიბლიურია, მაგრამ ყოველი სტრიქონიდან იგრძნობა კრომველის რევოლუციის სულისკვეთება, ის განწყობილებანი, რომლებიც რევოლუციის პურიტან მონაწილეებს ასულდგმულელებდა. ესაა ეპიკური ტილო რევოლუციის იდეალებზე, მისი იდეების ჭეშმარიტებასა და ამ ჭეშმარიტების დროებით მარცხზე. პოემაში ინგლისის ცხოვრებაში განხორციელებული უკომპრომისო კონფლიქტია გადმოცემული თავის წინაღმდეგობებით, ვნებებითა და ემოციებით; კონფლიქტი, რომლის მონაწილეცა და ერთ-ერთი შემოქმედიც თვითონ მილტონი იყო. პოემაში დახატული ღმერთი სრული ანტიპოდია ბიბლიური ღმერთის. იგი ხშირად უსამართლოა, უსამართლოდ მსჯელობს და მოქმედებს, აკლია ლოგიკა და აზროვნების სიღრმე. პოეტი არ ერიდება აჩვენოს მისი ნაკლოვანი მხარეები.

პოემის სატანაც არა ჰგავს ნამდვილ სატანას. მილტონის სატანა გმირი მოქმედია, თავისუფლებისათვის მებრძოლი სული, რომელმაც მეგობრობაც იცის და თავგანწირვაც. მისი დამარცხება უსამართლობაა, რადგანაც თავისუფლებისათვის მებრძოლი არ უნდა მარცხდებოდეს — ასეთია მილტონის დასკვნა.

არც ევას მაცთუნებელი გველია ბილნი და გაიძვერა მაცთუნებელი. იგი შემეცნებელი არსებაა, მის მოქმედებაში მხოლოდ უბრალო ცდუნება არ ჩანს, ეს უფრო შეგონებაა, თანაც სათანადოდ არგუმენტირებული, დასაბუთებული. მოკლედ რომ ვთქვათ, აქ მთელი რევოლუციაა, რევოლუციის გმირები მოქმედებენ და იბრძვიან. ღმერთშიც, სატანაშიც, ანგელოზებშიც რევოლუციის რაინდები მოსჩანან. თვითონ მილტონიც, თვალეზაშრეტილი, მაგრამ სულიერად მხნე და გაუტეხელია, რომელსაც ბრძოლა წაუგია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ომს წარმატებით დაასრულებს.

საგულისხმოა პოემის ფინალი, სადაც ევა ადამს ასე მიმართავს:

„ვიცი სად იყავ და საიდან მოდიხარ ახლა,
რადგან უფალი ძილშიც ხშირად გვეწვევა ხოლმე;
ახლაც, სევდისგან გულშეკუმშულს და დამწუხრებულს,
ბოლოს და ბოლოს ძლივსძლივობით რომ ჩამეძინა,
მან სანატრელი მომავალი სიზმრით მაუწყა,
წამო, წავიდეთ, წუთითაც კი არ დაგაყოვნებ,
შენთან წამოსვლა იმას ნიშნავს, თუნდ აქ ვრჩებოდე,
ხოლო უშენოდ აქ დარჩენა, ეს იგივეა,

თუნდაც სამოთხე დამეკარგოს სამარადუამოდ.
მთელ ცისქვეშეთში მე შენს გარდა არავინა მყავს,
ყველაფერი ხარ ჩემთვის, ადამ, შენ სამოთხიდან
ჩემთა უნებურ ცოდვათ გამო გაძევებული.
მაგრამ ნუგეში მე აქედან მაინც მიმყვება:
თუმც ყველაფერი დაილუბა ჩემი მიზეზით,
ასე უღირსი მაინც ღირსმყო უფალმა ღმერთმა —
რომ რაც დავკარგეთ, ჩემი თესლით

კვლავ აღვიდგინოთ“.
(ვ. ჭელიძე)

ადამის მონაგართა ცხოვრების გზას, მათს ბრძოლას თავისუფლებისათვის ღმერთი წინამ-
ძღვრობს, რადგანაც იგია უპირობო, აბსოლუტური თავისუფლება, მიზეზიცა და მიზანიც კაც-
თა ცხოვრება-შემოქმედებისა.

პოემის ცენტრალური ფიგურა სატანაა, რევოლუციის, უკეთ რომ ვთქვათ, კრომველის მა-
სახიერებელი, რომელსაც ღმერთის, ანუ ინგლისის მეფის დამხობა განუზრახავს:

„ჩვენ ომის მიზნად დავგვისახავს ღმერთის დამხობა,
(თუკი გადავწყვეტთ და საომრად თუ ავმხედრდებით) —
ანდა აღდგენა დაკარგული უფლებებისა.....
თუ ზენაარი არ დავამხეთ, არ დავამარცხეთ,
სასუფეველში რალა ადგილს უნდა ველოდოთ?!
ვთქვათ, კვლავ შევპირდეთ მორჩილებას და

ისიც მოლბეს,

გადმოგვაფრქვიოს შეწყალება, მაშინ ზეცაში
რა თვალთ უნდა შევყურებდეთ, ქედმოდრეკილნი,
მკაცრი კანონით შეზღუდულნი?!...“

(ვ. ჭელიძე)

პოემა ფართო ეპიკური ტილოა, თორმეტი წიგნისაგან შემდგარი, რომელიც დედანში იშვი-
ათი მუსიკალობით გამოირჩევა. ბევრი ამას მამისაგან მემკვიდრეობით გამოყოლილ მუსიკა-
ლურ ნიჭს მიაწერს, ბევრი იმასაც, რომ ნაწარმოები ზეპირად, დეკლამაციური ფორმით ითხზვე-
ბოდა თვალდავსილი ავტორის მიერ. ასეა თუ ისე, პოემამ, საბოლოოდ, უკვდავება არგუნა რე-
ვოლუციის ტრიბუნს და სამუდამოდ განუკუთვნა ადგილი შექსპირის გვერდით (3, 398).

ერთი გადმოცემის მიხედვით, მეგობარს, რომელსაც წაეკითხა „დაკარგული სამოთხე“,
უთქვამს პოეტისთვის — „სამოთხის დაკარგვა უკვე აღწერე, დაბრუნებას როდის აღწერო“. თითქოს ამ ეპიზოდმა შთააგონა მწერალი დაბრუნებოდა ამ თემას და დაენერა „დაბრუნებული სამოთხე“; თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოები არც თემის მიზანდასახულობით, არც იდე-
ითა და ფილოსოფიური სიღრმით, არც პოეტიკით ახლოს ვერ მივა „დაკარგულ სამოთხესთან“ (3, 403).

1771 წელს დაწერილი ტრაგედია „სამსონი“ ბიბლიურ სიუჟეტზე აგებული ნაწარმოებია და
იმავე თემატიკას ეძღვნება, რასაც „დაკარგული სამოთხე“. პოემაში ბევრი მკვლევარი ავტობი-
ოგრაფიულ მომენტებს ხედავს. სამსონი მეზრძოლი, მაგრამ ტრაგიკული გმირია, რომელიც ლა-
ლათის და მოშურნეობის გამო იღუპება, თუმცა მტერს ამარცხებს. მკითხველი მის სახეში მარ-
თლაც დაინახავს თავად ავტორს — თავისუფლების ნებით აღვსილს, ამაყსა და გაუტყეხელს:

„მცირე ხანს კიდევ მოეშველე ჩემს ბრმა ნაბიჯებს,
წამიძელ კიდევ, მივალწევდე ვიდრე იმ ჭალას,
სად მზე და ჩრდილი სამუდამოდ შეხამებულა.

იქ მიყვარს ჯდომა, როცა ვპოვებ ნანატრ შემთხვევას, -
ვთავისუფლდები მონურ შრომის მძიმე ტვირთისგან,
საპყრობილეში რომ მარგუნეს მონებთან ერთად.
სად პატიმარი, შებოჭილი, ტანჯვით ვისუნთქავ
ჰაერს ჩემსავით დატყვევებულს, ნესტიანს, მძიმეს.
მაგრამ აქ სხვაა, აქ მეძლევა უბედურს შვება,
მაცოცხლებელი მომიქროლებს სუნთქვა ციური,
ამო და სუფთა....“

(ე. კვიციანიშვილის თარგმანი)

აქ ისევე, როგორც „დაკარგულ სამოთხეში“, ბორგავს ჯიუტი, მემამოხე სული, რომელიც ვერასოდეს შეურიგდება დამარცხებას, თავისუფლების ფეხქვეშ გათელვას. ეს ავტორია, შეიძლება ასე ვთქვათ, უჩინო პერსონაჟი საკუთარი პოემის, თავისუფლების ნებით სულდგმული და კაცთა ცხოვრებაში მისი დამკვიდრებისათვის თავგადაკლული მებრძოლი — „რევოლუციის გამირი, რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ მილტონი, პოლიტიკურად განადგურებული, ფიზიკურად გატეხილი, უთვისტომო, ორივე თვალში სიცოცხლე დაშრეტილი, გამარჯვებული რეაქციის მიერ დევნილი, მაგრამ სულიერად მხნე და გაუტეხელი ჯონ მილტონი“ (2, 17). მილტონს სამსონივით შეუძლია თავისუფლების დამკვიდრების დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მან ცხოვრების ყველა ავბედობა გამოსცადა, გმირად შერაცხილმა დაცემის სიმწარეც იწვნია, მაგრამ, მისივე პერიფრაზით რომ ვთქვათ, არასდროს შეურაცხყვია და შეუბღალავს ღირსება და საკუთარი პრინციპი:

„რაც უნდა მოხდეს, ჩემგან ისეთს ვერას გაიგებთ
რომ შეურაცხყო ჩვენი ღმერთი, კანონი, ერი,
არც ჩემი თავი მემეტება შესარცხვენელად;
სიკვდილი მელის თუ სიცოცხლე, ვერაფერს ვიტყვი“

(ე. კვიციანიშვილის თარგმანი)

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მილტონი სოფლის მღვდელმა მოინახულა თურმე, „დაფხავებული ფიცრული სახლის პანია ოთახში“, რომლის კედლები სინესტისაგან ჩაობებულიყო – „შავი ტანსაცმელი კოხტად ადგა ტანზე. ფერკმრთალი იყო, მაგრამ ეს არ გავდა ავადმყოფურ ფერმკრთალობას, მიუხედავად იმისა, რომ ნეკრესის ქარებისაგან იტანჯებოდა. ხელის მტევნები ერთიანად დაემახინჯებინა სნეულებას, მაგრამ სახეზე ვერ შეატყობდი საშინელი ტკივილის კვალს...“ – პოეტი 1674 წელს გარდაიცვალა.

ლიტერატურა:

1. მილტონი ჯ., თბ., 1978.
2. ჭელიძე ვ., მილტონი ჯ., თბ., 1978.
3. Kiefer L. B. The Life of John Milton, 2003.
4. Miller L., Milton J. Among the Polygamophiles, New York, 1974.
5. Christopher H., Milton J. and the English Revolution, 1977.
6. Rosen J. "Return to Paradise". The New Yorker, June 2, 2008.
7. Eliot Ch. W. The Complete Poems of John Milton, New York, 1900.

DIANA MIKELADZE

JOHN MILTON – SINGER OF FREEDOM

SUMMARY

The present paper deals with the outstanding poet, pamphleteer, historian John Milton, his life and literary work. In his works he supported a political philosophy, which opposed tyranny and religion. He attempted to integrate Christian theology with classical modes. Despite the restoration of monarchy Milton did not lose his personal faith.

In his political writings, Milton addressed particular themes at different periods. Milton's own beliefs were in some cases both unpopular and dangerous. Milton is cleared as an early apostle of liberalism. He envisaged a step towards a freer republic or "free commonwealth". He had sown the seeds of a wider movement towards liberty that would flow hundreds of years after him.

Milton was famous for his unique style of blank verse and sonnets; he won the praise of the romantic poets for his skills.

It should be noted that Milton's influence on our world has been immense. Above all we continue to imbibe his doctrine and to believe its rightfulness.



ნონა ქობითიანი

/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

ირლანდიური თემა ჯორჯ მურის რომანის „ტბა“ მიხედვით

ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯორჯ მურის შემოქმედების მნიშვნელოვანი პერიოდი, ე.წ. „ირლანდიური პერიოდი“ (1901-1911 წწ./ უკავშირდება ირლანდიურ ლიტერატურულ აღორძინებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს.

აღსანიშნავია მწერლის მიერ ამ წლებში შექმნილი პროზაული ნაწარმოებები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რომანს „ტბა“.

თავდაპირველად რომანი „ტბა“ ჩაფიქრებული იყო როგორც კრებულის „მოუხვნილი ველი“ ერთ-ერთი მოთხრობა, მაგრამ მასში აღძრული თემატიკა და პრობლემები იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მოთხრობის ჩარჩოში ვერ ჩაეტეოდა და რომანის ფორმას მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, ბევრი რამით მოგვაგონებს იგი ამ კრებულის მოთხრობებს: „ჯულია კაპილის წყევლა“, სადაც სასულიერო პირი ამხელს გოგონას მქადაგებლის კათედრიდან, „სამშობლოს სევდა“ თავისი იდუმალი და მტკიცე მონოდებით გაქცევისკენ, „წერილი რომში“, სადაც მარტოხელა სასულიერო პირი გრძნობადობაში გადავარდნილა და მიწიერ გრძნობებს მისცემია, „გადასახლება“, სადაც საზოგადოება დაუნდობლად აგდებს სამშობლოდან ადამიანს.

და მაინც, ეს ნაწარმოები თავისი მიზანდასახულობით – აჩვენოს მხნე, ენერგიული ადამიანები, რომლებიც ირლანდიიდან გარბიან – უფრო ღრმავა, ვიდრე კრებულის ცალკეული მოთხრობა. რომანში უფრო მკვეთრად და დაპირისპირებული თავისუფლებას მონყურებული პიროვნება და ჩამორჩენილი ირლანდია, რომელსაც არ ძალუძს ხელსაყრელი პირობები შეუქმნას თავის მოქალაქეებს თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრებისათვის.

ჯორჯ მურმა თხრობის ცენტრში მოაქცია ირლანდიური კათოლიციზმის ყველაზე დამახასიათებელი ფიგურა – სასულიერო პირი და აჩვენა მისი გადასვლა კათოლიციზმიდან ესთეტიკურ წარმართობაში. ეს ცვლილება დამაჯერებლობას იძენს კონტექსტში, რომელიც მდიდარია სიმბოლოებით და სახეებით.

ირლანდიის ერთ-ერთი იზოლირებული მრევლის ახალგაზრდა სასულიერო პირი, მამა ოლივერ გოგარტი სკოლის მუსიკის მასწავლებლად მოიწვევს ვინმე როუზ ლეისესტერს. ცოცხალი, თავდარწმუნებული ახალგაზრდა ქალი მეოცნებე მამა ოლივერში სიხარულის შეგრძნებას გააღვიძებს. მუსიკისა და ყვავილების სიყვარული, რასაც იგი ქალსაც ასწავლის, დააკავშირებს და ამხანაგებად აქცევს მათ. ამ ხანმოკლე ბედნიერებას ბოლო ედება, როდესაც მამა გოგარტი შეიტყობს გაუთხოვარი როუზის ორსულობას. როუზი აღიარებს თავის ცოდვას, მაგრამ უარს ამბობს დაასახელოს ბავშვის მამა. ოლივერ გოგარტი გამოუთქმელ ტკივილს განიცდის იმის გამო, რომ როუზიმ დაარღვია კათოლიციზმის ტაბუ. მისი ტკივილი გაჯავრებაში გადაიზრდება. მქადაგებლის კათედრიდან იგი ამხელს როუზის, რომელიც სტოვებს ეკლესიას და უჩინარდება სოფლიდან. თავისი უხეშობით დარცხვნილი და შეცბუნებული მამა ოლივერი ფიქრობს, რომ როუზის შეეძლო თავი დაეხრჩო იმ უსახელო ტბაში, რომლისგანაც მომდინარეობს რომანის სახელწოდება. მის სევდასა და ნაღველს შვება სცვლის, როცა ლონდონელი სასულიერო პირის წერილიდან იგებს, რომ როუზი თავს კარგად გრძნობს და მასზე ზრუნავენ. იწყება მიმოწერა მამა გოგარტისა და როუზის შორის. ოლივერი იგებს, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ როუზიმ ბავშვის აღმზრდელად დაინყო მუშაობა ვინმე რალფ ელისთან, რომელიც თავი-

სუფლად მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, კარგად იცნობდა ბიბლიას და არ ეკუთვნოდა არც ერთ არსებულ ეკლესიას. როუზი ჯერ მდივნის მოვალეობას ასრულებს, შემდეგ კი – ევროპაში მოგზაურობის დროს მეცნიერის საყვარელი ხდება. თავის წერილებში როუზი იმეორებს ელისის შეხედულებებს; თავისი დამრიგებლური, ჭკუის სასწავლებელი ტიტინით – იგი შურს იძიებს მამა გოგარტზე. მაგრამ მისი წერილები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ შემოფოთებულ ოლივერ გოგარტზე და იგი იწყებს თავისი საკუთარი ცხოვრების საფუძვლიან შესწავლას.

მამა გოგარტი აღმოაჩენს, რომ იგი ყოველთვის რომანტიკული ტემპერამენტის ყოფილა და რომ მისი არჩევანი იყო რეაქცია მამამისის, მალაზიის მეპატრონის პედანტური ცხოვრების მიმართ. როცა ოლივერი თავის ცხოვრებას იხსენებს, აშკარა ხდება რომ მას სასულიერო მოღვაწეობისადმი მიდრეკილება გაუჩინა იმ ფაქტმა, რომ მთელი ცხოვრების გატარება მოუხდებოდა ვინმე ან მკვაფთან, თავისი ბავშვობის ამხანაგთან. ირლანდიაში ქორწინებისადმი ასეთი ზიზღი მიჩნეული იყო როგორც უდაო დამამტკიცებელი საბუთი რელიგიური მონოდებისა, მაგრამ ოლივერის შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ ქორწინებისადმი ასეთი ანტიპათია გამონვეულია არა ქალებისადმი ზიზღით, არამედ ირლანდიაში მიღებული ცხოვრების წესით. მართლაც რომ აუტანელია ყოველდღიური მონოტონური ცხოვრება მალაზიაში. ოლივერი გატაცებული იყო სათავგადასავლო ამბებით. ბავშვობაში მთელ დროს ყაჩაღებსა და მეკობრეების შესახებ დაწერილი წიგნების კითხვაში ატარებდა. როცა მისი ელიზა მონასტერში შედის, ოლივერი უეცრად იცვლის თავისი გატაცების საგანს. მისი გატაცების საგანი ხდება წმინდანთა ცხოვრებები და აქედან მოყოლებული იგი მტკიცედ გადაწყვეტს რელიგიას უძღვნას თავისი ცხოვრება. იგი ახალი სახის თავგადასავალს ხედავს იმ „წმინდანების ყოფაში, რომლებსაც ხორციელ ცხოვრებაზე უარის თქმით განუზრახავთ მიაღწიონ იმ ზღვარს, მიჯნას, რომლისგანაც შეეძლება დაინახონ სიკვდილს მიღმა არსებული საუკუნო ცხოვრება“. მეინუფში სწავლისას ოლივერის მიდრეკილება არაჩვეულებრივისა და რომანტიკულისადმი იმაში იჩენს თავს, რომ იგი გადაწყვეტს მიაღწიოს წმინდანთა უკიდურეს ასკეტიზმს მკაცრი დიეტისა და თვითგვემის მეშვეობით, რაც თავზარს სცემს სემინარიის მასწავლებლებს და ართობს მის ამხანაგებს, მომავალ ირლანდიელ სასულიერო პირებს. მას ხელი ააღებინეს ამ გადაწყვეტილებაზე.

ოლივერი ხდება გარანარდში, ტბის სანაპიროზე დასახლებული მრევლის მოძღვარი. იგი ერთგვარად კმაყოფილია თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით; ხშირად სტუმრობს თავის მრევლს; აქვს ბაღი, რომელსაც გულმოდგინედ უვლის, კითხულობს წიგნებს ან დახეტილობს ტბის სანაპიროზე. მის ცხოვრებაში ალბათ არაფერი ცვლილება არ მოხდებოდა როუზ ლეისესტერთან შეხვედრა რომ არა. ქალი გააღვიძებს მასში მთვლემარე გრძნობებს. როუზისგან მიღებული ყოველი წერილის შემდეგ სულ უფრო ღრმავდება ოლივერის თვითანალიზი, საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვება; მისი სულიერი მდგომარეობა სულ უფრო იძაბება, მაგრამ მას აქვს ზეშთაგონების მომენტებიც. საბოლოოდ იგი მიხვდება, რომ მისი მქადაგებლობა გამონვეულია როუზისადმი სიყვარულითა და ეჭვიანობით; მისი ნამდვილი მონოდებაა თავისი თავის შევსება, ღრმად დამარხული ბუნებრივი იმპულსების მიდევნება. და აი, ერთ მთვარიან ღამეს იგი ტბას გადაცურავს და ამით სასურველ თავისუფლებას მოიპოვებს. როუზისადმი სიყვარულის გამო როდი ანებებს იგი თავს სასულიერო მოღვაწეობას; მას იზიდავს არა როუზი, არამედ აბსტრაქცია, იდეა. და რომ ეს იდეა, რომელიც მოითხოვს მოშორდეს თავის წარსულ ცხოვრებას, თავის ქვეყანას, სხვა არაფერია თუ არა ცხოვრების ძიება. როუზი აუცილებელი სიმბოლოა გოგარტისათვის, მაგრამ შემდეგი ნაბიჯის გადადგმა ქალთან დაახლოების გზაზე ისეთივე საბედისწერო იქნებოდა, როგორც ან მკვრავის ცოლად შერთვა და დუქანში მუშაობა. სწორედ როუზთან განშორება და ამასთან დაკავშირებული ამბები ჩაახედებს მას ცხოვრების სიღრმეში, უარს ათქმევინებს კათოლიციზმზე და დააწყებინებს „პირადი ცხოვრების“ ძიებას.

საინტერესოა ის გზა, რომლის მეშვეობით ჯ. მურმა ასე მიუსადაგა სიმბოლო, ხატი და აზრის გადმოცემის მანერა რომანის მნიშვნელობას, ჩანაფიქრს, სასულიერო პირის რწმენის ევოლუციას. სწორედ ამ გზას იკვლევს და სწავლობს მკვლევარი ე. კენედი თავის სტატიაში „ჯორჯ მურის რომანის „ტბა“ ჩანაფიქრი“ (1972 წ.).

კრიტიკოსებს აღუნიშნავთ, მაგრამ არ განუვითარებიათ ის შეხედულება, რომ ჯორჯ მური რომანში ტბას იყენებს როგორც მნიშვნელოვან სიმბოლოს. ასეთივე მნიშვნელოვან სიმბოლოებად, რომლებიც ნათელს ჰფენენ მამა გოგარტის ძიებას, მკვლევარი ე. კენედი მიიჩნევს ტბის მახლობლად მდებარე დერინრუმის ტყესა და ბაღს, რომელსაც მამა ოლივერი ამუშავებს. მისი აზრით, რომანის ძირითად თემას ხაზს უსვამს ასევე მასში მიმოხეული ჩიტების ხატები. მხედველობაში იღებს რა აზრის გადმოცემის მანერას, რომლითაც გამოსახავს მური მამა ოლივერის ძიებას, კენედი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ოლივერ გოგარტის მიერ რომაული კათოლიციზმის უარყოფა და ბუნების რელიგიის მიღება თითქმის გარდუვალია.

მამა გოგარტის გადასვლა ბუნებისკენ უეცრად არ მომხდარა. მაისის იმ დღეს, რომლითაც იხსნება რომანი, მოუსვენარი მამა გოგარტი სტოვებს ნაცნობ ბილიკს, რათა გაისეირნოს დერინრუმის დიდ ტყეში. მას სულ არ უკვირს ის, რომ „ერთ დროს ხალხი თაყვანს სცემდა ხეებს, იმდენად საიდუმლოებითაა მოცული მათი ცხოვრება“ (1, 2). მამა ოლივერი შედის „რელიგიური ტყის“ სიღრმეში. ტყეში ყოველი მოგზაურობის შემდეგ, ოლივერ გოგარტი სულ უფრო ღრმად იჭრება თავის თავში, ღრმა თვითანალიზს ეძლევა, ვიდრე ბოლოს არ ჩასწვდება იმ ფსიქიკურ ძალებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს იგი. როცა ლონდონელი სასულიერო პირისგან წერილს მიიღებს და შეიტყობს რომ როუზის საფრთხე არ ემუქრებოდა, იმედმოცემული გოგარტი კვლავ ტყეს მიაშურებს. უყურებს რა ხეებს, შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს წერილს მისწერს როუზს: „ადამიანს აკლია გამბედაობა, რათა იცხოვროს. თითქოსდა რელიგიამ დატოვა იგი. და მე ვფიქრობ ფოთლებზე, ფოთლებზე, ძირს რომ ცვივიან დერინრუმის ტყეში. ღამით არ შეწყვეტენ ცვენას, ჩემი იმედების მსგავსად“ (1, 210-211).

ან კიდევ ერთ-ერთი, მეტად დამლული სეირნობის შემდეგ დაბრუნებულ ოლივერს დახვდება როუზის წერილი. ჯერ კიდევ წერილის გახსნამდე იცის ოლივერმა თუ რა ეწერება მასში – რომ როუზი რაღაც ელისის საყვარელი გახდა. ოლივერმა იცის, რომ აუცილებლად უნდა იპოვოს როუზი რათა იხსნას მისი სული. უეცრად იგი დიდ ტყეშია და როუზის ეძებს. შემდეგ „იგი უკვე აღარ იყო მარტო. მან იპოვა ის. იგი ხეებიდან ჩამოვიდა მის მკლავებში, თეთრი და ცივი. ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო მკრთალდება ტყე; მაგრამ როცა იგი ელისს, რომ ტყე გაქრება, როცა ფიქრობს, რომ როუზისთან ერთად სამუდამოდ დააღწევს თავს ტყეს, ხეებს შორის ნასვრეტში ტბას აღმოაჩენს. შეშინებული უკან ბრუნდება ტყეში, ეძიებს პატარა ბილიკებს, სადაც სინათლე იქნება“ (1, 225). ოლივერს სურს ასწიოს პირბადე, როუზის სახეს რომ მაღავს, მაგრამ დაკარგვის შიშით როუზი თითქოს ეწინააღმდეგება ამას. დანაკარგი როუზი კი არ არის, არამედ სასულიერო მონოდებაა.

მაგრამ ოლივერი მაინც ხდის როუზის პირბადეს და სურათი იცვლება. იგი ხედავს როუზის, რომელიც მას ელოდება. კუნელის ბუჩქებიდან გამოდის როუზი, რათა შეხვდეს მამა გოგარტს. სწორედ კუნელის ბუჩქთან თქვა უარი როუზიმ ბავშვის მამის ვინაობის დასახელებაზე. ერთად დახეტილობენ ოლივერ გოგარტი და როუზ ლეისესტერი ტყეში. ქალი მართალია უღიმის მაგრამ ტბასთან დარჩენას ურჩევს. ოლივერს არ ესმის ამის მიზეზი: „ტყე ხომ გაცილებით ღამაში იყო და ისინი უფრო განმარტოებულნი ტყეში იყვნენ, ვიდრე ტბასთან“ (1, 225).

ოლივერ გოგარტი როუზის წერილზე ფიქრობს. მას ესმის რომ საეკლესიო კათედრიდან მხილების ასეთი ადვილი შენდობა ერთგვარი შურისძიება იყო როუზის მხრიდან. როუზი განაგრძობს მასთან მიმონერას და ამით მუდამ ახსენებს მამა გოგარტს რა დაკარგა მან. მაგრამ

მიუხედავად ამისა, ოლივერს ნაკლებად როდი უყვარს როუზი. ავადმყოფურმა მოგზაურობამ ტყეში მას ეს დაუდასტურა.

ავადმყოფობამ, რაც თან მოჰყვა მოყინულ ტბაზე ციგურაობას და რაც ახლო იყო თვით-მკვლევობასთან, შემდგომი თვითანალიზის დრო და საშუალება მისცა ოლივერს. იგი აღმოაჩინა, რომ მისი მორალური იდეები მისი საკუთრება როდი იყო: „ისინი სხვებისგანაა ნასესხები და ცუდადაა შეთვისებული“ (1, 250). მეინუფში ქალების სიძულვილის ტრადიცია არსებობდა და ოლივერმა დაიჯერა, რომ ქალები ზიზღის ღირსნი იყვნენ, მაგრამ ახლა მისთვის ნათელი გახდა, რომ ადამიანმა ცხოვრების არც ერთი მხარე არ უნდა უარყოს. იგი როუზის წერს: “ღმერთმა მოგვცა ადამიანური ბუნება; ჩვენ შეგვიძლია არასწორად, უმართებულოდ გამოვიყენოთ ჩვენი ბუნება, დავაკნინოთ იგი, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მის ბუნებაში ღვთიური საწყისიც დევს“ (1, 250).

ეს წერილი როუზისთან გამომშვიდობებაა. როუზიმ დაასრულა მისი განათლება, ღრმად ჩაახედა იგი თავის თავში და ახლა მან უნდა იმოქმედოს. როუზის ბოლო წერილში ერთგვარი თანაგრძნობაც კი შეიმჩნევა. მანაც ბევრი რამ ისწავლა ცხოვრებისგან და იგი იმედოვნებს, რომ ამიერიდან მამა გოგარტისათვის უცხო არ იქნება ცხოვრებისეული სიხარულის შეგრძნება. მაგრამ რადგან რაღაც ელისის აზრით, სასულიერო პირისთვის რომელიც ირლანდიაში რჩება უკეთესია ამ უნარის განუვითარებლობა, როუზი ხელს იღებს ოლივერ გოგარტის თავის რჯულზე მოქცევაზე და წყვეტს მიმონერას.

პირველი მოგზაურობიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ ოლივერ გოგარტი კვლავ მიდის ტყეში. დამშვიდებული გონებით მან იცის, რომ იგი დასტოვებს მრევლს და კათოლიციზმს, როგორც კი ამის უმტიკვენეულოდ გაკეთების საშუალება მიეცემა. ფიქრებში გართული ოლივერის ირგვლივ ბუნება ღვთაებრივად ლამაზია: „რამდენად შეუძლებელი შეიძლება მოგვეჩვენოს ჩვენ საგნები, არაფერი არ არის შეუძლებელი ბუნებისათვის“ (1, 264). ტყემ დაასრულა ოლივერ გოგარტის მოქცევა. თუ თავდაპირველად იგი მხოლოდ გრძნობდა დერინრუმის ტყის დიდ ძალას მასზე, შემდეგ თანდათანობით ბუნებასთან ურთიერთობამ იგი მიიყვანა გარკვეულ მიჯნამდე, სადაც მან აღმოაჩინა ბუნებასა და მის პიროვნებას შორის არსებული ჰარმონია. მისთვის ნათელია, რომ „ახლა სულმა იმძლავრა მასზე და ეს დიდი მოვლენაა.“ მას იგი მიიჩნევს გრძნობისა და ხედვის თავისებურ გზად. მაგრამ სული უფრო მეტია, იგი სინათლეა; და ეს შინაგანი სინათლე, დასაწყისში ბუნდოვანი, არ ჩაქრება. როდესაც იგი როუზის წინააღმდეგ გამოვიდა ტაძარში მას სინდისი ქეჯნიდა. სინდისის ქეჯნა ხომ უცხო ხილია სხვა სასულიერო პირთათვის. ამის მიზეზი ისაა, რომ „ისინი მისდევდნენ გარე სინათლეს, განზრახ ხურავდნენ თავიანთი სულის სინათლეს“.

ოლივერ გოგარტი კატეგორიულად აცხადებს: „არ არსებობს არავითარი მორალური კანონი გარდა საკუთარი სინდის-ნამუსისა და რომ ყოველი ადამიანის მორალური მოვალეობაა განაცალკევოს პირადული სინდისი ობიექტური სინდისისგან“ (1, 322). ობიექტური სინდისი ეს სხვების შეხედულებებია, ტრადიციული რწმენებია. თუ ტყე მაჩვენებელია ოლივერ გოგარტის სულში მიმდინარე კონფლიქტებისა, ბალი, რომელსაც ის ამუშავებს – მაჩვენებელია მისი ცდებისა შეარიგოს მის მიერ არჩეული მონოდება ბუნერივ მისწრაფებებთან, გონებითა და ნებისყოფით დათრგუნოს თავაშეებული, ურჩი გრძნობები.

ოლივერ გოგარტი სანიმუშოდ, დიდი გულმოდგინებით უვლის თავის ბალს, რომლის ყვა-ვილებიც – თეთრი შროშანი, ასკილი და წითელი მიხაკი – მაჩვენებელია მამა ოლივერის გონებას, ინტელექტსა და გრძნობებს შორის არსებული დაძაბულობისა. „თეთრი შროშანები ჰყვაროდნენ და ქანდაკებებს ჩამოგავდნენ“ და ეს ყვავილები, უბინოების ტრადიციული ქრისტიანული სიმბოლო, დაშორებულნი არიან ცხოვრებას „ყოველგვარი ბრძოლისა და ჩივილის გარეშე“ (1, 57). შროშანები, რომლებიც ხშირად ამშვენებენ კათოლიკურ სამსხვერპლოს, მჭიდროდაა

ასოცირებული მკვდრებით აღდგომასთან. თეთრი შროშანებისა და მათი ორეულების არსებობა ოლივერ გოგარტის ბაღში – უბინოებისა და მკვდრებით აღდგომის მნიშვნელობით – ხაზს უსვამს იმ იდეალს, რომელსაც მიუძღვნა მამა ოლივერმა თავისი ცხოვრება.

მაგრამ შროშანების მახლობლად ასკილი „ავსებდა ტკბილი, ვაშლისმაგვარი სურნელებით“ (1, 57). ასკილის ლათინური სახელწოდებაა „*rosa eglanteria*“ და მისი ვარდისფერი შეფერილობა გულისხმობს როუზის, რომლის სიტბო და სიმპატია შეიჭრა მამა ოლივერის უბრალო ცხოვრებაში. „ვაშლისმაგვარი სურნელება“ მოგვაგონებს ევას და პირველ ცოდვას სამოთხის ბაღში. თვით ბაღშიც კი, მიუხედავად მკაცრი ცდებისა, გრძნობითი, ესთეტიკური სურნელებანი ეკამათებოდა მარტოხელას იდეალს.

სიმბოლურად ნითელი მიხაკი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე მნიშვნელოვან ყვავილად ბაღში და ამ სიტყვის ეტიმოლოგია (ზოგადად მიჩნეულია ლათინური სიტყვიდან „*carnus*“ – ხორცი) ისევე როგორც მისი შეფერილობა, უფრო ხშირად თეთრიდან ნითელ ფერებში, გვიდასტურებს რომ მამა გოგარტის ქვეცნობიერებაში არსებობას განაგრძობენ მის მიერ უარყოფილი გრძნობები. მამა ოლივერთან ნითელი მიხაკი ასოცირდება როუზ ლეისესტერთან. როცა გოგარტი ფიქრობს როუზის მიერ ქალწულობის დაკარგვაზე, ოლივერი უეცრად აღმოაჩენს, რომ ფიქრობს ნითელ მიხაკზე დამტკერვისას. და როცა როუზ ლეისესტერის სიყვარული რაღვ ელისისადმი აღმავალ გზას მიუყვება, იგი მამა ოლივერს წერს: „სწორედ ახლა ჩნდებიან ნითელი მიხაკები“ (1, 146).

მამა ოლივერი როუზის აღიქვამს როგორც ყვავილს, მაგრამ არა როგორც თავისი ბაღის ყვავილს. იგი ყვითელ ნარგიზს ჩამოჰგავს, ყვავილს რომელიც მას ანტიკურობას მოაგონებს. როუზი ყოველთვის „გამოყოფილი იყო ქრისტიანული იდეალისგან“ (1, 275). ნარგიზი, რომელიც ნარცისის ჯგუფს მიეკუთვნება, აკავშირებს როუზის მითიურ ახალგაზრდასთან, რომელსაც თავისივე გამოსახულება შეუყვარდა გუბეში. როუზის თავი მოსწონს ცოდნით და მისი გესლიანი შენიშვნები და მამა ოლივერისადმი მიმართული წერილები ნარცისიზმის ღრმა გამოვლენაა.

როგორც კი მამა გოგარტი ღრმად ჩასწვდება თავის თავს, ბუნებასთან კავშირს, შეიგნებს როუზის როლს მის განვითარებაში, იგი მიხვდება, რომ როუზი ის წყაროა, რომელიც მას მისი ბაღისთვის უნდოდა. მაგრამ როუზი ვერასოდეს დაიკავებს ადგილს მის უბინო ბაღში. ბალი ვერ იქნებოდა ოლივერის მუდმივი თავშესაფარი ცხოვრებისაგან თავის დასაღწევად, რადგანაც მისი ბუნების ღრმად ჩამალული სურვილები უნდა დაკმაყოფილებულიყო. ოლივერ გოგარტი სტოვებს ამ ბაღს, მაგრამ განშორდება არა მწუხარებით, არამედ იმ შეგრძნებით რომ წინ უკეთესი ცხოვრება ელოდება. იგი გრძნობს, რომ „მისი ცხოვრება დავალებულია ამ ყვავილებისგან“, რადგან სწორედ მათ დაახლოვეს როუზი და ოლივერი, და როუზის გავლენის გარეშე კი მისი ცხოვრება ისეთივე სტერილური და უსიხარულო იქნებოდა, როგორც წინათ იყო.

ჩიტების ხატები, რომლებიც აძლიერებენ რომანის სტრუქტურას, აერთიანებს ოლივერ გოგარტს, მრევლის სულიერ მამას, იმ ოლივერ გოგარტთან, რომელიც თავისი სულის ძიებაშია.

როუზის სულისათვის ლოცვა მას აგონებს „დაგვიანებულ ჩიტს, რომელსაც სურს დაეწიოს ფრინველთა გუნდს, რომელიც დიდი ხნის წინ მიჰფარებია ჰორიზინტს“ (1, 240). ჩიტის ბედი ადამიანის ბედზე უკეთესია. „გალიაში მომწყვდეული ჩიტი კვდება უბრალო ფრთების ხეთქებით კედლებზე“ (1, 241), ადამიანმა კი „მაშინაც, როცა მას სიკვდილი სწყურია, უნდა მოითმინოს, აიტანოს მარტოობა.

ტბაზე სრიალისას, მამა ოლივერი პოულობს დაჭრილ ჩიტს, რომლის ფეხები მჭიდროდ, საგულდაგულოდ შეუკრავთ ფართო სიმით. აი ამ ჩიტის ბედი ელის ირლანდიელ სასულიერო პირს მომავალში. უცებ ოლივერ გოგარტი გაიაზრებს იმ ფაქტს, რომ როგორც მას შეუძლია ტბაზე სრიალი ზამთარში, ისე შესძლებს მის გადაცურვას ზაფხულში. თუ იგი დატოვებს ტან-

საცმელს ნაპირზე, მისი გაუჩინარება არავითარ მღელვარებას არ გამოიწვევს, რადგან იფიქრებენ რომ იგი ტბაში დაიხრჩო.

ტბა როგორც კონტექსტში, ისე სიმბოლოს სახით თან სდევს რომანს. მაგრამ ტბის სრული მნიშვნელობა ისეთი ცხადი არ არის მკითხველისა და მამა გოგარტისათვის, ვიდრე ოლივერ გოგარტი ქვეცნობიერად არ იმოგზაურებს დერინრუმის ტყეში. კონტექსტში ტბა, რომელიც ჰყოფს სასულიერო პირს ქალაქ ტინიკის ცხოვრებისაგან, ასევე ხაზს უსვამს მის იზოლირებას ჩვეულებრივი ირლანდიური ღვთისმოსაობისაგან. მამა ოლივერის ბალი თითქოს არცაა სოფლის ნაწილი. ოლივერ გოგარტი ფაქტიურად მარტოა, ტყითა და ტბით გარშემორტყმული. ტბა, რომელიც მოქმედებს როგორც ტევადი და გამაერთიანებელი სიმბოლო, არეკლავს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მამა გოგარტის სულიერ ბიოგრაფიაში.

მკვლევარ ე. კენედის აზრით, ჯორჯ მური განზრახ ტოვებს ტბას სახელწოდების გარეშე, რათა მისცეს მას უნივერსალური განვრცობა და სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებლად აქციოს იგი. მური აჩვენებს მის მიუწვდომელ, შეუმჩნეველ ზეგავლენას ადამიანის პიროვნებაზე. ყველა ადამიანის სულში არის შეუცნობელი, ძლიერი დინება, რომელიც ბუნდოვნად შეიგრძნობა და რომელთანაც ადამიანი უნდა მორიდდეს, თუ სურს თავის თავში გარკვევა.

ყმანვილკაცობისას ოლივერ გოგარტისათვის ტბა იყო სასიხარულო თავშესაფარი მერკანტელიზმისაგან თავის დასაღწევად. თავის ახალგაზრდულ ოცნებებში მას თავი წარმოედგინა მარბანად, XVI ს-ის განდევნილ პოეტად, რომელიც ტბის მიდამოებში ცხოვრობდა და ხალხისაგან მოშორებით ადიდებდა სიცოცხლესა და ღმერთს.

მამა ოლივერი ტბის ზემოქმედების ძალას მთელი რომანის მანძილზე განიცდის. მას ცდუნებაც კი დაეუფლება მის ცივ სიღრმეებში დაასრულოს თავისი სიცოცხლე; მაგრამ „ყველა ადამიანს ტბა აქვს გულში... და ყოველმა ადამიანმა უნდა იპოვოს თავში ძალა, რომ შესძლოს მისი გადაცურვა“ (1, 303). ბოღვითი მოგზაურობის დროს ტყეში როუზი თავის ქნევით უხმობს მას თავისკენ, მისი ტბიდან ჩამოშორება სწადია. აზრი ისაა, რომ თუ მამა ოლივერი დარჩება ამ განცალკევებული მრევლის სულიერ მამად ირლანდიაში, იგი ოცნებაშიც კი ვერ მიჰყვება როუზის ტბის იქეთ არსებულ სამყაროში. მამა გოგარტი თავს არ იწუხებს რელიგიის საკითხებზე მსჯელობით, რადგან ტბის მიღმა გასვლა ნიშნავს ტრადიციული რწმენის უარყოფას.

მამა გოგარტი ვერ გადაჭრის ტბას, ვერ მიაღწევს სასურველ თავისუფლებას, თუ უარს არ იტყვის ორთოდოქსალურ რწმენაზე, თუ არ ეზიარება ცხოვრების ახალ რწმენას, გარე ბუნების სიკეთეს, ბუნებრივი ადამიანის მთლიანობას. იგი გრძნობს, რომ ცხოვრება „მოიპოვება წარსულისაგან თავის დაღწევით... ტრადიცია მკვდარი ხორცია, რომელიც უნდა მოვიჭრათ თუ გვინდა ვიცხოვროთ“ (1, 326). გოგარტი პირადი ცხოვრების ძიებაშია. იგი გადაწყვეტს გადასცუროს ტბა; ნაპირზე წვავს როუზის წერილებს და ტბაში ჩაყვინთავს.

აი ამ სცენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ტბაში შესვლა ესაა ოლივერ გოგარტის ნათლობა ახალი ცხოვრების ენაზე – „ამოტივტივებისას იგი მიხვდა ზიარების სარგებლობას და რამდენიმე წუთში კვლავ ჩაყვინთავს მაღლიან წყალში“ (1, 334). ეს ნათლობა ბუნებაში უფრო მეტ ძალასა და დამაჯერებლობას იძენს გოგარტის მიერ ერთ-ერთ ბოლო ნათლობასთან კონტრასტში: მან მონათლა ბავშვი კათოლიკე და პროტესტანტ ბებიებს შორის მომხდარი საშინელი და აბსურდული ჩხუბის შემდეგ. ორივე მხარეს სურდა თავის რწმენაზე აღეზარდა ბავშვი.

შიშველი მიცურავს ოლივერ გოგარტი ტბაში – ახალი ადამიანი, მთვარის შუქის მიერ შარავანდედით მოსილი, დაჯილდოებული მისი აზრით უფრო ძველი, ბუნებრივი და ღრმა ძალით, ვიდრე კათოლიციზმისათვის იყო დამახასიათებელი. და როცა იგი გადაცურავს ტბას, ის თავისუფალია ახალი ცხოვრებისათვის. ახლა მას ესმის მნიშვნელობა იმ ტბისა, რომელსაც ვერასო-

დეს ნახავს. ახლა მიხვდა იგი, რომ ტბა, რომელიც მას თავის წარსულს აგონებდა, რომელიც იდუმალებით იყო მოცული, ამავე დროს ის სტიქიაა, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გადალახოს; ყველამ უნდა იმოგზაუროს თავისი სულის საძიებლად, თუ სურს თავისუფალი იყოს. „ტბაა ყოველი ადამიანის გულში... და ყოველმა ადამიანმა ძალღონე უნდა მოიკრიბოს მის გადასალახად“ (1, 334).

ამდენად, სიმბოლოების რთული სისტემის მეშვეობით, მური რომანში „ტბა“ ეხება და წყვეტს პირველ რიგში ადამიანის მოწოდების, დანიშნულების საკითხს, იმ როლს, რომელიც მან უნდა შეასრულოს ცხოვრებაში. ეს თემა თავისი სიხშირისა და მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება მივიჩნიოთ ჯ. მურის ყველაზე საყვარელ თემად.

საინტერესოა რომანის „ტბა“ სტრუქტურა, მისი აგების პრინციპი. მასში ორი თვალსაზრისია გატარებული, რომელთა ფონია როგორც წარსული, ისე აწმყო. წარსული რომანში შემოტანილია მამა გოგარტის მეშვეობით, რომელსაც ძალიან აინტერესებს გარდასული ამბები. იგი გულდასმით სწავლობს ტბის მიდამოებში მცხოვრები, XVI ს-ის განდევნილი პოეტის მარბანის და მისი ძმის, მეფე გუაირის ცხოვრებას. აქტიური, საქმიანი მეფის და ყოვლის მოშიში ასკეტის დაპირისპირებით, რომანში წამოჭრილია ცხოვრების დილემა და შესაბამისად რომანში გამოიყოფა გმირების ორი ჯგუფი: ერთნი, რომელთაც სტატიკური, უცვლელი მსოფლმხედველობა აქვთ და მეორენი, რომელთა დამოკიდებულება თავგადასავლებისა და ავანტიურისადმი ისეთივე თავისუფალი და მოქნილია, როგორც როუზი ლეისესტერისა. ოლივერ გოგარტი ერთადერთი ადამიანია, რომელიც ერთი ბანაკიდან მეორეში გადადის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ გმირებთან ერთად მეორეხარისხოვან გმირებსაც თავიანთი გარკვეული, მტკიცე ადგილი უკავიათ რომანში, რომ მათაც აქვთ თავიანთი განსაკუთრებული „ხმა“, რითაც განირჩევიან სხვებისაგან. ესენია კატერინა – ცნობისმოყვარე და ცბიერი მწე ქალი; ოლივერ გოგარტის დები – პრაქტიკული ელიზა და თავკერძა მერი; ან კიდევ მრევლის სულიერი მამის თანაშემწე მორანი – მუდამ დათრგუნვილი, რომელიც ასევე მოქმედებს სხვებზე. ყველანი ცოცხლდებიან, იძენენ თავიანთ ინდივიდუალობას ოლივერ გოგარტის წარმოსახვის მეშვეობით.

საყურადღებოა რომანის თემის გაშლის ტექნიკა. კათოლიკური თემა დაპირისპირებულია წარმართულთან, რელიგიური ცხოვრების რწმენა და საქმიანობა მეცნიერის მოღვაწეობასა და იდეალებთან. ნაწარმოებში მოცემულია ადრექრისტიანული ირლანდიის ხატი, ირლანდიისა, როცა იქ ყველა ხელობა ჰყვოდა და როცა პოეტი-მისტიკოსი მარბანი უმღეროდა ცხოვრებასა და ღმერთს. და ეს ყველაფერი უპირისპირდება ადრეული აღმოსავლეთის ისტორიას, ებრაელთა ისტორიას და შუა აზიის ცივილიზაციებს; აჩვენებს მათ წვლილს ქრისტიანული რწმენის სისტემაში.

ჯ. მური რომანში ხშირად მიმართავს დაპირისპირების მეთოდს. მაგალითად, თუ თხრობის პირველ ნახევარში მამა გოგარტი ასწავლის როუზის, ნაწარმოების ბოლოსკენ როუზი გამოდის მასწავლებლის როლში. როუზი, ინსტინქტების გამოხატულება, სიმბოლიზირებული წითელ მიხაკში, მიისწავლის რომ ცხოვრებაში იხელმძღვანელოს გონებით; ოლივერი, რომელიც ყველაზე ჭკვიან ადამიანად ითვლებოდა მეინუფში, სწავლობს დაივინყოს იდეები და გრძნობებს მიჰყვება. როუზი აღმოსავლეთში მიემგზავრება, რათა თვალი ადევნოს „ქრისტიანული მდინარის წყაროებს“; ოლივერი დასავლეთით იხედება, ამერიკისკენ და ერისკაცობისკენ.

საინტერესოა თხრობის ტონი, რომელიც ავტორის თავდაჭერილობის დემონსტრაციაა. როცა პრობლემა, რომელიც მურს აწუხებს ლიტერატურად იქცევა, ცხოვრებაში მწერლის ჯიუტი, გამანადგურებელი ამბოხი ნაწარმოებში იცვლება თავდაჭერილობით, მგრძნობიარობითა და გაგებით. ჯ. მური ეკლესიას უარყოფს დიდი მოთმინებითა და სულგრძელობით. წიგნის თემაა დაგვანახოს სასულიერო პირში ადამიანი, თუმცა სასულიერო პირზეც ზრუნავს ადამიანში;

მამა გოგარტზე, რომელიც ახალ ტანსაცმელს აძლევს ძონძებში გამოწყობილ პეტე კერნის, რომელიც დახმარების ხელს უწვდის და კრიზისული მდგომარეობიდან გამოჰყავს მამა მორანი და ა.შ.

თხრობისას ავტორი ხშირად იყენებს შინაგანი მონოლოგის მეთოდს, რომელიც მან ფრანგი მეგობრისაგან – ედუარდ დიუჟარდენისაგან შეითვისა და რომელიც ასე სრულყო თავის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ რომანი „ტბა“ დიუჟარდენს ეძღვნება. დიუჟარდენი ავტორია ნიგნისა „ქრისტიანული მდინარის წყარო“, რომელშიც ნაჩვენებია რელიგიური რწმენის ევოლუცია დროში. რომანის მიხედვით როუზ ლეისესტერი ლონდონში უახლოვდება ვინმე რალფ ელისს – ადამიანს, რომლის „ქრისტიანული მდინარის წყარო“ არა მარტო სათაურით, არამედ თავისი პრობლემებითაც თუ მათი გადაწყვეტით იზიარებს დიუჟარდენის აზრებს.

რომანის მთელ მანძილზე ხაზი ესმევა გამუდმებულ კონტრასტს ტბის სტატიკურად მდგარ წყალსა და მდინარის თუ ზღვის ნაკადად მიმდინარე წყლებს შორის. პირველ თავში, ტბით მოხიბლული გოგარტი ხედავს ნავს, რომელიც მიაპობს ტბის წყლებს; მაშინვე გაიფიქრებს, იმ ნავში რომ ვიჯდე, მაშინ ეს ნავი ტბაში კი არ იქნებოდა, არამედ შუაგულ ზღვაშიო. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჯერ ერთი აქ დაუდევს ბინა განდევილ წმინდანს მარბანს და მეორეც – ოლივერ გოგარტიმ უნდა დატოვოს ტბა, როგორც კი სასულიერო პირის სამოსელს გაიხდის.

შინაგანი მონოლოგის მეთოდთან ერთად, რომელიც ეხმარება ავტორს მთავარი გმირის ხასიათის გახსნაში, მწერალი მიმართავს ეპისტოლარულ ფორმას, რაც რიჩარდსონის მიერ იყო ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ XVIII ს-ში და რაც არა ერთხელ გამხდარა მურის ქების საგანი. წერილის ფორმა ემსახურებოდა ჯ. მურის მიზანს – გადმოეცა „სენტიმენტების დინება და უკუქცევა“ მამა გოგარტის სულში. მისთვის აშკარა იყო, რომ წერილი მშვენივრად გადმოსცემდა, გახსნიდა იმ ხასიათს, რომელშიც იკვეთებოდნენ სხვადასხვა ემოციები... ეს იყო ცხოვრებაში ღრმად ჩახედვის, შეღწევის საშუალება, მაგრამ ამავე დროს ეს იყო ჩარჩო, სიცხადისა და ობიექტურობის ელემენტი. ოლივერ გოგარტისა და როუზ ლეისესტერის წერილები ეხმარება არა მარტო მკითხველს ღრმად ჩასწვდეს მათი სულის საიდუმლოებს, მათი ქცევის მოტივებს, არამედ თვით კორესპოდენტებსაც – უკეთესად შეიგნონ თავიანთი თავი.

ეპისტოლარული ფორმის გამოყენებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს – მოქმედების ნელი განვითარება, გაჭიანურებული ადგილები, ინერტულობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ ფორმისათვის. ესაა ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1921 წელს ჯ. მურმა ამ რომანის ახალი ვარიანტი შესთავაზა მკითხველს.

ამ რომანში შეინიშნებოდა ფსიქოლოგიური ელემენტის გაძლიერება, რაც მწერლის შემოქმედებით ევოლუციაზე მეტყველებს. 1905 წლისთვის ჯ. მური შორსაა იმ თვალსაზრისისგან, რომ რომანისტიკის მიზანია მხოლოდ მოქმედებების გადმოცემა და გარემოს აღწერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის შემოქმედებაში ჯერ კიდევ საგრძნობია ნატურალიზმის ნიშნები. რომანში „ტბა“ მრავლად მოიძებნება ნატურალისტური ჩანახატები, რომლებიც მოიცავენ გმირთა მოგზაურობის ანგარიშებს, დეტალურ საუბრებს ნავიგაციაზე, ტოპოგრაფიაზე, ჰოლანდიის სამხატვრო გალერეებზე, ვაგნერსა თუ გერმანიის არქიტექტურაზე; ისინი სავსებით ჰქრებიან ამ რომანის მეორე ვარიანტში.

სხვადასხვანაირია აზრი ამ რომანის შესახებ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, ამ ნაწარმოებში მური გასცდა ნატურალიზმს, რომ მამა გოგარტის წერილებში იმაზე მეტია, რაც მოსალოდნელი იყო სასულიერო პირისგან გაუთხოვარი ქალისადმი. რომანი დაწერილი იყო რალფ უცნობი, ჯერ ისევ გაუთვითცნობიერებული სტილით.

და მაინც თანამედროვე მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ნაწარმოების თემატიკა, მისი კომპოზიცია: დალაგებულად, თანამიმდევრულად დამუშავებული მასალა, საგანგებოდ

მოფიქრებული ჰარმონიულობა... ტრადიციული და თანამედროვე ლიტერატურული ხერხების შეხამება, ნატურალისტური და იმპრესიონისტური ჩანახატები, ირლანდიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების რეალისტური განზოგადება და სიმბოლოთა გააზრებული წარმოსახვა, რაც გმირთა ვნებების გადმოცემისა და შესაბამისი განწყობილების შექმნის საშუალებას იძლევა, აქცევენ რომანს „ტბა“ ჯორჯ მორის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწარმოებად, რომელიც მისი შემოქმედების ირლანდიური პერიოდის მკაფიო ნიმუშია.

ლიტერატურა:

1. Moore G. *The Lake*. London, 1905.

NONA KOMETIANI

IRISH THEME IN GEORGE MOORE'S NOVEL "LAKE"

SUMMARY

The novel "Lake" organically and well reflects the creative aspirations of the writer George Moore during his years in Ireland. It is in the works of that period that Moore approaches the creation of that style of presentation, which, through its harmony and beauty of sound, favors a more complete disclosure of feelings and moods embedded in the work. The combination of traditional and purely modern literary techniques, naturalistic and impressionistic sketches, realistic synthesis of the depiction of different aspects of Irish life and a thoughtful system of symbols that helps to convey the experiences of the characters and create the appropriate mood – all this makes the "Lake" one of the interesting creations of George Moore and a vivid example of the Irish period of his work.



ენო ლარცულიანი

**როგორ დავვაგროთ კარიერული ენსვლა
„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა
და კარიერული ენსვლის სქემის“ მიხედვით**

საქართველოს თანამედროვე განათლების სისტემა მასწავლებელს მუდმივი ზრდა-განვითარების საუკეთესო მოდელს სთავაზობს, ეს მოდელი გახლავთ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ენსვლის სქემა“, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ მასწავლებელს, დამწყებსაც და პროფესიონალსაც საშუალება ეძლევა მუდმივად განვითარდეს საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევები.

მოქმედი მასწავლებლები 2015 წლიდან ნაწილდებიან სქემაში.

„მოქმედი მასწავლებელი ეს არის „მასწავლებლის პროფესიული სტრანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N 1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით (შემდგომში – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მოქმედი მასწავლებელი – ეს არის მასწავლებელი, რომელსაც ამ სქემის ძალაში შესვლის დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა“ (1-13).

სქემაში ჩართვა საჯარო სკოლის ყველა მასწავლებლისთვისაა სავალდებულო, რომელიც შესაძლებელია სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში (eSchool-ზე) საკუთარი მონაცემების განთავსების საფუძველზე. ეს ელექტრონული სისტემა გახლავთ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს.

ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები ნაწილდებიან სქემაში და ხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა.

სქემის მიხედვით ყველა მოქმედ მასწავლებელს მიენიჭება გარკვეული სტატუსი, შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. სქემის ფარგლებში განისაზღვრება მასწავლებლის შემდეგი სტატუსები:

- ✓ პრაქტიკოსი მასწავლებელი;
- ✓ უფროსი მასწავლებელი;
- ✓ წამყვანი მასწავლებელი;
- ✓ მენტორი.

განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საქმიანობის დაწყების მრავალფეროვანი გზები:

- I გზა – ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო 300 კრედიტიანი პროგრამა;
- II გზა – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა + საგნის გამოცდა + მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა;

- III გზა – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა + საგნის გამოცდა + მასწავლებლის კვალიფიკაცია;
- IV გზა – სერტიფიცირებული;
- V გზა – დოქტორის აკადემიური ხარისხი.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი მოქმედი მასწავლებლისთვის განსაზღვრულია რამდენიმე გზა პროფესიული წინსვლისთვის. პრაქტიკოს, უფროს თუ წამყვან მასწავლებელს გარკვეული აქვს, როგორ და რა რაოდენობით დააგროვოს კრედიტულები, რათა შემდეგ საფეხურზე გადასვლა შეძლოს. ამ ოთხსაფეხურიანი კიბის დასაწყისში პრაქტიკოსი მასწავლებელი დგას, ხოლო ბოლო საფეხური მენტორს უჭირავს, რომლის სტატუსიც უვადოდ განისაზღვრება, განსხვავებით დანარჩენი სტატუსის მქონე მასწავლებლებისა, რომელთაც კრედიტების დაგროვება ესაჭიროებათ, როგორც წინსვლისთვის, ასევე სტატუსის შესანარჩუნებლად, რაც აორმაგებს მათ მოტივაციას მუდმივად იზრუნონ საკუთარ კარიერულ წინსვალასა და არსებული სტატუსის შენარჩუნებაზე.

მაგალითად, თუ პრაქტიკოს მასწავლებელს სურს გახდეს უფროსი მასწავლებელი, მან უნდა დააგროვოს 19 სავალდებულო კრედიტულა; უფროს მასწავლებელს სტატუსის შესანარჩუნებლად თუ ესაჭიროება 13 კრედიტულა, მაშინ წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მას 19 კრედიტულა ესაჭიროება. წამყვანი მასწავლებელი 4 წლის განმავლობაში სტატუსის შესანარჩუნებლად აგროვებს 17 კრედიტულას, ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად – 25 კრედიტულას.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კრედიტულების მოსაპოვებლად მასწავლებლის ელექტრონული სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (eSchool) ასახულია თითოეული სქემაში ჩართული მასწავლებლის კრედიტულების დაგროვების გეგმა, „პროფესიულ საქალაქში“ კი – განთავსებულია სავალდებულო აქტივობებისა და არჩეული დამატებითი საქმიანობების პანელები. შესაბამისად, ნებისმიერი სტატუსის მქონე მოქმედმა მასწავლებელმა ზუსტად იცის, თუ რა საშუალებებით მოიპოვოს ახალი სტატუსი, ან შეინარჩუნოს – ძველი.

**სტატუსისთვის განსაზღვრული კრედიტულები
მეტი არჩევითობა და ნაკლები წილი სავალდებულო აქტივობებში**

	შენარჩუნება	წინსვლა
პრაქტიკოსი	-	19
უფროსი სავალდ/დამატ	13 კრ/ქ 3+1 წელი	19
წამყვანი სავალდ/დამატ	17 კრ/ქ 4 წელი	25
მენტორი სავალდ/დამატ	უვადოდ	-

(იხ. მასწავლების საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ცვლილებები/მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2016 წ.)

ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც მასწავლებლებს სტატუსის შენარჩუნებისა და წინსვლის საშუალებას აძლევს. ეს აქტივობები მასწავლებლის ძალების სრულ მობილიზებასა და პროფესიულ საქმიანობაზე ფოკუსირებას მოითხოვს. ამასთანავე, მრავალფეროვნება აქტივობებისა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, როგორც ინდივიდს, საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს მოარგოს სქემის მიერ შემოთავაზებული საქმიანობები. ჩვენი დაკვირვებით, შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებულ მასწავლებლების დიდი ნაწილი პროექტებით სწავლების გზას ირჩევს და ახორციელებს მრავალ სასწავლო და სოციალურ პროექტს. პროექტებით სწავლება კი, მოსწავლეებს უვითარებთ მაღალ სააზროვნო უნარებს, გამჭოლ კონპეტენციებს.

სპორტისა და ხელოვნების მასწავლებელთათვის განსაკუთრებულად საინტერესოა აქტივობა, რომელიც კონკურსებს, ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებს უკავშირდება. კათედრის ხელმძღვანელთათვის მეტად აქტუალურია კოლეგებთან საქმიანი შეხვედრების ორგანიზება, სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის კი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა და სხვა.

თუმცა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი მასწავლებელი თავად ირჩევს კონკრეტულად რომელ სავალდებულო თუ არჩევით აქტივობას განახორციელებს სკოლაში.

„მასწავლებელთა შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების“ მიხედვით დამტკიცებულია შემდეგი სავალდებულო და დამატებითი საქმიანობის/ აქტივობის შეფასების რუბრიკები:

1. სასწავლო პროექტის;
2. სოციალური პროექტის;
3. დისტანციური სწავლება;
4. სემესტრის განმავლობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
5. საგანმანათლებლო ბლოგის ავტორობა;
6. კონკურსებისთვის, ოლიმპიადებისთვის, შეჯიბრებებისთვის (მათ შორის სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის/მოსწავლეების მომზადება;
7. საზაფხულო სკოლის მოწყობა;
8. წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის (მათ შორის სპორტული და სახელოვნებო) წარმართვა;
9. სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობის წარმართვა;
10. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების მოწყობა და მათში მონაწილეობა;
11. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;
12. ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა;
13. საგნისა და საგნობრივი მეთოდის ან პროფესიული უნარების ტრენინგების / მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან / და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტირებული/რეგისტრირებული ტრენინგების გავლა;
14. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა ფასილიტატორისა);
15. ფასილიტატორობა;
16. სახელმწიფო ენის კურსის გავლა დამადასტურებელი ენის ფლობის დონის სერტიფიკატით;
17. კონფერენციებში მომხსენებლად მონაწილეობა;
18. სტაჟირება;

19. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა;
20. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ტრენერობა;
21. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ან/და სხვა დანესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული/რეგისტრირებული პროფესიული განვითარების პროგრამის გავლა;
22. თავისუფალი გაკვეთილები;
23. სტუდენტის/სტუდენტების კონსულტირება;
24. ზოგადი განათლების სფეროში შინაარსობრივ-კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა;
25. რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა – სტატია;
26. მეთოდური ლიტერატურა;
27. გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა;
28. სასწავლო რესურსის შექმნა;
29. სამოდულო გაკვეთილის ჩატარება;
30. სტანდარტული გაკვეთილის ჩატარება (2-3,4...90).

„მასწავლებელთა შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტებში“ მოცემული მასალა ეხმარება მასწავლებელს ჯერ აირჩიოს, ხოლო შემდეგ, შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად, – განახორციელოს აქტივობა.

გთავაზობთ „მასწავლებელთა შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების“ მიხედვით ერთ-ერთ აქტივობაზე შექმნილ სპეციალურ რესურსებს, რომელიც, უდავოდ, გამოადგებათ მოქმედ მასწავლებლებს.

მაგალითად, თუ მასწავლებელმა გადაწყვიტა განახორციელოს აქტივობა სახელწოდებით – „კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება“ (ეს აქტივობა განსაზღვრულია მხოლოდ წამყვანი და უფროსი მასწავლებლებისთვის, რომლებიც საქმიანი შეხვედრების ფარგლებში კონსულტირებას უწევენ პრაქტიკოს მასწავლებლებს), მას დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენ მიერ შექმნილი შაბლონი:

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

3 სამუშაო შეხვედრის გეგმა

(მიზანი, აქტუალობა, თემატიკა, რეფლექსია, უკუკავშირი, დასწრების ფურცელი)

მიზანი: სამუშაო შეხვედრის მიზანია მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების განხილვა.

საკითხის აქტუალობა: შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების გარკვეული საკითხები მასწავლებლებში იწვევს დაბნეულობას, ამიტომ აღნიშნული საკითხები მოითხოვს საფუძვლიან განხილვასა და შესწავლას. სწორედ ამ ნიადაგზე გადაწყდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სკოლაში.

თემა:

1. რას გულისხმობს კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა და როგორია მისი ორგანიზების ფორმა, რა ტიპის დოკუმენტები უნდა წარუდგინოს მასწავლებელმა შეფასების ჯგუფს, რომ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზებაში მიენიჭოს შესაბამისი კრედიტულა, როგორი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის რეფ-

ლექსია, მონაწილე მასწავლებელთა უკუკავშირი, მონაწილე მასწავლებელთა დასწრების ფურცელი.

2. სასწავლო რესურსის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განხილვა (რა ტიპის უნდა იყოს სასწავლო რესურსი: ელექტრონული, ბეჭდური, პრეზენტაციის ფორმატში თუ სხვა; რა დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს მასწავლებელმა შეფასების ჯგუფს და როგორ გააფორმოს ეს დოკუმენტაცია);

3. ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსების განხილვა და ანალიზი.

შეხვედრის ერთ ციკლში გაერთიანებული შეხვედრების რეფლექსია

1.	შეხვედრის/შეხვედრების შედეგად მივალნიეთ თუ არა დასახულ მიზნებს?	
2.	იქნა თუ არა ამომწურავად განხილული ყველა საკითხი? თუ არა, რატომ?	
3.	რა იყო ჩატარებული, შეხვედრის/შეხვედრების ძლიერი მხარე?	
4.	რა საჭიროებს გაუმჯობესებას?	
5.	როგორ გავაუმჯობესოთ?	
6.	რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავს პროექტზე მუშაობისას?	

უკუკავშირი – მასწავლებლის სახელი/გვარი -----

1.	რა თემას/თემებს ეხებოდა შეხვედრა/ შეხვედრები?	
2.	რამდენად აქტუალური იყო შეხვედრებისთვის შერჩეული თემები?	
3.	რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი და ახალი?	
4.	შეხვედრებში მონაწილეობამ რა შემატა თქვენს გამოცდილებას?	
5.	როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნასა და ახალ უნარებს პედაგოგიურ პრაქტიკაში?	

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა № ----- (აღრიცხვის ფურცელი 3 ცალად)
თარიღი ----- დრო -----

#	მონაწილის სახელი/გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი)	საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა)	ხელმოწერა
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის განრიგი

#	განსახილველი საკითხი	რიცხვი	ქვესაკითხი
1	კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება	05.05.2017	რა არის საჭირო კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზებისათვის? რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს ორგანიზატორმა / მონაწილემ? როგორ?
2	სასწავლო რესურსის შექმნა	10.05.2017	საკითხის დეტალური განხილვა: რა ტიპის უნდა იყოს სასწავლო რესურსი? რა ტიპის დოკუმენტაციაა საჭირო შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენად?
3	სასწავლო რესურსის შექმნა	12.05.2017	ჩვენ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსის წარმოდგენა, განხილვა, ანალიზი და შეფასება კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის დროს.

P.S.: ყოველი სამეული, ანუ ერთ ფორმატში ჩატარებული შეხვედრა (სრულყოფილების შემთხვევაში: თანდართული აღრიცხვის ფურცლით, რეფლექსიით, უკუკავშირითა და მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მასალით /გაკვეთილის გეგმა, პროექტი, ბლოგის მისამართი, /სასწავლო რესურსი/) სამუშაო შეხვედრების მონაწილე მასწავლებლისათვის ფასდება 0,5 კრედიტით.

ხოლო, ყოველი სამეული, ანუ ერთ ფორმატში ჩატარებული შეხვედრა (სრულყოფილების შემთხვევაში: თანდართული აღრიცხვის ფურცლით, რეფლექსიით, უკუკავშირითა და მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მასალით /გაკვეთილის გეგმა, პროექტი, ბლოგის მისამართი, /სასწავლო რესურსი/) სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლისათვის ფასდება 1 კრედიტით.

ასევე, გათვალისწინებულია საზაფხულო სკოლის პროექტის შაბლონს, რომელიც, ვფიქრობთ, ასევე დაეხმარება საზაფხულო სკოლის მონყოფის მსურველ და ამასთანავე ნებისმიერ, სასწავლო და სოციალური პროექტების შექმნით დაინტერესებულ მასწავლებელს.

საზაფხულო სკოლა – „ბედნიერი ბავშვები“

1.	ჯგუფის ან პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია	ნინო ლარცულიანი E-mail.: n.lartsuliani@mail.ru ჩვენი პროექტის ბლოგის მისამართი: http://sazafxuloskola.blogspot.com/
2.	პროექტის სახელწოდება	საზაფხულო სკოლა „ბედნიერი ბავშვები“
3.	პროექტის განხორციელების ლოკაცია	ქვემო ქართლი / რუსთავი
4.	პროექტში მონაწილეთა რაოდენობა	30
5.	პროექტში მონაწილეთა ასაკი	11-16 წლამდე, ანუ VI, VII, VIII, IX კლასის მოსწავლეები.
6.	პროექტის აღწერა	<p>ა) პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი) საზაფხულო სკოლის იდეის ჩამოყალიბება განაპირობა მოსწავლეთა არაკონპეტენტურობამ პროექტების მართვისა და თანამედროვე წიგნიერების სფეროში. მართალია, მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა სავალდებულო საგნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნაკლებად აქვთ განვითარებული 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, რომლებიც ძირითადად ამ ორ მიმართულებაზეა დამყარებული. პროექტებზე მუშაობა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ სასწავლო წლის განმავლობაში საკმაოდ რთულია ამ საკითხის საფუძვლიანი სწავლება ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესთან შეთანხმებით.</p> <p>ბ) მიზანი ჩვენ მიზნად დავისახეთ არსებული პრობლემის გადაჭრა, შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო საკითხები ჩამოვაყალიბეთ ტრენინგ-მოდულების სახით. რაც ძალიან დაეხმარება ახალგაზრდებს შეიძინონ თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არ არსებობს უნარი, რომელსაც პროექტი არ ავითარებს, იმდენად მრავალმხრივია მისი არეალი. იგივე შეიძლება ითქვას წიგნიერებაზე, როგორც გამჭოლ კომპეტენციაზე, რომელიც თავის თავში მოიაზრებს: ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარს, იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.</p>

		<p>მოსწავლეთათვის 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშესაწყობად გადაწყვიტეთ ამ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის მოსწავლეთათვის მიწოდება არაფორმალურ გარემოში.</p> <p>დ) განხორციელების გზები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საზაფხულო სკოლისათვის ორი პროგრამის შექმნა, რომელიც განერილი იქნება ტრენინგ-მოდულების სახით და რომელსაც შექმნიან კვალიფიციური პედაგოგები და განათლების მართვის ტრენერები; 2. საზაფხულო სკოლისათვის 2 ტრენერ-მასწავლებლის, პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელების შერჩევა; 3. საზაფხულო სკოლის დღის განრიგის შექმნა მასწავლებელთა მიერ; 4. საზაფხულო სკოლის პროგრამაში კულტურულ-გასართობი აქტივობების ჩართვა: ფოტოსესია, ვიდეო-ინტერვიუები, ბუკლეტების დაბეჭდვა, ფოტოგამოფენა. დიდი ბანერის დამზადება, პრეზენტაციების მოწყობა, პოსტერების დამზადება, პროექტების შექმნა, ბლოგებზე ყოველდღიური სიახლეების გამოქვეყნება, მშობელთა ჩართვა კონკურსში „საუკეთესო მცხობელი“; სკოლის ეზოს საკლასო ოთახად მოწყობა (ხეზე დაფის მიმაგრება, მოსწავლეთა პლედეებზე მოთავსება და სხვა); 5. საზაფხულო სკოლის ადგილის შერჩევა ერთ-ერთი სკოლის ბაზაზე; 6. საზაფხულო სკოლის მუშაობის ვადების დაგეგმვა საზაფხულო არდადეგების პროცესში; 7. საზაფხულო სკოლის ტრენინგ კურსისთვის სპეციალური კომპიუტერების ოთახის შერჩევა საჯარო სკოლის ტექნოლოგიების ოთახში; 8. საზაფხულო სკოლის ეზოს მოწყობა საჯარო სკოლის ტერიტორიაზე; 9. საზაფხულო სკოლის შესახებ ინფორმაციის სპეციალურ ბლოგზე განთავსება და სოციალური ქსელის საშუალებით მონაწილეთა მოწვევა; 10. მოსწავლეთა რეგისტრაცია და მშობელთა მიერ სპეციალური სავალდებულო აპლიკაციების შევსება; 11. საზაფხულო სკოლის ბრენდირებული მაისურების შექმნა და მოსწავლეთათვის დარიგება; 12. საზაფხულო სკოლის ფუნქციონირება; 13. დასკვნითი ექსკურსიის მოწყობა წინანდალში; 14. დიდი ზომის ბანერის დამზადება და სკოლისთვის საზეიმოდ გადაცემა და სარეკლამო კედელზე განთავსება; 15. საზაფხულო სკოლის მუშაობის ამსახველი ბუკლეტების დაბეჭდვა; 16. საზაფხულო სკოლის მუშაობის ამსახველი ფოტო და ვიდეო
--	--	---

		<p>მასალის ატვირთვა სპეციალურ ბლოგზე;</p> <p>17. საზაფხულო სკოლის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მიერ რეფლექსიის ფურცლების შევსება;</p> <p>18. შედეგების ანალიზი.</p>
7.	საზაფხულო სკოლის პროგრამები	<p>I ტრენინგ-მოდულის პროგრამა „პროექტების მართვა“:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტრენინგი I – როგორ დავწეროთ პროექტი და როგორ მივიპოვოთ დაფინანსება; ელექტრონული ფოსტებისა და ბლოგების შექმნა. <ul style="list-style-type: none"> • განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტების სტრუქტურა (ზოგადი მიმოხილვა); • ჩვენი ინიციატივით დაწერილი პროექტები: სასწავლო პროექტი და სოციალური პროექტი (ზოგადი მიმოხილვა); 2. ტრენინგი II – პროექტის სტრუქტურის დეტალები და მათი თავისებურებანი: <ul style="list-style-type: none"> • პროექტის სახელწოდება და მთავარი იდეა; • როგორ ჩამოვაცალიბოთ პროექტის მიზანი. 3. ტრენინგი III – პროექტის აქტუალობა; პროექტის მონაწილეთა რაოდენობისა და ასაკის განსაზღვრა / მოქმედების არეალის განსაზღვრა; 4. ტრენინგი IV – დროის ჩარჩო (პროექტის ვადები); 5. ტრენინგი V – მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას პროექტის ფარგლებში; 6. ტრენინგი VI – პროექტისთვის საჭირო რესურსები (არსებული და მოსაძიებელი); პროექტის ბიუჯეტი/ინვოისების მოპოვება; 7. ტრენინგი VII – პროექტის მსვლელობა (ძირითადი აქტივობები), ნახაზი – დროის ჩარჩო (პასუხისმგებელი პირების მითითებით); 8. ტრენინგი VIII – საგნებთან/საგნობრივ ჯგუფებთან/ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი; 9. ტრენინგი IX – პროექტის ხელმძღვანელის კოორდინატები (პროექტის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი/ორგანიზატორი და პროექტში ჩართული პირები). Power-point-ის პროგრამაში პრეზენტაციის მომზადება პროექტის შესახებ; 10. ტრენინგი X – მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროექტებისა და Power-point-ის პროგრამაში შესრულებული მასალის პრეზენტაცია. <p>II ტრენინგ-მოდულის პროგრამა „თანამედროვე წიგნიერება კონსტიტუციისა და უსაფრთხოების ქრილში“</p>

		<ol style="list-style-type: none"> 1. წიგნიერება, როგორც გამჭოლი კომპეტენცია; 2. ცვალებად კონტექსტში კითხვა: თემა – საქართველოს კონსტიტუციისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება; 3. წერის უნარის განვითარება: თემა – ნატოს წევრი ქვეყნები და გაეროს გენერალური ანსამბლეა; 4. წერის უნარის განვითარება: თემა – გაეროს განვითარების პროგრამა; 5. წერის უნარის განვითარება: თემა- გაეროს პროგრამები საქართველოში; 6. ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარება: თემა – საქართველო, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა; 7. ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარება: თემა – საქართველოს საზღვრები და მისი უსაფრთხოება; 8. იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის უნარის განვითარება: თემა – საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; 9. გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარის განვითარება: თემა – საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი; არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები; 10. ახალი ცოდნის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან: თემა – კონსტიტუცია და უსაფრთხოება (მასალის შეჯამება).
--	--	---

8	დღის განრიგი	დღის განრიგი (ტრენინგ-მოდულები)
---	--------------	--

N	განსახილველი საკითხი	ხელმძღვანელი	დროის ხანგრძლივობა	მუშაობის ფორმა	რესურსები
I დღე 11-12.30.	როგორ დავწეროთ პროექტი და როგორ მივიპოვოთ დაფინანსება; ელ. ფოსტებისა და ბლოგების შექმნა.	ნინო ლარცულიანი	1 საათი და 30 წუთი: 20 წთ. – ახსნა 20 წთ. ინდივიდუალური მუშაობა პერსონალურ კომპიუტერებთან; 5 წთ. – შესვენება; 15 წთ. – გუნდში მუშაობა; 30 წთ. - პრეზენტაცია	პერსონალურ კომპიუტერებთან მუშაობა; გუნდური მუშაობა; პრეზენტაცია.	დაფა; ფლიფჩარტები (ფორმატები); მარკერები; სტიკერები, სკოჩი და მაკრატლები.
12.30-13.00	თავისუფალი	ნინო სოფრომაძე	30 წუთი – შესვენება და ფოტოსესია	თავისუფალი	ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა

13.00-14.30.	თანამედროვე ნიგნიერება კონსტიტუციისა და უსაფრთხოების ქრილში	ნინო სოფრომაძე	1 საათი და 30 წუთი	(სკოლის ეზოში) ინდივიდუალური და გუნდური	ხეზე მიმაგრებული დაფა, მარკერები, ფლივჩარტები და საინტერესო ნიგნები.
14.30-15.00	დღის შეჯამება	ნინო ლარცულიანი	30 წუთი	გადაღებული მასალის სკოლის კომპიუტერში გადატანა და ბლოგებზე ასატვირთად მომზადება	ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა და კომპიუტერები

9.	აქტივობები	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეთა რეგისტრაცია და მშობელთა მიერ სპეციალური სავალდებულო აპლიკაციების შევსება; 2. საზაფხულო სკოლის ბრენდირებული მაისურების შექმნა და მოსწავლეთათვის დარიგება; 3. საზაფხულო სკოლის 10 დღიანი ტრენინგები; 4. ყოველდღიური ფოტოსესია; 5. ყოველდღიური ვიდეო-ინტერვიუები; 6. ფოტოგამოფენა; 7. პრეზენტაციების მოწყობა; 8. პოსტერების დამზადება; 9. პროექტების შექმნა; 10. ბლოგებზე ყოველდღიური სიახლეების გამოქვეყნება; 11. მშობელთა ჩართვა კონკურსში „საუკეთესო მცხოვრებელი“; 12. დასკვნითი ექსკურსიის მოწყობა წინანდალში; 13. დიდი ზომის ბანერის დამზადება და სკოლისთვის საზეიმოდ გადაცემა და სარეკლამო კედელზე განთავსება; 14. საზაფხულო სკოლის მუშაობის ამსახველი ბუკლეტების დაბეჭდვა; 15. საზაფხულო სკოლის მუშაობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის ატვირთვა სპეციალურ ბლოგზე; 16. საზაფხულო სკოლის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მიერ რეფლექსიის ფურცლების შევსება; 17. შედეგების ანალიზი. 			
11	არსებული რესურსები	სკოლის: შენობა, კომპიუტერული ოთახი, 15 პერსონალური კომპიუტერი, ეზო, თაბახის ფურცლები, ფლივჩარტები, დაფები, მარკერები, კალმები, პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი, სკოჩი, ნებო, მაკრატლები, პლედები, ფოტოაპარატი, სამოყ-			

		ვარულო ვიდუოკამერა. საკომუნიკაციო რესურსები: სკოლის ინტერნეტი და ტელეფონი.
12.	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგები: ა) რაოდენობრივი მაჩვენებლები: პროექტის შედეგად, სარგებელს მიიღებენ: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლა, ადგილობრივი თემი, ქალაქი. ბ) თვისობრივი მაჩვენებლები: პროექტი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას.
13.	შეფასება	სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას: პროექტის შედეგად, სარგებელს მიიღებენ პროექტში ჩართული მოსწავლეები, მათი მშობლები, პროექტში ჩართული მასწავლებლები, სკოლა (გაიზრდება სკოლის პოპულარობა ქალაქში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის კონტიგენტის ზრდას), ადგილობრივი თემი (მოსწავლეების მიერ დაგეგმილი პროექტების გარკვეული ნაწილი იქნება სოციალური, რომლებიც მიმართული იქნება ადგილობრივი თემის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშესაწყობად).

ლიტერატურა:

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი I, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015.
2. მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზირებული ინსტრუმენტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017.
3. www.tpdg.ge
4. www.mes.gov.ge
5. <https://eschool.emis.ge>
6. <http://mastsavlebeli.ge/?p=1844>

NINO LARTSULIANI

**PLANNING FOR CAREER ADVANCEMENT ACCORDING THE “TEACHER INDUCTION,
PROFESSIONAL DEVELOPMENT AND CAREER ADVANCMENT SCHEME”**

SUMMARY

The present paper deals with the problem of planning advancement implementation, diverse qualification activities through information exchange and collaboration.

“Teacher Induction, Professional Development and Career Advancement Scheme” Guideline has been developed at the National Center for Teacher Professional Development. The electronic version of the Guideline is available at the TPDC web-site: tpdc.gov.ge.

The Guideline offers teachers and school administrations recommendations on activities within the “Teacher Induction, Professional Development and Career Advancement Scheme” and teacher evaluation group. It also provides teachers with information on the document contents kept in teacher professional portfolios, for acquiring the necessary credit scores after evaluation.

The guideline also offers activity criteria and rubrics, model lesson evaluation rubrics, used by the teacher evaluation group in carrying out the evaluation process at the school level.

Apart from the Guideline, TPDC offers teachers and school administrators other support activities, like consultations and trainings.



წინა ლარცულიანი

როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ სამოძილო გაკვეთილი

სამოძილო გაკვეთილის ჩატარება უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისთვის განსაზღვრული აქტივობაა. უფროს მასწავლებელს, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ევალება 2 სამოძილო გაკვეთილის ჩატარება, წამყვან მასწავლებელს სტატუსის შესაწარმუნებლად - 5, ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად დამატებით - 5 სამოძილო გაკვეთილის ჩატარება სქემით განსაზღვრული ვადის ფარგლებში. უფროსი მასწავლებლისთვის სამოძილო გაკვეთილი ფასდება 2 კრედიტულით, ხოლო წამყვანისთვის - თითო გაკვეთილი - 1 კრედიტულით.

„სამოძილო გაკვეთილს აკვირდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, აფასებს რუბრიკის გამოყენებით და ანიჭებს კრედიტულებს. ამ ტიპის გაკვეთილს უნდა ესწრებოდნენ კათედრის სხვა წარმომადგენლებიც, რადგან სამოძილო გაკვეთილის დანიშნულება სწორედ საკუთარი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებაა.

სამოძილო გაკვეთილის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ იგი უნდა განსხვავდებოდეს ყოველდღიური გაკვეთილებისგან და გვთავაზობდეს რამე სიახლეს, არასტანდარტულ, შემოქმედებით მიდგომას სწავლა/სწავლებაში. სამოძილო გაკვეთილი შეიძლება იყოს პროექტ-გაკვეთილიც ან ინტეგრირებული გაკვეთილი“ (1-36).

მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის შესახებ წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს შეფასების ჯგუფს, დაწეროს განცხადება, ასევე, შეფასების ჯგუფს უნდა წარუდგინოს გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე.

„მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გადაწყვეტს სამოძილო გაკვეთილის ჩატარებას, სასურველია გააცნოს გაკვეთილის გეგმა კოლეგებს და როცა გეგმას საბოლოო სახეს მისცემს, მოაწიოს შეხვედრა შეფასების ჯგუფთან, ეს არის ერთგვარი წინასაგაკვეთილო ინტერვიუ, რაც გულისხმობს შეფასების ჯგუფის წევრებთან გასაუბრებას გაკვეთილის თემის, მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შესახებ“ (2-12).

და მაინც, რას წარმოადგენს სამოძილო გაკვეთილი და რით განსხვავდება იგი სტანდარტული გაკვეთილისაგან?

სამოძილო გაკვეთილს აქვს 4 ძირითადი მიმართულება, რომელთაგანაც მასწავლებელი ირჩევს ერთ-ერთს. სამოძილო შეიძლება იყოს:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

რას წარმოადგენს თითოეული მათგანი?

1. **ინტეგრირებული გაკვეთილის** მიზანია უზრუნველყოს გაკვეთილზე საგანთაშორის ინტეგრირება ისე, რომ შესაძლებელი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ამგვარი გაკვეთილი მოსწავლეებს ეხმარება საკითხის/საკითხების მრავალმხრივ გააზრებაში. ამგვარი ტიპის სამოძილო გაკვეთილის დაგეგმვისას ძალიან მნიშვნელოვანია საგანთაშორის ინტეგრირება იყოს ლოგიკური;

2. **პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი** - ამგვარმა გაკვეთილმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები:

- ✓ პრობლემა აქტუალური უნდა იყოს მოსწავლეებისთვის;
- ✓ გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები;
- ✓ გავთვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა (რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას);
- ✓ მოსწავლეებმა გაკვეთილზე უნდა გამოავლინონ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების უნარი.

3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი - ამგვარი გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა აირჩიოს კონკრეტულად რომელი გამჭოლი კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილი. შესაძლებელია, ერთ გაკვეთილი მასწავლებელმა დაგეგმოს რამდენიმე გამჭოლი კომპეტენციის ფარგლებში. მთავარია, გაკვეთილი იყოს მრავალფეროვანი და სრულად უწყობდეს ხელს დასახული მიზნის/მიზნების მიღწევას.

- ✓ **ინოვაციური გაკვეთილი** - ამგვარი გაკვეთილის მთავარ მახასიათებლებია:
- ✓ გაკვეთილი იყოს თემატურად ინოვაციური ან მეთოდურად ინოვაციური;
- ✓ სიახლე შემოქმედებითად და საინტერესოდ იყოს შემოტანილი საგაკვეთილო სივრცეში;
- ✓ მასალა თანმიმდევრულად და საინტერესოდ იყოს მიწოდებული მოსწავლეებისთვის;
- ✓ გაკვეთილმა უზრუნველყოს დაგეგმილ შედეგზე/შედეგებზე გასვლა.

გთავაზობთ სამოდულო გაკვეთილის გეგმის ჩვენ მიერ შექმნილ შაბლონს, რომელიც შექმნილია სამოდულო გაკვეთილის შეფასების სქემაზე დაყრდნობით:

სამოდულო გაკვეთილის გეგმა

N		
1.	გაკვეთილის მიზანი	
2.	მისაღწევი შედეგები	
3.	გაკვეთილის თემა	
4.	საგანი	
5.	კლასი (სამიზნე ჯგუფი)	
6.	მოსწავლეთა რაოდენობა	
7.	სამუშაო ენა	
8.	აქტუალობა	
9.	სამოდულო გაკვეთილის ტიპი	
10.	ეროვნულ სასწავლო გეგმასთან/სტანდარტთან შესაბამისობა ...	
11.	გაკვეთილის მსვლელობა/დაგეგმილი აქტივობები	
12.	კლასის ორგანიზების ფორმა/სტრატეგიები	
13.	გამოყენებული რესურსები	
14.	შეფასება/მეთოდები	

ამ შაბლონის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოდულო გაკვეთილის ტიპს (ინტეგრირებული გაკვეთილი; პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი; გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი; ინოვაციური გაკვეთილი) და მკვეთრად განისაზღვროს ის, თუ კერძოდ რომელი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს ამ ტიპის სამოდულო გაკვეთილმა.

გაკვეთილის გეგმას თან უნდა ახლდეს **რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე**, რომელიც სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად უნდა პასუხობდეს ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს (ჩვენ ეს კითხვარი წარმოვადგინეთ ცხრილის სახით, რათა მასწავლებლებს გაადვილებოდათ მისი შევსება):

რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე

N	კითხვები	მასწავლებლის პასუხები
1.	რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?	
2.	რა სარგებელი მიიღეს გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებმა? მოსწავლეებმა?	
3.	მიაღწიეთ თუ არა დასახულ მიზნებს?	
4.	რა შეიცვალა თქვენი და თქვენი კოლეგების პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ გაკვეთილის ჩატარებით?	
5.	სასწავლო პროცესის კონკრეტულად რა მხარეების განვითარებას/ პრობლემების დაძლევას შეუწყობს ხელს და როგორ ჩატარებული გაკვეთილი?	
6.	რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად?	
7.	რომელი აქტივობები ვერ განხორციელდა და რატომ?	
8.	რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რატომ?	
9.	რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ?	
10.	რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას?	

აქვე წარმოგიდგინთ ჩვენ მიერ ჩატარებული სამოდულო გაკვეთილის გეგმასა და რეფლექსიას. გაკვეთილი ჩატარდა სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. რუსთავის #1 საჯარო სკოლაში. გაკვეთილი ჩატარა წამყვანმა მასწავლებელმა - ნინო ლარცულიანმა ქართულ ენასა და

ლიტერატურაში, I^o კლასში, სადაც სწავლობს 17 მოსწავლე, აქედან 9 - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

სამოდულო გაკვეთილის გეგმა

1.	გაკვეთილის თემა	პატივისცემა
2.	საგანი	ქართული ენა
3.	მასწავლებლის სახელი, გვარი	ნინო ლარცულიანი
4.	სწავლების საფეხური	დანყებიითი, I კლასი.
5.	სამუშაო ენა	ქართული
6.	მოსწავლეთა რაოდენობა	17 მოსწავლე, აქედან 9 - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
7.	სამოდულო გაკვეთილის ტიპი	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება
8.	აქტუალობა	პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი
9.	დრო	35 წუთი
10.	ორგანიზების ფორმა	ჯგუფური, ინდივიდუალური.
11.	რესურსები	პროექტორი, ლეპტოპი, ფორმატები, მარკერები, მაკრატილი, მუყაოს ფერადი ფურცლები, ხელნაკეთი დიდი წიგნი.
12.	სასწავლო მიზნები	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლემ უნდა შეეძლოს ნაცნობ თემაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და თავისი დამოკიდებულების გამოხატვა (I. 4); • მოსწავლეს უნდა შეეძლოს ვიზუალურად გამოხატოს ნაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები(I. 9); • მოსწავლეს უნდა შეეძლოს ტექსტის სტრუქტურის აღქმა (I. 11) • მოსწავლეს უნდა შეეძლოს მარტივი წინადადების შედგენა ნაცნობ თემებზე (I. 14);
13.	მოსალოდნელი შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტის მოსმენა და თავისი დამოკიდებულების გამოხატვა (I. 4); • მოსწავლეს შეუძლია ვიზუალურად გამოხატოს ნაკითხული / მოსმენილი ტექსტით აღძრული შთაბეჭდილებები(I. 9); • მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა (I. 11)

		<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადების შედგენა ნაცნობ თემებზე (I. 14); 	
14.	გაკვეთილის მსვლელობა	<p>წინასწარ მოსწავლეთა დასწრების აღნიშვნა;</p> <p>I.</p> <p style="text-align: center;">გამოწვევის ფაზა</p> <p>მოსწავლეებისთვის საგანგებოდ გამზადებული დიდი ხელნაკეთი წიგნის ჩვენება (წიგნის ერთ მხარეს წერია მოდერნიზებული ვარიანტი ტექსტისა „ჯიუტი თხები“, დაფარულია ნებოვანი ქაღალდებით: სათაური, ავტორი და ადგილები/ფრაზები ტექსტიდან, ასევე წიგნის მეორე გვერდზე განთავსებული წარწერა (ილუსტრაცია).</p> <p>ვსვამთ კითხვებს: რა არის დაფარული ნებოვანი ქაღალდებით ჩვენი წიგნის პირველ გვერდზე? მოსწავლის სავარაუდო პასუხი: სათაური, ავტორი, წინადადებები ტექსტში და ილუსტრაცია.</p> <p>შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ გაკვეთილის თემას, ეს გახლავთ - პატივისცემა და ჩვენს ხელნაკეთ წიგნზე წარმოდგენილი ტექსტი სწორედ პატივისცემას გვასწავლის, ხოლო ილუსტრაცია თავად უნდა შევქმნათ წინასწარ გამზადებული, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი ფიგურების საშუალებით, რომელიც ნებოთი მიმაგრდება ხელნაკეთი წიგნის სუფთა გვერდზე (ფიგურების ჩამონათვალი: მზე, მდინარე, ხიდი, 2 ღრუბელი, 2 ბუჩქი, 2თხა).</p> <p>II ფაზა - შინაარსის რეალიზება</p> <p>აქტივობების ჩამონათვალი:</p> <p><u>ა. მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული ქცევის წესების გახსენება და „ზრდილობის ხეზე“ ნებოვანი ფურცლებით საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება;</u></p> <p><u>ბ. მოსწავლეთათვის სპეციალურად შექმნილი სლაიდ-შოუს (იაკობ გოგებაშვილის „ჯიუტი თხები“) ჩვენება და ტექსტის ხმამაღლა კითხვა; ტექსტის სტრუქტურის განხილვა (სად იწერება ავტორის სახელი და გვარი, სად იწერება სათაური, ტექსტი, სადაა განთავსებული ილუსტრაცია); რამდენი წინადადებაა ამ ტექსტში, რამდენსიტყვიანი და ა. შ.</u></p> <p><u>გ. მოცემულ ტექსტთან დაკავშირებული პრობლემის წამოჭრა და განხილვა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მდინარეზე ვინრო ხიდი იყო; 	<p>2წთ.</p> <p>I-3 წთ</p> <p>II-30 წთ</p> <p>ა. -5 წთ</p> <p>ბ. -7 წთ</p> <p>გ.-5 წთ</p>

		<ul style="list-style-type: none"> • გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო; • ერთ-ერთს უნდა გზა დაეთმო... <p>მოსწავლეები მიმართულების მიმცემი კითხვებით აკეთებენ დასკვნებს: ავტორმა ეს პრობლემა წამოჭრა იმის გამო, რომ გამოვლენილიყო პერსონაჟების ჯიუტი ხასიათი; სიჯიუტემ დალუპა მთავარი პერსონაჟები;</p> <p>იკვეთება 2 პრობლემა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხიდის სივინროვე; 2. პერსონაჟების ჯიუტი ხასიათი; <p><u>დ. პრობლემის გადაჭრის გზების ერთად ძიება:</u></p> <p>ამ აქტივობის ფარგლებში ჩვენ ვირჩევთ მოსაგვარებელ პრობლემას: ან ხიდის გაფართოებას, ან - პერსონაჟების ხასიათის გამოსწორებას. მასწავლებელი სვამს მიმართულების მიმცემ კითხვას:</p> <p>როგორ ფიქრობთ, რა იყო ავტორის ჩანაფიქრი? რაზე სურდა მას ჩვენი ყურადღების მიქცევა: ხიდის სივინროვეზე, თუ თხების ჯიუტ ხასიათზე?</p> <p>მოსწავლეთა სავარაუდო პასუხია: თხების ჯიუტი ხასიათი. ამიტომ, ვინცებთ ამ პრობლემის მოგვარებას და ვცვლით მთავარი პერსონაჟების ხასიათს.</p> <p>მიმართულების მიმცემი კითხვებია:</p> <p>როგორებად უნდა იქცნენ ჯიუტი თხები?</p> <p>მოსწავლეთა სავარაუდო პასუხებია: ზრდილობიანი, თავაზიანი, კეთილი და ა. შ.</p> <p>ჩვენ ვირჩევთ სიტყვას „თავაზიანი“ და ვიხსენებთ ჩვენი გაკვეთილის თემას - პატივისცემა.</p> <p><u>ე. პრობლემის გადაჭრა - მოსწავლეებს შევახსენებ ხელნაკეთ წიგნს და ვუხსნი, რომ მასზე გამოსახული ტექსტი მოგვითხრობს გამოსწორებულ თხებზე და ვსვამ მიმართულების მიმცემ კითხვებს:</u></p> <p>როგორ ფიქრობთ, რა იქნება ამ ახალი მოთხრობის სათაური?</p> <p>მოსწავლეთა სავარაუდო პასუხია: თავაზიანი თხები.</p> <p>ახალი წიგნის შექმნა (ახალი ტექსტის გამოცნობა და ილუსტრაციის შექმნა, სადაც პრობლემაა მოგვარებული).</p> <p>მასწავლებელი გაუხსნის მოსწავლეებს ნებოვანი ფურცლებით დაფარული ტექსტის სათაურს: „თავაზიანი თხები“.</p> <p>შემდეგ ვინცებთ ტექსტის კითხვას და როდესაც მივადგებით ნებოვანი ფურცლებით დაფარულ წინადადებას, მოსწავლეებს ვეკითხები: როგორი უნდა ყოფილიყო თავაზიანი თხების</p>	<p>დ.-5 წთ</p> <p>ე.-5 წთ</p>
--	--	--	---------------------------------------

		<p>დიალოგი? მოსწავლეები იხსენებენ მათთვის ნაცნობ თავაზიანი მიმართვის ფორმებს: თუ შეიძლება, მობრძანდით, გმადლობთ, არაფერს, თქვენ ძალიან თავაზიანი ბრძანდებით. მოსწავლეთა დახმარებით მასწავლებელი ხსნის ტექსტის დაფარულ ფრაზებს და ვლემულობთ ახალ ტექსტს და წინასწარ გამზადებული აპლიკაციებით ვქმნით ახალ ილუსტრაციას:</p> <p>ტექსტი:</p> <p style="text-align: center;">თავაზიანი თხები</p> <p>მდინარეზე ვინრო ხიდი იყო. ამ ხიდზე ორი თავაზიანი თხა შეხვდა ერთმანეთს. გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო.</p> <ul style="list-style-type: none"> - თუ შეიძლება, გამატარეთ! - უთხრა ერთმა მეორეს. - მობრძანდით! - უპასუხა მეორე თხამ. - გმადლობთ! თქვენ ძალიან თავაზიანი ხართ! - გაუხარდა პირველს. - არაფერს, თქვენც ძალიან თავაზიანი ხართ! - მიუგო მეორემ. <p>ორივე თხა მშვიდობიანად გადავიდა ხიდზე.</p> <p>ავტორები: I^ბ კლასის მოსწავლეები</p> <p>ილუსტრაცია: აპლიკაციებით შექმნილ ახალ ილუსტრაციაზე გამოსახული თხები ნამდვილად ჰგვანან თავაზიან თხებს.</p> <p>III. რეფლექცია</p> <p>საკითხის შეჯამება და ღირებულებებზე (პატივისცემა) საუბარი. მიმართულების მიმცემი კითხვების საშუალებით, მასწავლებელს მოსწავლეები მიმყავს იმ დასკვნამდე, რომ პატივისცემა სასიცოცხლოდ აუცილებელი ღირებულებაა და მისი საშუალებით პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი.</p>	III.-2 წთ
15,	შეფასება	განმავითარებელი.	

განმავითარებელი კომენტარების შეფასების რუბრიკა

მოსწავლის სახელი და გვარი----- თარიღი -----

	კომენტარები
დამაკმაყოფილებელი	ხანდახან დამოუკიდებლად ვერ ართმევს თავს მასწავლებლის მითითებებს, იჩენს ინიციატივას, თუმცა გაუბედავად აფიქსირებს საკუთარ აზრს. არასრულყოფილად ასრულებს მოცემულ დავალებას. თუმცა, ამჟღავნებს მონდომებას ცოდნის მიღებისათვის და პოზიტიურად არის განწყობილი სწავლისადმი. მონესრიგებულია და დისციპლინებული.
კარგი	გონივრულად შეუძლია მუშაობა, დამოუკიდებლად და ხარისხიანად ასრულებს ყველა დავალებას. კონტაქტურია, აქვს საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვისი აზრის მოსმენის უნარი. პასუხისმგებელია სამუშაოს ხარისხზე. აქვს ლიდერის თვისებები. ეხმარება კლასელებს სამუშაოს შესრულებაში. შეუძლია ემოციების მართვა. მონესრიგებულია და დისციპლინებული.

რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე

N	კითხვები	მასწავლებლის პასუხები
1.	რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?	1 კლასში საკმაოდ რთულია მოსწავლეებთან ქცევის წესების შეუშავება და შემდეგ მისი კონტროლი. მიუხედავად ჩემი დიდი მონდომებისა, კლასში პერიოდულად ირღვეოდა ქცევის ჩვენ მიერვე (მოსწავლეებთან ერთად) შემუშავებული ქცევის წესები. დაკვირვების თანახმად, მივხვდი, რომ მოსწავლეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ღირებულებების სწავლება, რისთვისაც სამოდულო გაკვეთილად ავირჩიე შემდეგი თემა - „პატივისცემა“.
2.	რა სარგებელი მიიღეს გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებმა? მოსწავლეებმა?	გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებისთვის ახალი იყო ამ კუთხით გაკვეთილის წარმართვა, რადგან პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი საკმაოდ რთული დასაგეგმი და განსახორციელებელია როგორც სტრუქტურულად, ისე თემატურადაც, მით უმეტეს, დაწყებით კლასებში. მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება, რადგან მათ მიეცათ საშუალება მოეფიქრებინათ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო საკუთარი ალტერნატიული გზები და საკუთარი პოზიციები გაემყარებინათ კონკრეტული მგალითებით. ამგვარმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში გამჭოლი კონპტენციების განვითარებას.
3.	მიაღწიეთ თუ არა დასახულ მიზნებს?	დასახულ მიზნებს სულად მივაღწიე.
4.	რა შეიცვალა თქვენი და	მე და ჩემმა კოლეგებმა ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები გაკვეთილის შემდეგ, რამაც სარგებელი მომიტანა რო-

	თქვენი კოლეგების პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ გაკვეთილის ჩატარებით?	გორც მე, ასევე - მათ. კოლეგებისთვის ასევე, ჩემ მიერ ჩატარებული სამოდულო გაკვეთილი ერთგვარ სტიმულად იქცა თავადაც ჩაეტარებინათ მსგავსი ტიპის გაკვეთილები.
5	სასწავლო პროცესის კონკრეტულად რა მხარეების განვითარებას/ პრობლემების დაძლევის შეუწყობს ხელს და როგორ ჩატარებული გაკვეთილი?	ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პატივისცემის გრძნობის ამაღლებას, მოსწავლეთა შორის ტოლერანტული უნარების ჩამოყალიბებას. ასევე, გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარის განვითარებას..
6	რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად?	გეგმის შესაბამისად წარიმართა გაკვეთილის ყველა ფაზაში შემავალი აქტივობა: გამონვევის ფაზა (ხელნაკეთი ნიგნის წარდგენა), შინაარსის რეალიზება (ფორმატზე აპლიკაციების გაკეთება, power-point -ის ფორმატში მომზადებული პრეზენტაციის მოსწავლეთათვის გაცნობა, ახალი ტექსტის შექმნაზე მუშაობა) და რეფლექსია .
7	რომელი აქტივობები ვერ განხორციელდა და რატომ?	განხორციელდა აბსოლუტურად ყველა დაგეგმილი აქტივობა.
8	რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რატომ?	გაკვეთილი ყველაზე წარმატებული იყო იმ ფაზაში, სადაც მოსწავლეებმა წამოჭრეს პრობლემის გადაჭრის საკუთარი ალტერნატიული გზები, რადგან მათ შეძლეს თავიანთი ასაკობრივი შესაძლებლობების ფარგლებში საკუთარი აზრების არგუმენტებით გამყარება. რაც, უდავოდ, ძალიან შთამბეჭდავი და საინტერესო იყო.
9	რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ?	გავაუმჯობესებდი დროის მენეჯმენტს. გაკვეთილის მცირე ზომიდან გამომდინარე (35 წთ.), მე, როგორც პედაგოგი, ვიყავი ძალიან დაძაბული და ვცდილობდი, მკაცრად მეკონტროლებინა დრო და ჩემდა უნებურად, იმის ნაცვლად, რომ დროის ჩარჩოს გავცდენოდი, მოხდა პირიქით, გაკვეთილის დასრულების შემდეგ კიდევ დამრჩა 2 წუთი, რომელიც გამოვიყენე გაკვეთილის მიზნების შესაჯამებლად. ანუ, მოსწავლეებს გავახსენე, თუ რა იყო გაკვეთილის თემა (პატივისცემა) და მიზანი (მოსწავლეებისთვის პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება) და მათთან ერთად გავანალიზე, როგორ და რა სახით მივალნიეთ გაკვეთილზე ჩვენ მიერ დასახულ მიზანს.
10	რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას?	აუცილებლად დავხვეწ დროის მენეჯმენტის საკითხს.

ვფიქრობთ, აღნიშნული სამოდულო გაკვეთილის გეგმა და რეფლექსია გარკვეულ დახმარებას გაუწევს სამოდულო გაკვეთილის ჩატარებით დაინტერესებულ მასწავლებლებს.

„სქემის ერთ-ერთი ამოცანაა სკოლების გაძლიერება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების სტიმულირებას. **სწორედ ამიტომ უნდა წახალისდეს მასწავლებლებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და პროფესიული დიალოგი**“ - ვკითხულობთ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევაში“ (5-11).

ლიტერატურა:

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი I, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015.
2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი წამყვანი მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015.
3. მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017.
4. http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=1000&lang=geo ;
5. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzankvlevi-2016-Web.pdf .

NINO LARTSULIANI

HOW TO PLAN AND CONDUCT THE MODEL LESSON

SUMMARY

The paper reviews the Model Lessons and presents one Model Lesson plan for teachers.

“Teacher Induction, Professional Development and Career Advancement Scheme” Guideline has been developed at the National Center for Teacher Professional Development. The electronic version of the Guideline is available at the TPDC web-site: tpdc.gov.ge.

The guideline also offers activity criteria and rubrics, model lesson evaluation rubrics, used by the teacher evaluation group in carrying out the evaluation process at the school level.

One difficult activity is making a Model Lesson. The model lesson is shown by the senior and leading teacher practitioners. The Model Lesson tips are: integration lesson, innovation lesson, practicing Problem solving lesson, cross-curricular competences lesson.



**ქართული ლიტერატურის სწავლების
თეორიულ-ისტორიული ასპექტები**

ქართული ლიტერატურის სწავლებას უდიდესი იდეურ-აღმზრდელობითი და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. ყოველი მწერალი ცხოვრების ღრმაიდეური და მაღალმხატვრული გამოსახვით, ტიპური სახეების შექმნით, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების სრულყოფილად აღქმის პროცესში გონებასთან ერთად ჩართულია ადამიანის გრძნობის ორგანოებიც. ისინი მკითხველში ბადებენ გარკვეულ ემოციებს, რასაც ესთეტიკური განცდა ეწოდება.

იდეურისა და ემოციურის მთლიანობა მხატვრული ლიტერატურისა და, ზოგადად, ხელოვნების სპეციფიკურობაა, რომლითაც ისინი განსხვავდებიან ცნობიერების სხვა ფორმებისაგან. მხატვრული ლიტერატურის მიერ მონიჭებული სიამოვნება, მისგან მიღებული შთაბეჭდილება ზემოქმედებს რა ადამიანზე, გამოუმუშავებს მას მისწრაფებას სილამაზისადმი, მშვენიერებისადმი, ხელს უწყობს მკითხველში გემოვნების დახვეწა-სრულყოფას და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. ესთეტიკა ლიტერატურის თეორიის მომცველი სფეროცაა, ამიტომაც გვსურს წარვმართოთ ჩვენი მსჯელობა მხატვრულ ლიტერატურაზე თეორიულ-ისტორიული ასპექტით.

ლიტერატურის სწავლების საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, საიდანაც გამომდინარეობს მისი ძირითადი დანიშნულება. იგი ასე განისაზღვრება: „მხატვრული ლიტერატურა არის სინამდვილის არა ასლგადაღება, არამედ მისი მხატვრული წარმოსახვა, ე.ი. ხელმეორედ წარმოქმნა-გარდასახვა. ცხოვრების არსი მხატვრულ სიმართლედ უნდა იქცეს ლიტერატურაში. მხატვრული სიმართლის შექმნაში ძირითადი და განმსაზღვრელი როლი ცხოვრების სიმართლეს აქვს, მაგრამ, ამავე დროს, მოცემულ პროცესში არსებით როლს ასრულებს მხატვრული ფანტაზია. ლუარსაბ თათქარიძე სინამდვილეში არც არსებულა. იგი ჭაფჭავაძემ შექმნა, როგორც თავისი დროის გადაგვარებული თავადაზნაურების განსახიერება. ამ გამონაგონით მწერალმა სინამდვილე ისე ღრმად გახსნა, რასაც ვერ მიაღწევდა რომელიმე მაშინ ნამდვილად მცხოვრები თავადის ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერისას“ (1, 92-94).

მოცემული დეფინიციის შემდგომ ყურადღებას ვამახვილებთ იდეურ დაპირისპირებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის მოდერნისტულ ლიტერატურაში. ფორმალისტური თეორია – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ საფრანგეთში თითქმის ყველა პოეტის მიერ იყო გაზიარებული. მასვე იზიარებდნენ ქართველი სიმბოლისტებიც, როდესაც მთელი არსებით დაუპირისპირდნენ თერგდალეულებს, ილიას და აკაკის. თერგდალეულებმა ბარბარე ჯორჯაძესთან კამათში სრული გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ამას ქართველი სიმბოლისტები დამარცხებად მიიჩნევდნენ: „ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული, – წერს ტიცინ ტაბიძე, – ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად... ილია ჭაფჭავაძემ სა-მუდამოდ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“ (2, 105).

აქედან ცხადია, რომ მოდერნისტების გაგებით, ხელოვნებისა და ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება მხოლოდ მშვენიერების ასახვაა და მკითხველთათვის სიამოვნების მინიჭება. მათ უარყვეს ლექსის იდეურ-შინაარსობრივი მხარე. უპირატესობა ფრაზის მუსიკალობას მიანიჭეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი თეორიული ხასიათის საკითხების ირგვლივ ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში მსჯელობდნენ. მოწინავე ბერძენი მკითხველი მწერლისაგან მოითხოვდა

ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მაღალი იდეურობით ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ პოემაში მოთხრობილია, თუ როგორ გადამალა თეტიდამ თავისი ვაჟი, პირტიტველა აქილევსი, შორეულ კუნძულზე ქალის ტანსაცმელში გადაცმული, რათა აეშორებინა მისთვის ომი. ეს ის აქილევსია, რომელმაც ასახელა ბერძენთა ჯარი ტროელების წინააღმდეგ ბრძოლაში. პოემა საზოგადოებამ არ მიიღო, ვინაიდან მასში გატარებული აზრი დამამცირებელი იყო არა მარტო აქილევსისთვის, არამედ მთელი ბერძნული სახელმწიფოსთვის. მოწინავე ბერძნული საზოგადოება მწერლისგან მოითხოვდა, მხატვრულ ნაწარმოებში ასახულიყო ისეთი მოვლენები, რომლებიც ღირებული იქნებოდა საზოგადოებრივი პროგრესისთვის. როგორც ვხედავთ, ბერძენმა მკითხველმა მწერლობას ქვეყნისა და ერის სამსახური დააკისრა და ამით კიდევ უფრო გააძლიერა შემოქმედი ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნის წინაშე.

ამრიგად, ჩვენი მიზანია, არსებული პრობლემა კიდევ უფრო გავაღრმავოთ, მივცეთ მას ფართო მასშტაბი და მე-19 ს-ის 60-იანი წლების ქართული კლასიკური რეალიზმის ფონზე წარმოვაჩინოთ.

ყველასათვის ცნობილია ილიას და აკაკის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული კოლიზიები ყველაზე ნათლად ამ ორი უდიდესი პიროვნების შემოქმედებაში გამოვლინდა. ფაქტობრივად, ისინი ერის ჭირისუფლებად გვევლინებოდნენ ამ მეტად დაძაბულ და მნიშვნელოვან პერიოდში. მათი მხატვრული მემკვიდრეობა მაღალი იდეურობითა და ხალხურობით არის გამორჩეული. ხალხურობა კი, თავისთავად, უშუალო კავშირშია ქვეყნის ეროვნულ-სულიერ ინტერესებთან, მათი ცნობიერების უფაქიზეს ნიუანსებთან.

კონკრეტულად, როგორ უნდა ავუხსნათ მოსწავლეებს, თუ რაში ვლინდება ლიტერატურის ხალხურობის ტენდენცია? ლიტერატურის ხალხურობა გულისხმობს ხალხის ცხოვრების, მათი იდეებისა და იდეალების სახეობრივ გამოხატვას.

ზოგადად, ხალხურობაში მოიაზრება მთელი რიგი ფაქტორები, როგორებიცაა: ქრისტიანობა, ეროვნულ-სოციალური მოტივები, პოეტისა და პოეზიის დანიშნულების ილიასეული გააზრება, დაბოლოს, მწერლის ენა, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი. ყოველივე ეს ხალხურობასთან ორგანულ ერთიანობაშია და ამიტომაც განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.

დავინწყით ილია ჭავჭავაძის ქრისტიანული მსოფლმხედველობით. ქრისტიანობა მწერლის ცნობიერების, მისი ფილოსოფიური მრწამსის ძირითადი ფასეულობაა, რომელსაც თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ილიას შემოქმედებაში.

ლექსში „ქართველის დედას“ პოეტი პირდაპირ მოუწოდებს ქართველ ქალს, აღზარდოს შვილი ქრისტეს მცნებით, რომელიც კაცთმოყვარეობასთან, ძმობა-ერთობასა და თავისუფლებასთან ასოცირდება:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,-
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

ილია ძალზე განიცდიდა საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე შეფერხებისა და წინააღმდეგობის ყოველგვარ გამოვლენას. მას ქრისტეს მცნების დამარცხებად მიიჩნევდა. ამ მხრივ პოეტის სკეპტიკური დამოკიდებულება არაერთხელ აირეკლა მის ლირიკულ პოეზიაში:

„აღმესპენ იგი საოცარი ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება,
თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მჭკნარნი,

მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება“.

ისტორიის შეფერხებად აღიქვა ილიამ პარიზის მოვლენები და პროგრესულ ძალთა დამარცხება ქრისტეს დამარცხებად მიიჩნია:

„კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი“.

ილია ჭავჭავაძე საკუთარ თავს ხალხის მოსამსახურედ მიიჩნევს. მისი აზრით, პოეტი ზეციდან არის მოვლენილი, ღმერთთან საუბრობს და ერის ჭირ-ვარამის გამზიარებელია. აქაც ილია მიწიერ პრობლემებთან ზეციურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სინთეზს ახდენს და რელიგიასაც ხალხის სამსახურში აყენებს:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში“, -

აცხადებს მთელი არსებით ილია ჭავჭავაძე. მსგავს განწყობას აძლიერებს პოემა „განდგეგის“ იდეა, რომ ქვეყნისგან განდგომა დამარცხებას ნიშნავს და რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობაა აქტიური ცხოვრების წესით არსებობა. დროდადრო ილიას იპყრობს სკეპსისი. ლექსში „მას აქეთ“ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პოეტი ჩივის, რომ ვერავის უზიარებს გულისნადებს:

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!“

ამიტომაც გაორმაგებული ენერგიითა და შემართებით აცხადებს:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში,
ბოროტთ საკლავად, – მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ“.

როგორც ვხედავთ, მართალ სიტყვას პოეტმა „წმინდა სიტყვა“ უწოდა, ხოლო მისი ხალხში მოფენა კი ღვთიურ საქმესთან გააიგივა.

კიდევ უფრო მძაფრია ილია სატირულ-პოლემიკურ ლირიკაში. მხოლოდ ადამიანებისადმი სიყვარული და მათზე ზრუნვა ამოძრავებდა პოეტს სატირულ ლექსებში: „გამოცანები“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „პასუხის პასუხი“, „კითხვა-პასუხი“ და სხვა. „პოეტმა სააშკარაოზე გამოიტანა ის, რაც ყველაზე უფრო სამარცხვინო იყო მაშინდელ საზოგადოებაში. მთელი თავისი მხატვრული ძალით დაესხა თავს ილია შურსა და გაუტანლობას, ეჭვიანობასა და უნდობლობას, თვითკმაცოფილებასა და საზოგადოებრივ სიბეცეს... მან შეუტია უშფოთველობას, თავდახრილობას, უზრუნველობასა და საზოგადოებრივ გულგრილობას“ (1, 256):

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვა დამჯდარი, გულხმიერი“.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებს: „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „სარჩობელაზედ“, მათში აშკარად იკვეთება ბრძოლა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთი მცნების – „არა კაც კლას“ – გამოხატულებაა. ამ ნაწარმოებებზე მოსწავლეებს განსაკუთრებულად უნდა შევაჩერებინოთ ყურადღება. ეს ჰუმანური შეხედულება წითელ ზოლად გასდევს ილიას არა მარტო მხატვრულ შემოქმედებას, არამედ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. მან, როგორც სახელმწიფო საბჭოს დეპუტატმა, 1907 წელს, აპრილში, საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს, ხშირ შემთხვევაში, უჭირთ ილიას მოთხრობებში მოცემული პრობლემის ამსახველი შესაბამისი მომენტების დაძებნა. ზოგჯერ ისინი ვერც კი პოულობენ სათანადო დამამტკიცებელ ეპიზოდებს ტექსტებში. ამ დროს პედაგოგი ვალდებულია, მიუთითოს ბავშვებს კონკრეტული ადგილები ნაწარმოებებში და დეტალურად გაუანალიზოს იგი. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია „ოთარაანთ ქვრივი“ ქვეთავი „ჯავრი დედისა“. მწერალი გენიალურად აგვიჩვენებს ოთარაანთ ქვრივის დარდს, თუ რისი ეშინია და რას ეჭვობს ქვრივი დადარდიანებულ გიორგიზე: „... მას აქეთ დაანვა რაღაც ლოდი გულზედ და ველარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, მაშორე, ნუ მაფიქრებინებ... თუ სიყვარულია, ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის! ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე... გულზედ ლოდსავით დაანვება და თავის დღეში აღარ აეხსნება“.

არანაკლები ფსიქოლოგიური სიღრმით არის აღწერილი გაორებული მოხუცი პეტრეს ფიქრები და განცდები, როდესაც იგი მოწმე გახდა ყმანვილი კაცის ჩამოხრჩობისა. მოხუცს არ სჯერა ნანახის: „თვალთმაქცობა იქნება, ჯამბაზობაო... თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავია? კატა ხომ არ არის, აილო და ჩამოჰკიდო“, – ფიქრობს პეტრე. მისი ფიქრიდან აშკარად იკვეთება ილიას დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის არაადამიანური აქტის მიმართ. მწერლისთვის ყოვლად მიუღებელი იყო ადამიანების მსგავსი ფორმით დასჯა. არც „გლახის ნაამბობში“ ეღიროსა გაბრიელს კაცის კვლის გამო შენდობა და ზიარების მიღება. დანაშაული არც მას ეპატია.

ხალხურობასთან ორგანულ კავშირშია სოციალური პრობლემა – ხიდჩატეხილობა. იგი იყო მწერლის ერთ-ერთი საზრუნავი. სწორედ მის გამო დანაწევრებული ერი უკლავდა გულს ილიას, რომლის იდეალს ერთიანი, მძლავრი საქართველო წარმოადგენდა ასეთივე ერთიანი, მძლავრ კავკასიაში. ილიას ესმოდა, რომ სანამ ქართველები არ გაიღრმავებდნენ ცოდნას, არ შეიმეცნებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ზოგად კანონებს, არ შეცვლიდნენ საკუთარი ცხოვრების წესს, მათ არაფერი ეშველებოდათ, მათი სამშობლო გაუქმებული ტაძარივით უფუნქციოდ იქნებოდა.

ხიდჩატეხილობის პრობლემა კარგად იკვეთება ილიას წერილში „ზოგიერთი რამ“, რომელშიც ავტორი გულმოკლული წერს: „ეჰ, რაღა გითხრა მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის. იმერელი – იმერელია, გურული – გურუ-

ლია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან. ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუნყდა; ვაი ქვეყანას, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა“.

მოცემული პრობლემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ბატონყმური სოციალური წყობილების დრომოჭმულობა, ზნეობრივად გადაგვარებული ქართველი თავადების პასიური და შემგუებლური ცხოვრება, რაც ბრწყინვალედ აისახა მოთხრობაში „კაცია-ადამიანი“. მასში ილიამ მსგავსი თავადის კლასიკური პორტრეტი წარმოგვიდგინა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ხალხურობის საუკეთესო მაგალითია მწერლის ენაც. მისი თხზულებები სავსეა ხალხური გამონათქვამებით: ანდაზებით, იდიომებით, ფოლკლორში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმებით, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ილიას მსოფლმხედველობის ხალხურობაზე. ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ეპიგრაფებზე, რომლებსაც მწერალი ხშირად იყენებდა ნაწარმოებებში.

ყველასთვის ცნობილია, რომ ეპიგრაფი მოკლე წარწერაა, რომელიც წარემძღვარება ნაწარმოებს და მიუთითებს თხზულების დედააზრზე. ეს კი მოითხოვს იდეის მასშტაბურ განზოგადებას, რის გამოც პედაგოგმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს გაკვეთილზე. მაგალითად, მოთხრობა „კაცია – ადამიანი“ წამდღვარებული აქვს მეტად გავრცელებული ხალხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე – მტერს პირს უკანაო“. კონკრეტულ ეპიგრაფში იკვეთება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მხატვრული მეთოდი – კრიტიკული რეალიზმი. მოთხრობა მოიცავს იმჟამინდელი სოციალური სისტემის კრიტიკას, რომლის ცენტრში დგას ტიპური გადაგვარებული ქართველი თავადი.

არანაკლებ საინტერესოა ილიას მეორე მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, რომელსაც ასევე ეპიგრაფად აქვს ხალხური ანდაზა: „რა ქნას კარგმა მონარდემმა, დროზედ შაში თუ არ მოვა?“ ეს ანდაზაც მოუწესრიგებელ სოციალურ წყობაზე მიუთითებს და გვეუბნება: რა ქნას კეთილმა ბუნებამ, თუ მას სოციალურ ცხოვრებაში სიკეთე არ დახვდება და ბოროტება გათელავს? ეს თხზულების ძირითად მორალს წარმოადგენს.

ინტერესს იწვევს პოემა „აჩრდილის“ ეპიგრაფიც: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ამ შემთხვევაში რუსთაველის ცნობილ აფორიზმთან გვაქვს საქმე. გენიალური შოთას სენტენციები იმდენად ღრმად აქვს გათავისებული ქართველ ერს, რომ ხალხურობის თვალსაზრისით კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის პოემას. დედააზრი კი ასეთია: ილიას ღრმად სწამს ცხოვრების დიალექტიკური წესის მარადიულობა, რომ დაცემული სამშობლო კვლავ აღდგება და მისი დიდება კვლავ აღორძინდება.

ხალხურობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თხზულებების ენობრივ ასპექტსაც. „ილიას მოთხრობებსა და ლექსებში მოცემულია უპრეტენზიო... ღონიერი ხალხური ფრაზა. ილიამ გვიჩვენა ძალა ხალხური სიტყვისა, როდესაც ერთიმეორეზე ააცვა „აჯამი“, გულქვა“ და „რეგვინი“, მან ხალხურობის დაღი დაასვა „კაცია – ადამიანი“, როდესაც მთელი ნაწარმოები შემდეგნაირი ფრაზებით გამართა: „ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა“; ძარღვიანი ქართული გვესმის, როდესაც „გლახის ნაამბობში“ ვკითხულობთ, რომ ამ ქვეყანაში „ყოველი კაცის ნაფხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია“. ილიამ გაითვალისწინა ღირებულება ლაღად გამლილი ნამდვილ ხალხურ მეტყველებსა, როდესაც თქვა: „ჩვენი წიგნი დედამინაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამინას მწვანე ხავერდსავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა...“ (1, 269-70).

აღსანიშნავია, რომ ილიას პუბლიცისტიკაც გაჯერებულია მსგავსი პოეტური თქმებითა და ანდაზებით. ფრთიანი ფრაზები, როგორც ცნობილია, მთავარი დამახასიათებელი შტრიხია პუბლიცისტიკის სფეროსთვისაც. ყველასთვის ცნობილი წერილები: „ერი და ისტორია“, „რა

გითხრათ, რით გაგახაროთ?“ „სიტყვა თქმული წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის და-
არსების გამო“ და სხვანი გაჯერებულია ხალხში გავრცელებული ბრძნული და პოეტური გამო-
ნათქვამებით, რომლებიც პუბლიცისტურ წერილებს მკითხველთათვის კიდევ უფრო შთამბეჭ-
დავს ხდის.

ილიას ხალხურობაზე მეტყველებს მისივე დაულალავი ბრძოლა ენის გარდაქმნისათვის.
ცნობილია, რომ მე-19 ს-ის 60-იანი წლების ქართული სალიტერატურო ენა შეზღუდული იყო
ანტონ კათალიკოსის ე.წ. „სამი შტილის თეორიის“ შედეგად შემუშავებული კანონებით. ისინი
აფერხებდნენ ენის განვითარებას და არქაულ ელფერს სძენდნენ სალიტერატურო ქართულს.
ანბანიც გადატვირთული იყო ხმარებიდან გასული ასო-ბგერებით, რომლებიც აღარ ისმოდნენ
ზეპირმეტყველებაში.

1861 წელს, 24 წლის სრულიად ახალგაზრდა ილიამ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა საე-
ტაპო მნიშვნელობის წერილი „ორიოდე სიტყვა“, რომელმაც ისტორიული გარდატეხა მოახდინა
სალიტერატურო-სამწერლო ქართულის გარდაქმნა-განვითარების საქმეში. მოცემულ ეტაპზე
ილიას სტრატეგია მდგომარეობდა სალიტერატურო ენის ხალხის მეტყველებასთან დაახლოე-
ბაში, ასევე ილიამ არაერთი ახალი ტერმინი დაამკვიდრა ქართულ ენაში. უცხო ტერმინებისათ-
ვის ქართული შესატყვისების დაძებნა მეტად რთულ ლექსიკოლოგიურ შრომას მოითხოვდა მი-
სი მხრიდან, რასაც წარმატებით გაართვა კიდევ თავი. ილიას მიერ შემოტანილი ტერმინები-
დან აღსანიშნავია შემდეგი სიტყვები: ფორმა, სიუჟეტი, კრიტიკა, ორიგინალი, პოემა, პოეზია,
სტატია, ლოგიკა, რენტა, ბაზარი, თანხა, თვითმმართველობა, მოხელე და სხვ.

ხალხურობის ასპექტით ინტერესს იწვევს აკაკი წერეთლის შემოქმედებაც. მონაფეებს შე-
ვახსენებთ, რომ აკაკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ
მოძრაობაში ილიას თანამოაზრედ და თანამებრძოლად ითვლებოდა. აკაკი წერეთლის შემოქ-
მედების ხალხურობა განპირობებული იყო იმითაც, რომ, მიუხედავად თავადური წარმომავლო-
ბისა, აკაკი ბავშვობიდანვე გაძიძავებული ჰყავდათ მეზობელი სოფლის გლეხის ოჯახში. ახალ-
შობილი ბავშვის გაძიძავება ტრადიციულად მიღებული წესი იყო საქართველოში. ძიძვილო-
ბას დედამამიშვილური სიყვარულის ტოლფასი გრძნობა გასდევდა. აკაკიც იზრდებოდა ისლით
გადახურულ პატარა სახლში, გლეხურ გარემოში სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად და მათ შო-
რის ვერავინ ხედავდა განსხვავებას, ვინ იყო თავადი და ვინ – გლეხი. ისინი თანასწორნი იყ-
ვნენ, ერთად იღებდნენ ცხოვრებისეულ გაკვეთილებს, რამაც ნათელი ასახვა პოვა აკაკის პოე-
ტურ მემკვიდრეობაში.

მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ აშკარად ჩანს, რომ როსტომ წერეთლის ოჯახში ბავ-
შვებს ზრდიდნენ ქრისტიანული წესის მკაცრი დაცვით, რაც, ზოგადად, ქრისტიანული სარწმუ-
ნოების მიმართ პატივისცემისა და მორჩილების მკაცრი გამოხატულებაა.

ამავე მოთხრობაში რეალისტურად არის ასახული მეფის რუსეთის გიმნაზიებში სწავლა-
აღზრდის მკაცრი რეჟიმი, არსებული გამარუსებელი პოლიტიკა, ადმინისტრაციის მხრიდან გა-
აფთრებული ბრძოლა ქართული ენისა და, ზოგადად, ქართული მენტალიტეტის წინააღმდეგ.
კიდევ უფრო ძლიერად იკვეთება ქრისტიანობა აკაკის ლირიკულ პოეზიაში.

პოეტი ასე მიმართავს მესიას: „შენ სიყვარულო, ცისა და ქვეყნის

კავშირო და თან შუამავალო!

შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,

მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო.

ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი

და მომხიბლავი მძლავრი ოცნება...

სიყვარული რომ ტახტად უდგია,

ეგვირგვინება პატიოსნება!“

ლექსი აკაკი წერეთლის ჰუმანური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. პოეტისთვის სანეტარო და სათაყვანებელია სიყვარულის გრძნობა, რომელსაც აკაკი ცისა და ქვეყნის შემაერთებელ ძალად სახავს. პოეტი სიყვარულს აიგივებს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, რომელთანაც განუყრელ კავშირშია სამშობლო ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი.

აკაკი საკუთარ თავსაც ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულად მიიჩნევს, მასთან არის ნაზიარევი და ყოველივეს სიხარულით განიცდის. პოეტის ლექსები გამსჭვალულია ზნეობრივი გმირის ძიებით, რომელიც ორგანულად ერწყმის სამშობლოს თავისუფლების იდეას. სამშობლოს ალეგორიული სახეები ძალზე ექსპრესიულს ხდის მის პოეზიას. ზოგადად, ალეგორიას დიდი ადგილი უკავია აკაკის შემოქმედებაში.

ღმერთი, რომლის ძიებასაც ეძღვნება ლექსი „სულიკო“, ზოგიერთის აზრით, ქრისტიანული სამებაა. რაც შეეხება სამების გამოხატვას სამ ხატ-სიმბოლოდ, დღევანდელ კრიტიკაში საკამათოდაა გადაქცეული. ზოგი კრიტიკოსი სამების სამ ჰიპოსტასად დაშლა-დანაწილებას ეწინააღმდეგება და მკრეხელობად მიიჩნევს, ზოგნი კი, პირიქით, სამივე ჰიპოსტაზის პოეტურ სახეს: ვარდს, ბულბულსა და ვარსკვლავს ერთიანობაში აღიქვამენ და ქრისტიანობის საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავენ. ჩვენი შეხედულებით კი, სულიკო თავისუფლებადაკარგული საქართველოა.

აკაკი წერეთელი მისტიკურ სივრცეებში დამარხულ სამშობლოს ეძებს და ამით ის პატრიოტიზმს რელიგიურ შეფერილობას აძლევს. პოეტისთვის სამშობლო უწმინდესია, მაგრამ ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულს არც აიგივებს და არც ერთმანეთისაგან ასხვავებს, ხშირ შემთხვევაში, ეს ორი მცნება მოიცავს ერთმანეთს.

აკაკის ენა კიდევ უფრო ხალხურია, ვიდრე ილიასი. მკვლევართათვის ცნობილია, რომ რადიკალური რეფორმები ქართული ანბანისა და წერითი მეტყველების სფეროში, რომლის სათავეშიც ილია იდგა, ჭაფჭავაძემ სრულყოფილად თავადაც ვერ განახორციელა. ილის ლექსებსა და პოემებს არქაულობის ელფერი მაინც დაჰკრავს, სამაგიეროდ, პროზაში მისი ენა უზადოა. წერეთლის პოეტურ ტონს კი ხალხური პოეზიის ნაკადი განსაზღვრავს. ხალხური კილო-გამოთქმა სრულიად შეითვისა აკაკიმ და გამოიყენა. მისი პოეზია გაჯერებულია ისეთი პოეტური ხატებით, რომლებსაც ღრმა ფესვები აქვთ გადგმული ქართულ ტრადიციებში. საბოლოოდ ჭირს კიდევაც იმის გარკვევა, თუ სად იწყება აკაკი და სად ხალხური პოეზია. ხალხურმა კილომ სისადავე და გამჭვირვალობა შემატა მის ლირიკას და სიმღერებად აქცია იგი. ასეთებია აკაკის ლექსები: „ჰეო, მეოს კილოზე დაწერილი“, „კინტოს სიმღერა“, „ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ“, „სიმღერა მკის დროს“, „ჩანგურს სიმები გავუბი“ (ნათელას სიმღერა), „ჩემო ციციანათელა“, „სულიკო“ და სხვ.

რაც შეეხება წერეთლის პროზას, იგი პოეტური, რიტმული პროზის საუკეთესო ნიმუშია. „აკაკი პროზაშიც პოეტად რჩება... იგი უაღრესად მუსიკალური მწერალია“. მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“ მოხმობილი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები თხზულებას პოეტური პროზის კლასიკურ განსახიერებად წარმოგვიდგენს. ამას ემატება ნაწარმოების იდეურ-თემატური მხარე და სიუჟეტური სტრუქტურა, რომელიც მთლიანად ქრისტიანულ მორალზეა აგებული. როგორც ვხედავთ, ქრისტიანული დოქტრინა პოეტის შემოქმედებით კრედოს ერწყმის. ამის პირდაპირი დადასტურებაა მოთხრობის ექსპოზიციისაში მოცემული „კირილეს სიზმარი“. იგი ქრისტიანული ჩვენება-წინასწარმეტყველებაა თხზულების სიუჟეტის შემდგომი განვითარებისათვის. ქართველების გმირული ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მათი თავგანწირვა შემოსილია ქრისტიანულ-ჰუმანური საბურველით. ამაში კიდევ უფრო ვრწმუნდებით მოთხრობის ფინალური ნაწილის ნაკითხვისას, სადაც საქართველო ქრისტეს რჯულთან არის გაიგივებული: „საქართველო ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნობილი, სანამდის მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრება და

ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა... თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ! საქართველოს ქირიც წაგვიღიაო!

„ამინო!“ დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი“.

პოემა „გამზრდელს“ წითელ ზოლად გასდევს ქრისტიანული მორალი. პოემის მთავარი გმირი, აფხაზი ბათუ, რომელიც თავისი უბრალოებითა და მცირედი კმაყოფილებით, ტიპური ქრისტიანია:

„ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს
კაცი, მისებრ დანაბადი?“

კიდევ უფრო ნათელი ხდება მისი ქრისტიანული ბუნება საფარბეგთან ურთიერთობაში; ბათუმ აპატიო ძიძიშვილს უდიდესი შეცოდება, სამაგიერო არ გადაუხადა, მაგრამ ამით კიდევ უფრო მეტად დასაჯა იგი, ვინაიდან საფარბეგი გაცილებით მკაცრმა ზნეობრივმა სატანჯველმა მოიცვა. ამას ძიძიშვილის ფსიქოლოგიამ ვეღარ გაუძლო და სინდისის ქენჯნის შესამსუბუქებლად გამზრდელს მიაკითხა. საფარბეგმა მისგანაც სამუდამო ტანჯვის განაჩენი მიიღო, რაც, ფაქტობრივად, ძიძიშვილის ცოცხლად დასამარებას ნიშნავდა.

აკაკი წერეთლის შემოქმედების ხასიათი პოეტურად წარმოგვიდგინა იაკობ გოგებაშვილმა და შეადარა: „ვეებერთელა მორევს უნმინდესის წყლისას. ეს ბროლისებრი მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა, მასში მშვენივრად იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები... ამავე დროს, ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თითოეულ კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სინმინდეს და სიცხადეს მოტყუებაში შეჰყავხარ. შენ ეს მორევი თხელი გგონია. მაგრამ აი, ჩაუშვი შიგ ვებერთელა ქოლოკი და მან ძირის ნახევრამდისაც ვერ უწია, მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა. სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შექმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გვეჩვენება. რად? იმიტომ, რომ საარაკო კაშკაში გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ... ღრმად ჩააკვირდი აკაკის თქმულებათა შინაარსს, შეუდარებელს ფორმას და აღტაცებაში მოგვიყვანს მისი საოცარი კაზმულობა, მის აზრთა და გრძნობათა სიღრმე, მისწრაფებათა სიმაღლე“ (3, 16).

ამრიგად, ილიასა და აკაკის მხატვრული შემოქმედების ძირითადი ტენდენციები გამომდინარეობს ეროვნულ-სოციალური პრობლემებიდან, რომლებიც, ზოგადად, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ეფუძვნება. მასთან უშუალო კავშირშია მწერლის ენა და აზროვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი, რომლებიც ლიტერატურის სწავლებისას ერთიანობაში განიხილება.

ლიტერატურა:

1. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1986.
2. ტიცინ ტაბიძე, სონეტები, რჩეული ლექსები, ესსე, თბ., 1999.
3. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1986.

NANA CHIKVILADZE

THEORETICAL AND HISTORICAL ASPECTS OF TEACHING GEORGIAN LITERATURE

SUMMARY

The paper discusses the relation to the reality of literature. Regarding this issue there are different positions of modernists and realist writers. It focuses on the popularity of literature, reflecting in the coverage of national and social problems based on the Christian worldview.

The paper also deals with the writer's language, phraseology, epigraphs of separate works and some questions connected of their teaching.



მერი კოჭლამაზაშვილი

/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი/

**სახელმწიფოების ეროვნული პასუხისმგებლობა
იძულებით გადაადგილების დროს**

დღეს საკუთარ ქვეყნებში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ისე დიდია, როგორც არასდროს. შეიარაღებული კონფლიქტების, საყოველთაო ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების შედეგად მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) რაოდენობა 2,4 მილიონით გაიზარდა და, დაახლოებით, 28,8 მილიონს მიაღწია. ამას თუ დავუმატებთ 32,4 მილიონ ადამიანს, რომლებსაც 82 ქვეყანაში იძულებით მოუხდათ გადაადგილება ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, სრულიად ნათელი გახდება ის გამონკვევა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას ამ მიმართულებით (1).

მრავალ ქვეყანაში მუდმივი დევნილობა ნორმად იქცა, რაც უფრო ხშირად ისეთ ქვეყნებში ხდება, სადაც განვითარების მაჩვენებლები დაბალია, ხოლო ძალადობის დონე – ძალიან მაღალი. ზოგ ქვეყანაში ძალადობას აღვივებს და ამკვიდრებს მოუგვარებელი ეთნოსთაშორისი, რელიგიური ან პოლიტიკური დაძაბულობა. იძულებითი გადაადგილება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის, წამების, გაუპატიურების, მკვლევობების, ბავშვი-ჯარისკაცების იძულებითი დაქირავებისთვის, იძულებითი გამოსახლებისა და საკუთრების დაკარგვა-განადგურებისთვის. ასეთი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქალაქეთა დაცვის პასუხისმგებლობას ხშირად თავს არიდებენ სახელმწიფოები, სადაც იძულებითი გადაადგილება ხდება [2]. უმრავლეს შემთხვევაში თვით ამ სახელმწიფოებში პოლიტიკური მდგომარეობა მყიფეა, სახელმწიფო ინსტიტუტები არასაკმარისია, ხოლო არსებული ინსტიტუტების შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ისინი დგანან ისეთი საკითხების მოგვარების წინაშე, როგორებიცაა კანონის უზენაესობა, გარდამავალი მართლმსაჯულება, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, გენდერული თანასწორობა, ცხოვრების პირობების აღდგენა, ეკოლოგიური მდგრადობა და საცხოვრებლის, მიწისა და ქონების ფლობა (1).

წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა იმის აღიარება, რომ იძულებითი გადაადგილება არის არა მხოლოდ ჰუმანიტარული პრობლემა, არამედ ეს არის საკითხი, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს ადამიანის უფლებებს, მშვიდობის დამყარებასა და სახელმწიფოს სტაბილურობას. ასეთი ურთიერთდაკავშირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკონფლიქტური ან გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის, რომლებიც დემოკრატიული და მშვიდობიანი მომავლისკენ ისწრაფვიან. მათი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარება სწორედ ამაზე დამოკიდებულია.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკურ ქრილში განეული დახმარება. ეროვნულ კანონებში და სტრატეგიებში თანდათანობით იკიდებს ფეხს საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ (1). იძულებითი გადაადგილების სფეროში განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროგრესს მიაღწიეს აფრიკის კონტინენტის ქვეყნებმა, სადაც მსოფლიოს დევნილთა ერთი მესამედი ცხოვრობს. „დიდი ტბების“ ოქმის სახელწოდებით ცნობილი დოკუმენტი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ სახელ-

მძღვანელო პრინციპები და აფრიკის კავშირის კონვენცია იგპ-ის დაცვისა და დახმარების შესახებ (კამპალას კონვენცია), რომელიც იგპ-თა დაცვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ვალდებულებებს აყალიბებს. ამ ვალდებულებათა შორისაა ეროვნული კანონმდებლობის მიღება და მათი აღსრულება. დღეისათვის კამპალას კონვენცია ცხრამეტი აფრიკული ქვეყნის მიერაა რატიფიცირებული.

ამჟამად იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონები ან სტრატეგიები 25-ზე მეტ ქვეყანას აქვს შემუშავებული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იძულებითი გადაადგილება მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი ჰუმანიტარული პრობლემაა, რომლის დაძლევაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი სერიოზულად აფერხებს კაცობრიობის განვითარებას. მსოფლიოში მილიონობით იძულებით გადაადგილებული პირი უმძიმეს პირობებში ცხოვრობს და ხშირად ადგილმონაცვლეობა მრავალი წელი ჭიანურდება. ხშირად ისინი არც დაცვით არიან უზრუნველყოფილი და არც საკუთარი უფლებების განხორციელება შეუძლიათ. ეროვნული კანონმდებლობა ხშირად არ ანიჭებს საკმარის დაცვას კონკრეტულ სიტუაციაში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირებს (2).

ვინაიდან იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) საკუთარი ქვეყნის საზღვრებში ცხოვრობენ და თავიანთი მთავრობის იურისდიქციის ქვეშ არიან, მათი დაცვისა და დახმარების ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, მათ ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება. ამ საკითხზე ხაზგასმით მიუთითებს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებითი გადაადგილების შესახებ, რომელიც აყალიბებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებსა და მთავრობათა ვალდებულებებს მოსახლეობის ამ კატეგორიის მიმართ. ეს პრინციპები ქმნის ჩარჩოს, რომელიც ეროვნული პასუხისმგებლობის ფარგლების უკეთ გაგების საშუალებას იძლევა. ამ პრინციპებმა ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიან ეროვნულ რეაგირებას და სათანადო ზომების შემუშავებას, რომლებიც საჭიროა იძულებითი გადაადგილების შედეგად გამონვეული პრობლემების დასაძლევად. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს უამრავი ფაქტორი იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ ვალდებულებების აღებისას. ვიდრე კონკრეტული სახელმწიფო ამ ნაბიჯების შესაბამის საკუთარ ეროვნულ პირობებს ჩამოაყალიბებდეს, სასურველია, გარკვეული ინიციატივები საერთო ხასიათის მქონე ღონისძიებებად იქნეს აღიარებული ყველა ქვეყნის მიერ, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირები ჰყავს. კერძოდ, მთავრობებმა უნდა განიხილონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს: იძულებითი გადაადგილების პრევენციას ან მისი შედეგების შემსუბუქებას; სახელმწიფო დონეზე პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას; იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობისა და მათი პირობების შესახებ მონაცემთა შეგროვებას; იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვისთვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას; იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე საკონტაქტო დაწესებულების განსაზღვრას; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისთვის ხელშეწყობას მათ საქმიანობაში იძულებითი გადაადგილების საკითხების ჩართვის მიზნით; პრობლემის გადასაჭრელად სათანადო რესურსების გამოყოფას; იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იძულებით გადაადგილებულთა პრობლემის საიმედო გადაწყვეტის მხარდაჭერას.

როდესაც იძულებით გადაადგილებულთა პრობლემების მოსაგვარებლად ეროვნული ძალები საკმარისი არ არის, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობა ეროვნული პოლიტიკის ძირითადი ელემენტი უნდა გახდეს. ეროვნული პასუხისმგებლობის ამ ჩარჩოს მიზანია დაეხმაროს მთავრობებს მათ ქვეყნებში იძულებითი გადაადგილებით გამონვეული პრობლემის მოგვარებაში, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მისი მეშვეობით საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რეგიონულმა ორგანოებმა, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა

ინსტიტუტებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თვით იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა შეძლონ ეფექტიანად განხორციელებული ეროვნული პასუხისმგებლობის დონის შეფასება და საფუძველი ჩაუყარონ მხარდაჭერის ძალისხმევას, იძულებით გადაადგილებულთა უფლებების დაცვის მიზნით. ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ დონორმა სახელმწიფოებმაც ეროვნული პასუხისმგებლობის ეტალონური მახასიათებლების გადასინჯვის თვალსაზრისით, რადგან იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სახელმწიფოებისთვის ეს ძირითადი ელემენტია მათ მხარდასაჭერად დაფინანსებასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მისაღებად.

ეროვნული რეაგირება, განმარტების შესაბამისად, უნდა იყოს ინკლუზიური, მოიცავდეს იძულებითი გადაადგილების ყველა სიტუაციას და იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველა ჯგუფს, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. უფრო ზუსტად, ეს ნიშნავს, რომ ეროვნული პასუხისმგებლობა იძულებითი გადაადგილების მიმართ უნდა იყოს ყოვლისმომცველი სხვადასხვა ასპექტის თვალსაზრისით.

ყველა მიზეზი: გადაადგილების მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს ყველა პირს, ვინც იძულებით გადაადგილებული გახდა კონფლიქტის, სათემო დაპირისპირების და ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების შედეგად; ასევე, იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების შედეგად, განვითარების პროგრამების ან სხვა მიზეზების გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იძულებით გადაადგილებაზე რეაგირების ეროვნული პასუხისმგებლობა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მან სარგებლობა მოუტანოს ყველა ადამიანს, ვინც აკმაყოფილებს სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ განმარტებას იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ (1).

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები შეიძლება განსხვავდებოდეს მათი გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებულ ყველა პირს აქვს თავისი ხელისუფლებისგან დაცვისა და დახმარების მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, ეროვნული პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღოს შესაბამისი დახმარება და სათანადო მოპყრობა დისკრიმინაციის გარეშე და იძულებითი გადაადგილების გამომწვევი მიზეზის მიუხედავად.

იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქალი და ბავშვია. მათ განსაკუთრებული დაცვა, დახმარება და რეინტეგრაცია სჭირდებათ, რაც, ჩვეულებრივ, ჯეროვნად არ ხორციელდება, ან პრიორიტეტად არ მიიჩნევა. გარდა ამისა, ქალები და ბავშვები, განსაკუთრებით – გოგონები, ხშირად დისკრიმინაციის ობიექტები ხდებიან, როდესაც საქმე ეხება დახმარების მოთხოვნას, საკუთარ სახელზე დოკუმენტების მიღებას, განათლებაზე ხელმისაწვდომობას და შემოსავლის მიღება/დაგროვებას, ან მათი აზრის მოსმენას. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფების დაცვა და დახმარება, ოჯახის უფროსი ქალების, უპატრონო ბავშვების, ხეიბრებისა და მოხუცების ჩათვლით, და უნდა გაითვალისწინოს და მოაგვაროს მათი პრობლემები.

იძულებითი გადაადგილება განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას ახდენს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებზე, მკვიდრ მოსახლეობაზე და სოფლის მოსახლეობის ღარიბ ფენებზე. დევნილობის შედეგად, ეს ისედაც მარგინალიზებული ჯგუფები, დისკრიმინაციას განიცდიან დაცვასა და დახმარებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც ეთნიკური, რასობრივი ან იდეოლოგიური სტიგმითაა გამოწვეული; ეს კი კიდევ უფრო ამძაფრებს მათ მონყვლადობას. ენობრივი ბარიერის გამო მათ შესაძლოა გაუჭირდეთ კომუნიკაცია ხელისუფლების ორგანოებთან და ვერ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება

მკვიდრი მოსახლეობის დევნილობას, ეს მათთვის განსაკუთრებით რთული გადასატანია, რადგან საკუთარ მიწასთან დამოკიდებულების მძაფრი გრძნობა აქვთ. იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს. რა თქმა უნდა, ეროვნული რეაგირების საშუალებით უნდა აღმოიფხვრას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დანაწევრება, რაც ინვესს გარკვეული ჯგუფების გარიყვას ერის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებიდან, უსამართლობას და სოციალურ დაყოფას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას და იძულებით გადაადგილებას.

იძულებით გადაადგილებულთა მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობა მოითხოვს პრობლემის მოგვარებას მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. უდავოდ, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იძულებით გადაადგილებულთა ისეთ საჭიროებებს, როგორებიცაა – საკვები, სასმელი წყალი, თავშესაფარი, სამედიცინო მომსახურება და სხვა ძირითადი ჰუმანიტარული დახმარება. თუმცა ეროვნული რეაგირებისთვის საჭიროა და მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია ინტეგრირებულ მიდგომებზე, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც დაცვის, ისე დახმარების ასპექტებს. ეს ეხება ისეთი სტიქიური უბედურებების შემთხვევებსაც, როდესაც ამკარაა მატერიალური დახმარების საჭიროება, მაგრამ დაცვის სერიოზული საკითხები მაინც წარმოიშობა. უფრო მეტიც, დაცვაში იგულისხმება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მთელი წყება, ასევე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

ეროვნული პასუხისმგებლობა მოიცავს იძულებითი გადაადგილების ყველა ფაზას. იგი ითვალისწინებს თვითნებური იძულებითი გადაადგილების პრევენციას, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მათი დუხჭრი მდგომარეობიდან გამოსვლის საიმედო პირობების შექმნას. ეს შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობითი და უსაფრთხო დაბრუნებით ან განსახლებით და რეინტეგრაციით. გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ „როდის დგება იძულებითი გადაადგილების დასასრული“, მიღებული უნდა იქნეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს

ჭეშმარიტი ეროვნულობისთვის საჭიროა, რომ მთავრობის რეაგირება იძულებითი გადაადგილების მიმართ ხელისუფლების ყველა დონეზე იქნეს გამოხატული. ჩვეულებრივ, დედაქალაქში მოღვაწე ოფიციალურ პირებს სურთ გადამწყვეტი როლი შეასრულონ იძულებითი გადაადგილების მიმართ მთავრობის რეაგირების ჩამოყალიბებაში. თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც უფრო პირდაპირ კონტაქტში არიან იძულებით გადაადგილებულებთან და საგულისხმო როლს ასრულებენ ადგილზე ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, ეროვნულ რეაგირებას ხელისუფლების ყველა შტოს კოლექტიური მოქმედება სჭირდება, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის, განათლების, განვითარებისა და პოლიტიკური სექტორების ჩათვლით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო ძალები და პოლიცია, რომლებსაც საგულისხმო პასუხისმგებლობა ეკისრებათ იძულებით გადაადგილებულ პირთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მთავრობებს, განსაკუთრებით შიდა შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში, შესაძლოა არ ჰქონდეთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის საშუალება. მთელ მსოფლიოში მილიონობით იძულებით გადაადგილებული პირი იმყოფება ტერიტორიებზე, რომლებსაც არასახელმწიფო სუბიექტები აკონტროლებენ. ასეთი დევნილები მოკლებულნი არიან მთავრობის დახმარებასა და დაცვას. ეროვნული პასუხისმგებლობის ეფექტიანი განხორციელება გულისხმობს ამგვარი კატეგორიის იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის, დახმარებისა და დაცვის უზრუნველყოფას ან, სულ მცირე, ამ მიზნით ძალისხმევის

განევას. ასეთ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული სივრცის გახსნა კარგი შესაძლებლობაა არასახელმწიფო სუბიექტებისთვის მათი პასუხისმგებლობის გაზრდის თვალსაზრისით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე მათაც ეკისრება იძულებით გადაადგილებულთა დაცვისა და დახმარების პასუხისმგებლობა. ამრიგად, მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ დახმარების ნუსხა, რომელთა განევაც შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიურ ჯგუფებს, დონორებს ან გაეროს დანესებულებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჰუმანიტარული სივრცის გახსნას და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფას არასახელმწიფო სუბიექტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ხოლო საბოლოოდ, ასევე, კონფლიქტების დარეგულირებას, რომლებმაც ამ ადამიანთა იძულებითი გადაადგილება გამოიწვია.

ვინაიდან დაცვა თავისი არსით სამართლებრივი ცნებაა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ეროვნული ვალდებულების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასახვაა. იგი ამ ვალდებულების შესრულების მამოძრავებელი ძალაცაა. მსოფლიოს ყველა კუთხეში ქვეყნების მიერ იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონების მიღებით დადასტურდა, რომ ასეთი პრაქტიკა ფასდაუდებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაზღვრის, მათი უფლებების ჩამოყალიბების და მათ მიმართ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დადგენის თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოებმა მიიღეს კანონები ადგილმონაცვლეობის გარკვეული ფაზის შესახებ, როგორცაა, მაგალითად, დაბრუნება და განსახლება, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მინიმალური სტანდარტები, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ზოგ სახელმწიფოს მიღებული აქვს ყოვლისმომცველი ეროვნული კანონები იძულებითი გადაადგილების შესახებ, სადაც ადგილმონაცვლეობის ყველა ფაზა გათვალისწინებული. კიდევ ერთი მეთოდია არსებული ეროვნული კანონმდებლობის განხილვა და ანალიზი იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით, რამაც, შესაბამისად, საფუძველი უნდა დაუდოს სამართლებრივი და ადმინისტრაციული მარეგულირებელი აქტების გადასინჯვას. ზოგიერთ ქვეყანაში იურისტთა ჯგუფებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს ასეთი კვლევა, რისთვისაც გამოიყენეს სახელმძღვანელო პრინციპების ანოტაციები, ხოლო შემდეგ იმუშავეს თავიანთ ხელისუფლებებთან მათი კანონების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რა მეთოდიც არ უნდა გამოიყენონ, ეროვნული კანონმდებლობა იძულებითი გადაადგილების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც სახელმძღვანელო პრინციპებშია ასახული. გაეროს რეზოლუციები მოუწოდებს მსოფლიოს ქვეყნებს, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ჰყავს, შეიმუშაონ მტკიცე ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

იძულებით გადაადგილების საკითხებზე პასუხისმგებელი ეროვნული უწყების განსაზღვრა შესაძლოა ძალზე მნიშვნელოვანი იყოს პრობლემის მიმართ მუდმივი ყურადღების უზრუნველსაყოფად და მთავრობასა და ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის კოორდინაციის ხელშესაწყობად. არჩევანისთვის მრავალი უწყება არსებობს. ზოგ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებაზე პასუხისმგებლობის მანდატი არსებულ სამთავრობო უწყებას ეძლევა, მაგალითად, ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ლტოლვილთა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობს. ზოგ ქვეყანაში კი განისაზღვრება უწყება, რომელიც მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებზეა ფოკუსირებული. არის შემთხვევები, როდესაც იქმნება იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომიტეტი, სამუშაო ჯგუფი ან ექსპერტთა ჯგუფი. ისინი რეგულარულად ხვდებიან შესაბამის თანამდებობის პირებს, სამინისტროებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებს, რათა ერთობლივად განი-

ხილონ იძულებით გადაადგილებულთა საჭიროებები, ხელი შეუწყონ კოორდინაციას, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან და ასევე შეიმუშავონ სტრატეგიები ეფექტიანი რეაგირებისთვის.

რომელი ინსტიტუტიც არ უნდა შეირჩეს, იძულებით გადაადგილებულ პირებზე ეროვნული პასუხისმგებელი უწყებისთვის მთავარია, რომ მას ჰქონდეს როგორც დაცვის, ისე დახმარების მანდატი. მის პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგის კურსი იძულებითი გადაადგილების საკითხებზე და განსაკუთრებით კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი სახელმძღვანელო პრინციპები. მათ უნდა შეძლონ წამყვანი როლის შესრულება ეროვნულ ძალისხმევაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების პატივისცემა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. ეს შეიძლება, ასევე, მოიცავდეს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის პრობლემის საიმედო გადაწყვეტის ალტერნატივებს შორის არჩევანს, კერძოდ, დაბრუნებასა და განსახლებას შორის. არ უნდა მოხდეს მათზე ზეწოლა ისეთ ტერიტორიებზე დაბრუნების ან განსახლების მიზნით, სადაც სიტუაცია არ არის უსაფრთხო ან სტაბილური. ეფექტიანობის მიზნით ამ უწყებას უსათუოდ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური უფლებამოსილება და თავისი მანდატის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

იძულებით გადაადგილებულთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობა კარგ სამსახურს გაუწევს იმ ინსტიტუციური სტრუქტურის საქმიანობას, რომელსაც იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გამიზნული ეროვნული ძალისხმევის კოორდინაცია ევალება. იძულებითი გადაადგილების სიტუაციებზე ეროვნული და საერთაშორისო რეაგირება უფრო გააზრებული და მტკიცეა, როდესაც პარტნიორობა შედუღებულია იძულებითი გადაადგილების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან. ასეთი პარტნიორობა იმავდროულად ეკონომიურიცაა, რადგან „ექსპერტთა“ საზღვარგარეთიდან ჩამოყვანა შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს; გარდა ამისა, გარედან მონვეული ექსპერტების მოკლე დროში უკან გამგზავრების შემდეგ ადგილობრივი შესაძლებლობები რაიმე ხელშესახები გაუმჯობესების გარეშე დარჩება. კარგი შედეგის მომტანია ეროვნულ გეგმებსა და პროგრამებში ადგილობრივი შესაძლებლობების განმტკიცების და არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩართვა.

ლიტერატურა:

1. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ.
2. რეაგირება იძულებით გადაადგილებაზე: ეროვნული პასუხისმგებლობის ჩარჩო, 2005.
3. უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ჩარჩო იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ, 2010.
4. უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის ოპერატიული ინსტრუქციები ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციებში მყოფ პირთა დაცვის შესახებ, 2011.
5. United Nations General Assembly, Resolution 58/177 of 2004, para. 7; and United Nations Commission on Human Rights, Resolution 2004/55 of 2004, para. 6;
6. Walter Kälin, Guiding Principles on Internal Displacement. Annotations, Studies in Transnational Legal Policy, No. 32 (American Society of International Law and the Brookings Institution Project on Internal Displacement, 2000); Handbook for Applying the Guiding Principles on Internal Displacement (Brookings Institution and United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs, 1999).
7. ECOSOC Resolution 2004/5 of 23 July 2004, para. 39.

NATIONAL RESPONSIBILITY OF STATES ON INTERNAL DISPLACEMENT

SUMMARY

The paper deal with **national responsibility of states on Internal displacement**. Because internally displaced persons (IDPs) reside within the borders of their own countries and are under the jurisdiction of their governments, primary responsibility for meeting their protection and assistance needs rests with their national authorities. The Guiding Principles on Internal Displacement underscore this point, setting forth the rights of IDPs and the obligations of governments toward these populations. They provide a framework for better understanding what national responsibility should entail.

The Principles should serve as a guide in designing an effective national response and developing the necessary steps to address problems of internal displacement. Each benchmark marks a step that governments should consider to assume their obligations toward their internally displaced populations. While governments will need to tailor the steps to fit their own national conditions, a number of the initiatives should prove common to all countries beset by internal displacement. In particular, governments should consider measures to: prevent or mitigate displacement; raise national awareness of the problem; collect data on the numbers and conditions of IDPs; support training on internal displacement and the Guiding Principles; create a national legal framework for upholding the rights of IDPs; develop a national policy on internal displacement; designate an institutional focal point on IDPs; encourage national human rights institutions to integrate internal displacement into their work; allocate adequate resources to the problem; ensure the participation of IDPs in decision-making; and support lasting solutions for the displaced.

In addition, cooperation with the international community, when national capacity is insufficient to address the needs of the displaced, should be a key element in national policy. This national responsibility framework is intended to help governments address the problem of internal displacement in their countries in all its aspects.



ინოვაციები და ეკონომიკური ეფექტიანობა

ეკონომიკური ეფექტიანობა ითვალისწინებს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია საინოვაციო პროექტების რეალიზაციასთან - დანერგვასთან.

პროექტების ეკონომიკური შეფასების ყველა არსებული მეთოდი შეიძლება მოვაქციოთ შემდეგ საკვალიფიკაციო ჯგუფებში:

– ინვესტიციების შედარებითი ეფექტიანობის ტრადიციული მეთოდები. ესაა დაყვანილი ხარჯების მეთოდი დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, ანუ ესაა დაყვანილი ხარჯების მეთოდი დამატებითი ინვესტიციების შედარებითი ამოგების ვადისა და ეკონომიკური ეფექტის შეფასების მეთოდი;

– ინვესტიციების შედარებითი ეფექტიანობის ტრადიციული მეთოდები დროის ფაქტორების გათვალისწინებით. მათ მიეკუთვნება შეფასების მეთოდები რენტაბელობის, ფონდუკუგებისა და ფონდალჭურვილობის მაჩვენებლების მიხედვით;

– ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის თანამედროვე მეთოდები დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება მიმდინარე ხარჯების ან მოგების მაჩვენებლების მიხედვით.

ინოვაციების ეკონომიკური ეფექტიანობის თანამედროვე მეთოდები დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მოიცავს, ასევე, კაპიტალიზებული რენტის მეთოდს, საბოლოო ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა. ინოვაციებში ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ტრადიციული მეთოდების გამოყენებისას განსახილველი ვარიანტები უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისობის შემდეგ პირობებს:

1. მომხმარებლის ერთი და იგივე ენერგეტიკული ეფექტი. საპროექტო გადანყვეტილების ნებისმიერი ვარიანტისას მომხმარებელმა აუცილებლად უნდა მიიღოს ერთი და იგივე ელექტროენერჯის რაოდენობა;

2. შესადარებელი ვარიანტების ოპტიმალურობა. შესადარებელი საპროექტო ალტერნატივებს უნდა ჰქონდეს დაახლოებით ერთი და იგივე თანამედროვე ტექნიკური დონე.

3. ურთიერთდაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა. ინვესტირების ალტერნატიულ ვარიანტებში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს არამართო მათი უშუალო კაპიტალური და წლიური საექსპლოატაციო დანახარჯები, არამედ სხვა ხარჯებია, რომლებიც დაკავშირებულია ამ პროექტების განხორციელებასთან;

4. შესადარებელი ვარიანტების ღირებულებით შეფასება. ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ინვესტირების სხვადასხვა ვარიანტების შედარება ენერგეტიკის საინოვაციო პოტენციალის განვითარებაში უნდა ხდებოდეს შესადარ ფასებში;

5. ერთი და იგივე დღელამური, კვირეული, თვიური, სეზონური და წლიური გრფიკების დაფარვა;

6. დადგმული სიმძლავრეების გამოყენების საათების ერთი და იგივე რაოდენობა;

7. ენერგეტიკული დანახარჯების საიმედო მოწყობისა და ენერგომომხმარების თანაბარი საიმედოობის უზრუნველყოფა;

8. ერთი და იგივე ენერგეტიკული ეფექტი.

ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებები:

1. საექსპლოატაციო ხარჯების შემადგენლობაში (წარმოების ხარჯები) განასხვავებენ ორ შემადგენელს: სანარმოოს და კაპიტალურს. სანარმოო შემადგენელი შედგება: სათბობზე, ენერგიაზე, ხელფასზე, რემონტზე, დამხმარე მასალებზე და საერთო სანარმოო ხარჯებისგან. კაპიტალურ შემადგენელში შედის ამორტიზაცია და პროცენტების გადახდა კრედიტსა და სესხებზე, რომელთა მეშვეობით მიღებულ იქნა პირველსაწყისი ინვესტიციები, რაც გამოყენებულ იქნა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის შესაქმნელად.

2. ინვესტიციების ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტის სახით გამოიყენება კრედიტებსა და სესხებზე პროცენტის სიდიდე.

წმინდა მოგების სახით შეიძლება განვიხილოთ ჯამური ეკონომია, რომელშიც შედის:

– მომხმარებელთა მომარაგების საიმედოობის ამაღლების ხარჯზე ეკონომია;

– ენერგორესურსების დანაკარგების წილის შემცირებისაგან ეკონომია, რომელიც მიიღება ელექტროენერჯის წარმოებისა და გადაცემის დროს. ეკონომია მიიღება დანაკარგების შემცირების სახით შემდეგი მიმართულებით: სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, სათბობი, ელექტროენერჯია, წყალი და სხვა;

– ეკონომია მიღებული ელექტროენერჯის შესყიდვების მოცულობის შემცირების ხარჯზე;

– ეკონომია ხვედრითი ხარჯების შემცირების ხარჯზე, ენერგოდანადგარების შენახვასა და მომსახურებაზე;

ინოვაციური პროექტების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების დამუშავება, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკის დარგის თავისებურებებს, საშუალებას იძლევა უფრო ოპტიმალურად დავგეგმოთ ინვესტიციები და უზრუნველვყოთ ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის გაუმჯობესება¹.

ინოვაციური პროექტების რეალიზაცია ან ინოვაციების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რისთვისაც დგინდება ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები საფინანსო (კომერციული), საბიუჯეტო და ეკონომიკური. კომპანიისათვის მისაღებად მიგვაჩნია საფინანსო (კომერციული) ეფექტიანობის გამოთვლა, რისთვისაც გამოიყენება ინვესტიციების ანალიზის ორი ძირითადი მეთოდი. ინვესტიციების ამოგება, შემოსავლიანობის ინდექსი, წმინდა მიმდინარე ღირებულება (წმინდა დისკონტირებული შემოსავლის მეთოდი) და შემოსავლიანობის შიგა ნორმა.

ამოგების ვადის გაანგარიშებისას განისაზღვრება არსებული ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადები და თანამიმდევრულად წლების მიხედვით ჯამდება ნიშნების გათვალისწინებით. ე.ი. თუ t წელს დისკონტირებული ნაკადების ჯამი ტოლია წმინდა მიმდინარე ღირებულების.

$$NPV = \sum_{t=1}^T R_t(1+r)^{1-t} < 0 \quad (1)$$

ხოლო $(t+1)$ წელს მითითებული თანხის ჯამი იცვლის ნიშანს

„მინუსიდან“ „პლიუსამდე“, ე.ი.

¹ ENSG Our Electricity Transmission Network: A Vision for 2020. July 2009

$$NPV = \sum_{t=1}^T R_t(1+r)^{1-t} > 0 \quad (2)$$

ეს ნიშნავს, რომ ჩადებული ინვესტიციის ამოგება მოხდება T-დან T+1 პერიოდში ანუ $T < t < T+1$

კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს წმინდა დისკონტირებულ შემოსავლის ფარდობას დისკონტირებულ ხარჯებთან (გასავლებთან) წარმოადგენს ინვესტიციების შემოსავლიანობის დისკონტირებულ ინდექსს

$$DPI = \frac{\sum_{t=0}^T \frac{CF_t}{(1+r)^t}}{\sum_{t=0}^T \frac{I_t}{(1+r)^t}}$$

თუ $DPI > 1$ საინოვაციო პროექტში ჩადებული ინვესტიციები ეფექტიანია.

შემოსავლიანობის მეთოდი (IR) ორიენტირებულია დაყვანილი ეფექტების ჯამის შეფარდებაზე დაყვანილი ინვესტიციების სიდიდესთან:

$$IR = \sum_{t \geq 1}^T (R_t - S_t) \left(\frac{1}{1+E^t} \right) \quad (3)$$

სადაც IR შემოსავლიანობის ინდექსია,

E_t – ინვესტიციები t-ურ წელს (ლარებში),

R_t – შედეგები (შემოსავლები) t-ურ წელს,

S_t – განხორციელებული დანახარჯები t-ურ წელს (ლარებში).

თუ შემოსავლიანობის ინდექსი დადებითია $IR > 0$, მაშინ საინოვაციო პროექტი, ინოვაცია რენტაბელურია. ხოლო თუ $IR < 0$ (უარყოფითია), მაშინ პროექტი და ინოვაცია არაა ეფექტიანი.

წმინდა მიმდინარე ღირებულება (NRV) წარმოადგენს წმინდა დისკონტირებულ შემოსავალს და განისაზღვრება, როგორც მიმდინარე ეფექტების ჯამი მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ამ დროს დისკონტის სიდიდე შეიძლება იყოს ან მუდმივი ან ცვალებადი.

$$NRV = \sum_{t=1}^t (R_t - S_t) \frac{1}{(1+E)^t} \quad (4)$$

სადაც NRV ინოვაციის წმინდა მიმდინარე ღირებულებაა,

R_t – შედეგები (შემოსავლები) t-ურ წელს,

S_t – ხარჯებია t-ურ წელს.

ინოვაციური პროექტის ან ინოვაციის ეფექტიანობა განისაზღვრება ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემით, რომლებიც გამოხატავენ ინოვაციასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და შედეგებს, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ საინოვაციო პროექტის ან ინოვაციის ეკონომიკურ მიმზიდველობაზე. მათთვის, ვინც ჩართულია საინოვაციო პროცესში, ასევე იმ ეკონომიკურ უპირატესობაზე, რომელიც გამოხატავს ერთი ინოვაციის მიმზიდველობას მეორეზე.

საერთოდ ინოვაციების ეფექტიანობის შეფასებისას დაფარულია რამდენიმე არსებითი პრობლემა. მათ შორის არის ინფლაციის აღრიცხვა, სხვადასხვა დროის მაჩვენებლების თანაგანზომილება, ინვესტიციებისა და ხარჯების დაყვანა ერთ წლიურ განზომილებაზე. ტექნიკურად მათი გადაწყვეტა პრაქტიკაში ხდება სხვადასხვა მეთოდებისა და კოეფიციენტების დახმარებით.

ზემოაღნიშნული არის მცდელობა თეორიულად და პრაქტიკულად გადმომეცა ინოვაციების ეფექტიანობის შეფასების ურთულესი პრობლემა.

ლიტერატურა:

1. Drucker P. Management Challenges for the 21st Centuru. Harper Business. 2001. 2. Davis G. F. Agents without principles? The spread of the poison pill through the intercorporate network // Administrative science quarterly. 1999. Vol. 36.
3. Kotter J. P., Schlesinger L.A, Sathe V. Organization: text, cases, and regaining on the management of organization design and change. 2-ed..ed Harvard Business School: Yrwing. 1986.
4. Measuring Innovation. The Boston Colsuting Group Inc., 2006.
5. Joseph A. Shumpeter. The Theory of Economic Development, Transaction Publishers, 1934.
6. ENSG 'Our Electricitiy Transmission Network: A Vision for 2020'. July, 2009.
7. Руководство Осло. Рекомендации по сбору и анализу данных по инновациям. Третье издание, перевод с англ., М. 2006.

JABA DUGLADZE

INNOVATIONS AND ECONOMIC EFFICIENCY

SUMMARY

The paper deals with the methods of determining economic efficiency of innovative projects through the economic indicators reflecting the costs and consequences of innovation. It also discusses during the evaluation of innovation effectiveness and existing solving problems technically in practice with the help of different methods and coefficients.



ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
Computer Provider

ნანა ყანდაშვილი
Nana Kandashvili

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი**
Ekvtime Takaishvili Teaching
University

მისამართი: საქართველო, რუსთავი, 3700, ბოსტანქალაქის ქ. №3.
A d d r e s s: 3, Bostankalaki str., 3700, Rustavi, Georgia.

www.rvali.edu.ge
rvaliuni@gmail.com

ტელ.: +995 0 341 24 18 98;
ფაქსი: +995 0 341 24 18 98



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. შავშავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge